სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 მაისი 1999 №94 (867) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო 63
ბელგია 73

სიხარული ხანმოკლე გამოდგა

ირლანდიის მძლეველი ქართველი კალათბურთელები გუშინ ბელგიის ნაკრებთან 63:73 დამარცხდნენ და ამით „ევრო 2001"-ის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრის შანსი კიდევ უფრო შეიმცირეს.

შვეიცარიის ქალაქ ფრიბურგში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩვენებურებმა წუხელ მეორედ წააგეს. მარცხი მარცხად და, თუ მათ დარჩენილ ორივე შეხვედრაში ვერ იმარჯვეს (რომც მოიგონ, შესაძლოა, მაინც სათუო გაუხდეთ სამეულში მოხვედრა), აი, მაშინ კი თავში უნდა ვიცეთ ხელი — ჩვენი კალათბურთი, სულ ცოტა, ორი წლით გამოეთხოვება ევროპას.

ღმერთია მოწმე, გვიძნელდება აუგის წერა. არც ის გვინდა, წინასწარვე რომ ავტეხოთ ვიშვიში, მაგრამ, ვაი რომ ეს რეალობაა და თანაც, საკმაოდ მწარე...

დამარცხებული გუნდის თავკაცობასთან საუბარი წუხელ აღარ მოგვიხერხდა, ხან სატელეფონო ხაზმა გვიმტყუნა, ხანაც...

ჩვენც, მეტი გზა რომ აღარ დაგვრჩენოდა, ნაკრების წევრ დავით ბერძენიშვილის ნაამბობით შევიქმენით წარმოდგენა საქართველო — ბელგიის მატჩზე:

„მთელი შეხვედრა დაძაბული იყო, უპირატესობას ვერა და ვერ დავეუფლეთ, თუმცა ვერც მეტოქე გვჯობნიდა და ხან ჩვენ ვიგებდით სამ-ოთხ ქულას, ხანაც ისინი.

ტაიმი ორი ქულა წავაგეთ, შემდეგ ერთ ხანს ექვს ქულასაც ვიგებდით, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ... იუგოსლავიელმა მსაჯმა დაიწყო და რა დაიწყო, ყველა შეხებაზე უსტვენდა, ალბათ, ასე ჰქონდა დავალებული, რადგან ჩვენ მასპინძლების, შვეიცარიელების კონკურენტები ვიყავით, ბელგიას კი თითქმის განაღდებული ჰქონდა სამეულში მოხვედრა. ერთი სიტყვით, უნდა წაგვეგო.

მოწინააღმდეგემ ძალისმიერი თამაში დაგვიპირისპირა. საკმაოდ ჰყავდათ ტანმაღალი კალათბურთელებიც და ძირითადად მათზე ააგეს კომბინაციები. ურიგოდ არც ჩვენ გვითამაშია, მაგრამ, ხომ გითხარით, მსაჯებმა გაგვწირეს".

გუშინვე პორტუგალიამ 66:63 მოუგო დანიას, დღეს კი ჩვენები სწორედ პორტუგალიას ხვდებიან.

გიორგი ბიძაშვილი

თასთა თასის ბოლო ოინი

ზურაბ მეძველია

ბირმინგემიდან

განა ძნელი მისახვედრი იყო, ვინ მოიგებდა „ვილა პარკ ზე"? არა, ნედვედის ნაცვლად ვინმე მალიორკელს, ვთქვათ ენგონგას, რომ გაეტანა მე-80 წუთზე, ვერც ვერავინ იტყოდა, ესპანელებმა დაუმსახურებლად მოიგესო. მაგრამ არა, იმ დღეს „ლაციოს" უნდა ემარჯვა. ასე იყო გადაწყვეტილი და ამაში უეფასა და თუნდაც ავსტრიელი მსაჯის ტყუილუბრალოდ აღმართული ხელი არაფერ შუაშია. ეს თასის მფლობელთა თასის ბოლო ოინი გახლდათ: რას ჰქვია, ჩემი აღსასრული მოინდომესო და... ან და სწორედ მარადის იტალიის დედაქალაქში დაიდო ბინა. რომი კი, თუ გახსოვთ, მარადიული ქალაქია.

იხილეთ მეხუთე გვერდი

REUTERS ბირმინგემიდან

„ვილა პარკზე" რომაელმა პანკარომ თავისებურად იონავრა. ნაფინალევს ინგლისელ პოლისმენს ქუდი გამოართვა და ფოტორეპორტიორების წინ წაიკეკლუცა

რევაზიშვილი ოქროს მეძებს

გუშინ ბრატისლავაში, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველთა მეორე ოთხეულმა იასპარეზა. ყველა აგრძელებს მედლისთვის ბრძოლას, ოღონდ ოქროს მაძიებელი ერთიღა დაგვრჩა — გიორგი რევაზიშვილმა (66) სამი შეხვედრა მოიგო და ხვალ ნახევარფინალში იტალიელ ჯოვინაცოს შეხვდება.

გიორგი ვაზაგაშვილმა (73) სტარტზე მარცხის შემდეგ ორი შერკინება მოიგო და ბრინჯაოს მედლამდე ორი გამარჯვება აკლია. ისევე, როგორც სოსო ლიპარტელიანს (81) და რამაზ ჩოჩიშვილს (აბსოლუტური). ლიპარტელიანმა ერთ მარცხს სამი გამარჯვება მოუნაცვლა, ხოლო ჩოჩიშვილმა თითოჯერ მოიგო და წააგო.

გუშინდელ „სარბიელში" შეცდომით გაცნობეთ ივერი ჯიქურაულის (100) და მძიმეწონასან ალექსი დავითაშვილის ამბები. შესწორებები იხილეთ მე-15 გვერდზე.

ქართველები ინგლისში დიდ ჩხუბს აპირებენ

ლენოქს ლუისის სახელი, არა მგონია, კრივის მოყვარულებს არ სმენოდეს, უბრალოდ შეგახსენებთ, ეს ის კაცია, ვინც ორიოდ თვის წინ ამერიკელ ევანდერ ჰოლიფილდს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს შეეცილა და რომ არა მსაჯთა უნამუსობა, გახდებოდა კიდეც კრივის სამი უპირველესი ორგანიზაციის ქამრის მფლობელი. ლენოქს ლუისმა ლონდონში თავისი სახელობის კოლეჯი დააარსა, იქ ბევრი მოკრივე ვარჯიშობს, ამ ხალხს პროფესიულ რინგზე ძალის დამტკიცება სწადია და ამათგან გამორჩეულნი ამას ახერხებენ კიდეც.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ბრიტანელ მოკრივეს, რომელიც თავის მრავლისმნახველ მენეჯერ ფრენკ მელოუნთან ერთად ჰოლიფილდთან რემატჩისთვის ემზადება, მელოუნი ვახსენეთ და აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს პატივმოყვარე ინგლისელი ისეთ გაქნილ კაცს ეცილება კრივის სამყაროში პირველობას, როგორც უცნობილესი ამერიკელი დონ კინგია. ჰოდა, ბატონებო, ზემოთ რომ კოლეჯი ვახსენეთ, იქ მოვარჯიშე ბიჭებს ეს ჩვენი ფრენკ მელოუნი თავისი გამჭრიახი გონებითა და მახვილი თვალით ზომავს და წონის, მათგან რჩეულებს კი პროფესიული კრივის ურთულეს, მაგრამ დიდებით და პატივით მოსილ გზას დაულოცავს.

დიდი ხანი არაა, რაც ლენოქ ლუისის კოლეჯში ჩვენებური, ვარიანელი მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი კანდელაკი ვარჯიშობს. გიორგის პროფესიულ რინგზე ჩატარებულ ბრძოლებზე ყოველთვის გატყობინებდით. შვიდიდან შვიდი გამარჯვება — ასეთია კანდელაკის პროფესიული მონაგარი. 24 მაისს ქართველი მოკრივე ბელფასტში მერვედ იჩხუბებს და იმედია, არც ამჯერად შეირცხვენს თავს, თან მას გვერდით, ყოფილი თანაგუნდელი, მეგობარი და ახლახან პროფებში გადაბარგებული კობა გოგოლაძე ეყოლება.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

კობა გოგოლაძე, გიორგი კანდელაკი და მამუკა წიკლაური ლენოქს ლუისის კოლეჯში

საქართველოს ჩემპიონატი **27 ტური**

თბილისური კომპლექსი დაძლიეს

ბათუმი 21 მაისი 18 საათი დინამო 1 000 (ტკვავდობა 18 000)

თსუ

ბათუმი 4:2 თსუ

გამოტოვებული მატჩი

0:1 ადამია (50), 0:2 გონჩაროვი (55პ), 1:2 ტოგონიძე (66პ), 2:2 აფხაზავა (73), 3:2, 4:2 მაჭუტაძე (76, 82)

ბათუმი: ტოგონიძე, ქუტიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, რომანაძე, გადელია, მ. მახარაძე, აფხაზავა (მეავანაძე 80), მაჭუტაძე, რუსია, ყულეჯიშვილი (უვაკვე 46)
სათადარიგონი: მალაყმაძე; მინდაძე, პაპიძე, ღლონტი

თსუ: მერლანი, ქანთარია, პერტენავა (ადამია 46), ინწკირველი, გვალია, ბუკია (ცინარიძე 68), ნინუა, მაღრაძე, გონჩაროვი, სვანაძე (დ. ჭელიძე 86), დ. გოგოლაძე
სათადარიგონი: ბალიანი; ემრაშვილი, კვახაძე

გაფრთხილება: ინწკირველი (7), გვალია (71)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ა. შალამბერიძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); თ. ხუჭუა (სამტრედია)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

წესით, ეს თამაში გუშინ კი არა, 9 მაისს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ორი დღის შემდეგ ბათუმში თვრამეტწლამდელთა ნაკრებს ჩეხ თანატოლებთან უნდა ეთამაშა და ფედერაციამ ნაწვიმარი მინდვრის საფარი მათ შემოუნახა. თამაშის გადადებას მაშინ სხვადასხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგნი ამბობდნენ, ამით სტუდენტებს დათვური სამსახური გაუწიესო. თსუ-ს კონკურენტები ირწმუნებოდნენ, ნახავთ, ამ თამაშს თუ ბოლოსთვის არ მოიტოვებენო. მაშინ ხომ ყველაფერი ცხადი იქნება და „ბათუმიც“, თუ მეტოქეს დასჭირდა, დაუთმობსო.

რაღაც სიმართლის მარცვალი ამაში კი იყო, მაგრამ გუშინ ჩატარებულ თამაშს რა სიახლე უნდა მოეტანა? თითქმის არაფერი. თავად განსაჯეთ, „ბათუმს“ ოთხეულში გასვლის მცირედი შანსი კი ჰქონდა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ „კოლხეთი“ ბოლო ტურში შინ წააგებს. ხოლო თსუ-ს პლეი ოფიდან თავის დაღწევა მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ რუსთაველები „გურიას“ ვერ მოუგებენ. ამის გაფიქრება კი, დამეთანხმებით, ალბათ, სასაცილოა, თუ მეტი არა.

წლევანდელ სეზონში შინაურ თამაშებში ზღვისპირელებს ერთგვარად თბილისური კლუბების კომპლექსი გაუჩნდათ. სტუდენტებთან დაპირისპირებამდე ისინი დედაქალაქურ ოთხ გუნდთან მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ, ხოლო „ვიტ ჯორჯიასთან“ სულაც წააგეს. ჰოდა, ეს არასასიამოვნო ტრადიცია როგორც იქნა, დაარღვია „ბათუმმა“ და ძნელ ბრძოლაში შეძლო სტუდენტთა ძლევა.

მატჩის პირველი ტაიმი დაბალტემპიანი და ულიმღამო გამოდგა. მეტ-ნაკლებად ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ მეორე ტაიმისასთან სახსენებელიც არ არის.

თამაშის განახლება და შავი კაცის გამოჩენა ერთი იყო. დიახ, ბოლოს და ბოლოს ეღირსა ნიგერიელ უჩე უვაკვეს და მთელი ტაიმი ითამაშა. შეცვლა ოთარ გაბელიამაც გააკეთა. მან პერტენავა ადამიათი შეცვალა და გაუმართლა კიდეც. ხუთ წუთსაც არ გაევლო, მრავლისმნახველი მალხაზ მახარაძე რომ შეცდა, ბურთი გოგოლაძეს ჩააბარა, რომელიც უმალ კარისკენ დაიძრა და გონჩაროვს უპასა. გონჩაროვმაც უმეურვეოდ დარჩენილ ადამიას გადაცემა არ დაუხანა და მან პირდაპირ ტოგონიძეს დაუმიზნა, თუმცა რა? ნიკას ბურთი მოულოდნელად ფეხებშუა გაუძვრა და კარშიც შეგორდა.

თითქოს „ბათუმი“ გამოფხიზლდაო. მაშინ გავიდა მეორე გოლი და ისევ სტუმრებისა. კვლავ მახარაძემ შესცოდა. ბურთი მეკარეს ცუდად დაუბრუნა და ტოგონიძეს ისღა დარჩენოდა, გონჩაროვი წაექცია. ამ უკანასკნელმა კი ეფექტური პენალტით ანგარიში გაზარდა.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ „ბათუმი“ და განსაკუთრებით უვაკვე ერთობ გააბარაზა. ამას თითოიოდ წუთში საპასუხო გოლი მოჰყვა, რომელშიც ლომის წილი ნიგერიელმა დაიდო. რა ვუყო, რომ შავი ვარო და მარჯვნიდან შეუტია. მისი ჩაწოდებული ბურთი კი საჯარიმოში ლიბერო კობა ნინუას ხელზე მოხვდა და არბიტრი დოგრაშვილი პენალტის ნიშნულისკენ გაეშურა. ბურთთან პირველად მალხაზ მახარაძე მივიდა, მაგრამ შემდეგ ტოგონიძეს დაუთმო. ნიკამ ჰამბურგელ ჰანს იორგ ბუტზე ნაკლები რითი ვარო და დარტყმა უნაკლოდ შეასრულა — ეროვნულ ჩემპიონატებში თავისი მესამე თერთმეტმეტრიანი გაიტანა.

აქედან დაიწყო და დაიწყო. ზღვისპირელებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ, ტემპსაც უმატეს და მალე დაწინაურდნენ კიდეც. 10 წუთის ინტერვალში მათ სამჯერ გაიხარეს. პირველად 73-ე წუთზე აფხაზავამ იბრძოლა ჯიგრიანად და ორ მცველთან ჭიდილში ძნელი გოლი გაიტანა. სამ წუთში მაჭუტაძის ჯერი დადგა. მაღალ ბურთზე ბრძოლისას მერლანი და აფხაზავა ერთმანეთს შეეჯახნენ. იქედან ასხლეტილ ბურთს მაჭუტაძემ ცარიელ კარში მიუჩინა ადგილი.

„ბათუმმა“ ამის შემდეგ სულ აიწყვიტა და მაჭუტაძემვე საბოლოო შედეგი დაუფიქსირა დათრგუნულ მეტოქეს.

აბა, თამაშის შემდეგ გენახათ ოთარ გაბელია. მან მარცხში მსაჯები დაადანაშაულა და კინაღამ შემოელახა კიდეც.

ამ მოგებით აჭარლებმა კიდევ დატოვეს მეოთხე ადგილის შანსი. ყველაფერს ბოლო ტური გადაწყვეტს, მაგრამ საეჭვოა, „კოლხეთმა“ ეს შანსი ხელიდან გაუშვას.

თსუ-ს კი რა? პლეი ოფისთვის უნდა ემზადოს, თანაც ფეხბურთელებს ხელფას-სტიპენდიები უნდა უშოვოს და, ყველაზე სავარაუდოდ, „სიონთან“ ფიცხელი ბრძოლა გამართოს, თორემ...

მიუხედავად გამარჯვებისა, „ბათუმი“ ნაღვლიანი განწყობით აცილებდა საიუბილეო სეზონს. სეზონს, რომელიც ერთობ წარუმატებელი გამოუვიდა. ისე კი, ალბათ, საგაისოდ ბევრი რამ შეიცვლება გუნდში. დაველოდოთ.

26 მაისს 18 საათზე

26 მაისი — დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა.

26 მაისი — დღე, „სტუდენტური გაზაფხულის“, სრულიად საქართველოს სტუდენტური დღეების საზეიმო დახურვისა.

26 მაისი — დღე, საქართველოს ეროვნული თასის IX გათამაშების ფინალისა.

დიახ, სწორედ 26 მაისმა უნდა დაიტიოს ყოველივე. უკვე მერამდენე წელია, საქართველოს თასის ფინალური მატჩი ამ დღეს იმართება. თასის ფინალს ყოველთვის ქვეყნის პრეზიდენტი „ოფიციალურ“ [illegible] გენელი შაინც ესწრებოდა. წლეულსაც, ალბათ, ასე იქნებ[illegible] [illegible] სურვილი ედუარდ შევარდნაძესაც გასჩენია. ჰოდა, ფინალის ორგანიზატორი, ფეხბურთის ფედერაცია იმას ბჭობდა, შესაფერის დროს დავამთხვიოთ ფინალური მატჩი, რათა ქვეყნის პრეზიდენტს შეეძლოს მატჩზე დასწრებაო. ისაუბრეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს კიდეც.

საქართველოს თასის ფინალი, „ტორპედო“ — „სამგურალი“ 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დაიწყება.

გიორგი ვაშაკიძე

მალე პლეი ოფი მოვა

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი სადაცაა გასრულდება. ხვალ ბოლო ტურის მატჩები გაიმართება და უკვე ოფიციალური სახე მიეცემა ყოველივეს. გაირკვევა, თუ ვინ მოიპოვებს გადათამაშებაში, ანუ პლეი ოფში თამაშის უფლებას.

ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა, როგორც ჩანს, აქედანვე იწყო ზრუნვა გადათამაშების თარიღების დასადგენად.

გადაწყვეტილია, 27 მაისს, ვაკეში, „მიხეილ მესხის“ (ყოფილი „ლოკომოტივი“) სტადიონზე უმაღლესი ჯგუფის საგზურის მოსაპოვებლად, მეორე ჯგუფში, დასავლეთ ზონაში, ორი საუკეთესო, „ა“ და „ბ“ ქვეჯგუფის ჩემპიონები — ვანის „სულორი“ და ხობის „კოლხეთი“ 18 საათზე შეიბმებიან. დანარჩენი შეხვედრების თარიღებს კი სეზონის დასრულების შემდეგ, დაშვიდებულ გუნებაზე დავადგენთ.

ერთიც. მომავალი სეზონიდან, სავარაუდოდ, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფს პირველ ლიგად მოიხსენიებენ.

გიორგი ვაშაკიძე

ავთანდილ კაპანაძე ბომბარდირებში გაერია

შედეგრი — ასე უწოდა უკრაინელმა მედიამ ტერნოპოლის „ნივას“ ქართველი თავდამსხმელის, ავთანდილ კაპანაძის მეორე გოლს ხარკოვის „მეტალურგის“ კარში. ეს იერიში 85-ე წუთზე ტერნოპოლელ მაზურს „ნივის“ საჯარიმო მოედნიდან შორეული პასით დაუწყია და „მეტალურგის“ საჯარიმო მოედნის მისადგომებთან გახსნილ კაპანაძეს უძლიერესი შეუჩერებელი დარტყმით დაუგვრგვინებია. ბურთი პირდაპირ „ცხრიანში“ შევარდნილა, ისე, რომ ხარკოველთა მეკარე გორიანიკოს რეაგირებაც ვერ მოუსწრია. მატჩი საბოლოოდ „ნივამ“ 2:0 მოიგო, პირველი გოლიც ავთანდილის ანგარიშზეა.

26-ე ტურის მატჩში, რომელსაც 4500-მა ტერნოპოლელმა ადევნა თვალი, ხუთმა ქართველმა ითამაშა: ტყუპმა კაპანაძეებმა, დავითნიძემ, დგებუაძემ და მის მაგივრად შესულმა გვიანიძემ. კაიდარაშვილმა მთელი თამაში სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ამ გამარჯვებით „ნივამ“ საგრძნობლად გაიმჯობესა მდგომარეობა, ხოლო ლანჩხუთის „გურიას“ ყოფილი მწვრთნელის, მიხეილ ფომენკოს „მეტალურგს“, ფაქტობრივად, უეფას საგზური დაკარგვინა. ავთანდილ კაპანაძეს კი ჩემპიონატში 9 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა შვიდეულშიც გაერია.

სიმონ მენაბდე

კაპიტანი ჯერ ვერ იკაპიტნებს

22 მაისს ეროვნულ სტადიონზე წარსულში თბილისის „დინამოს“ სახელგანთქმული კაპიტნის, მანუჩარ მაჩაიძის 50 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი ამხანაგური მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ, როგორც ახლახან გახდა ცნობილი, ეს თამაში არ შედგება. მანუჩარ შაჩაიძისთვის იუბილე რინატ დასაევს, ვაგიზ ხიდიატულინს, იური გავრილოვს და რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ვეტერნებისგან შემდგარ ნაკრებს უნდა მიელოცა, მაგრამ...

„დიდ მანუჩარს“ მუხლმა უმტყუნა, ფეხის ტრავმა მიუღია...

ასე რომ, რაოდენ საწუხარიც არ უნდა იყოს, ჯერჯერობით კაპიტანი ჩვეულად ვერ იკაპიტნებს.

გიორგი ვაშაკიძე

ჯელაძემ სკონტო ფინალში გაიყვანა

რიგის „სკონტოს“ ქართველი ლეგიონერის, არმაზ ჯელაძის მესამე გოლი ლატვიის თასის მეორე ნახევარფინალურ მატჩში „ვენსპილთან“ გადამწყვეტი გამოდგა. პირველი შეხვედრა „სკონტოს“ 1:0 ჰქონდა მოგებული, თუმცა რიგაში თამაში მოულოდნელად დაიწყო. სტუმრები მე-4 წუთზე პოლიაკოვსმა დააწინაურა. მართალია, 22-ე წუთზე ზემლინსკისმა პენალტით გაქვითა, მაგრამ წუ-თის შემდეგ სტუმარმა რუდაკოვსმა ანგარიში ისევ გაზარდა. რი-გელებმა თამაში ტაიმის ბოლოს შემოაბრუნეს: ჯერ ლატვიის ნაკრების წევრმა მიხოლაპსმა გაქვითა 34-ე წუთზე, 7 წუთში კი ჯელაძემ „სკონტო“ წინ გაიყვანა. საბოლოოდ მატჩი 3:3 დასრულდა და „სკონტო“ 26 მაისს ფინალში „რიგას“ შეხვდება, რომელმაც 1:0, 2:1 „მეტალურგს“ აჯობა.

სიმონ მენაბდე

ჯერ თოთხმეტნი არიან



ბადრი კვირკელაძის ფოტო

ქართველებს ოსლოში მარტინ ადრესენი (№7) დაუხვდება, მიხეილ მახვილაძე (№5) და გიორგი ჭანკოტაძე კი შინ დარჩებიან

30 მაისს საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს ნორვეგიაში ევროპის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩები ელით. თუ ეროვნული გუნდი ფინალურ ეტაპზე მოხვედრის მცირე შანსს კიდევ ინარჩუნებს (როგორ გამოიყენებს, მთავარი ეგაა), ახალგაზრდებს იგი პრაქტიკულად გადაეწურათ. დარჩენილ თამაშებს ახალგაზრდული ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა, ალბათ, მომავალი ციკლისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს. ეს ხურცილავას მიერ დასახელებული შემადგენლობიდანაც კარგად ჩანს, რომელსაც გუშინდელ „სარბიელში“ გაეცნობოდით.

ჩვენგან განსხვავებით, სიდნეის ოლიმპიადაზე მოხვედრისთვის იბრძვის საქართველოს უახლოესი მეტოქე, ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 30 მაისისთვის ამ დღეებში დაიწყებს მზადებას. სკანდინავიელთა თავკაცმა ბიორნ ჰანსენმა საამმატჩოდ გამოძახებული 14 ფეხბურთელის ვინაობა უკვე დაასახელა, დანარჩენებს კი 26 მაისს შეარჩევს. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრები მეორე შემადგენლობით ჰოლანდიელ თანატოლებს უმასპინძლებს. სწორედ ამ თამაშის შემდეგ გაირკვევა მათი სრული შემადგენლობა.

ახლა კი იმ 14 ფეხბურთელს გაგაცნობთ, ვისი გამოძახებაც ხურცილავას კოლეგას უკვე გადაწყვეტილი აქვს:

მეკარე: ტერი სკიელდსტადი („სოგნდალი“); მცველები: იან ინგე ჰოილანდი („გიოტებორგი“), ფროდე კიპე („ლივერპული“), რავნვალდ სომა („ბრანი“), კრისტონ სტინი („ბოდო გლინტი“); ნახევარმცველები და თავდამსხმელები: ალექსანდრ ასი (ოდდ), მარტინ ანდრესენი („სტაბეკი“), ერიკ ბაკე („სოგნდალი“), იონ კარეუ („ვალერენგა“), ანდერს ჰასელგერდი („მოლდე“), რუნე ლანგე („ტრომსო“), რუნარ ნორმანი („ლილესტრიომი“), იან ტორე ოპაუგი („მოსი“), არილდ სანდვატი („ლილესტრიომი“)

ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან ორიმათგანი 28 აპრილს საერთოდ არ ყოფილა თბილისში, ესენი იან ინგე ჰოილანდი და ერიკ ბაკე არიან. იონ კარეუ თბილისში კი გახლდათ, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ითამაშა ბოლო სამი წუთი.

გადაწყვეტილი ყოფილა, რომ საქართველოსთან მატჩში არ იქნებიან ლონდონის „ტოტენჰემის“ მეკარე ესპენ ბაარდსენი, თბილისში მეორე გოლის გამტანი იონ არნე რიისე (ის თამაში სტუმრებმა 3:0 მოიგეს) და ერიკ ნოილანდი.

ბოლოს ერთიც, ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში ნორვეგიელთა ღირსებას მხოლოდ ამ ქვეყანაში მოთამაშე ფეხბურთელები დაიცავენ.

ვანო ოქროპირიძე

ფკ მრეტების პრესსამსახურის ინფორმაცია

ფკ მრეტების დამფუძნებელ-პრეზიდენტმა, ვაჟა ჩხაიძემ დახმარებისთვის მიმართა გულშემატკივარს. დაიწყო კლუბისთვის თანხების შეგროვება. დღეს ყველას უჭირს, ამიტომ სიები კეთდება და თანხები პირველ შესაძლებლობისთანავე უკან დაბრუნდება. ეს დღეც არ არის შორს. თანხების შეგროვება ხდება შემდეგ მისამართზე:

ილია ჭავჭავაძის გამზირი №74ა, IV სართული, ოთახი №428.

ყოველდღე, 11-დან 19 საათამდე. ტელ: 8(99)502401

19 მაისს ინტერნეტში გაიხსნა ფკ მრეტების ოფიციალური გვერდი home.t-online.de/home/mrettebi. ქართული ფეხბურთის ისტორიის ამსახველი ფოტოსურათების ავტორებს ფოტოების გადაგზავნა შეუძლიათ ფკ მრეტების ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mrettebi@t-online.de. ფოტოსურათების ავტორთა გვარები გამოცხადდება და მათი საავტორო უფლებები დაცული იქნება.

გერმანიაში იბეჭდება ვაჟა ჩხაიძის წიგნი „მრეტები“ და ივნისში შემოვა ქსელში. ეს წიგნი მათთვისაა, ვისაც ჯერ კიდევ შერჩა გაოცების უნარი!

ნათია თევზაძე, *ფკ მრეტების პრესმდივანი* *21 მაისი, 1999*

სიახლე 10 000 ლარად



ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი იმედოვნებს, რომ მის ბოლო სხდომაზე დამტკიცებული საქართველოს ჩემპიონატის ახალი დებულება ქართულ ფეხბურთს მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანს

ცოტაც და საქართველოს X საიუბილეო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდება. გასული სეზონი ქართული ფეხბურთისთვის ერთობ დატვირთული და ცვლილებების მომტანი გამოდგა, ოღონდ ეგ არის, დღემდე ეს ცვლილებები ჩვენს ჩემპიონატს სასიკეთოდ არ დასტყობია.

გასული ჩემპიონატის ანალიზს ამჯერად არ ვაპირებთ, ერთი რამ კი სათქმელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის გასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი (წარმოუდგენელია, ამ ტურმა საერთო სურათი შეცვალოს), ფაქტია, X ჩემპიონატი ზუსტად მიესადაგება დღევანდელ ქართულ ფეხბურთს და იქ არსებულ ვითარებას...

ფეხბურთის ფედერაციის ახალმა შემადგენლობამ სათავეში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ ამთავითვე ჩაყრის საფუძველს პირველ ლიგაში გუნდების შემცირების პროცესს. ცოტა ხნის წინ მომავალი ჩემპიონატის ახლებურად ჩატარების პროექტიც შეიქმნა, რაც ბოლო აღმასკომის სხდომაზე დამტკიცდა კიდეც.

ასე რომ, 1999 წლის აგვისტოს თვეში (ზუსტი რიცხვი ჯერ დაუდგენელია) საქართველოს XI ჩემპიონატი ფეხბურთში სრულიად ახლებური სისტემით ჩატარდება. სისტემით, რომელიც ყველაზე უფრო შვეიცარიის ჩემპიონატის მოდელს ჰგავს. ერთიც არის, ამ სისტემის დაახლოებით მსგავსი ჩემპიონატი ჩვენში 1993-94 წლებშიც გამართულა. მაშინ ქვეყნის 22 საუკეთესო გუნდი ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით ორი (აღმოსავლეთის და დასავლეთის) ქვეჯგუფად დაყვეს, თუმცა ბოლო მომენტში დასავლეთელებმა აფხაზეთის სამი გუნდი მოისაკლისეს და ჯგუფში ცხრა გუნდმა განაგრძო ასპარეზობა. მეორე ეტაპზე ორივე ჯგუფიდან 5-5-მა საუკეთესო გუნდმა I-X ადგილებისთვის განაგრძო ბრძოლა, ხოლო XI-XIX ადგილებზე გასულებმა ერთმანეთში გაარკვიეს პირველი ჯგუფის დარჩენილი 5 საგზურის ბედი. ამ მსგავსებას ჩემპიონატის ახალ სისტემასთან ქვემოთ უთუოდ შეამჩნევთ.

ცხადია, როდესაც ძველი ახლით იცვლება, ერთ რამეში უნდა იყო დარწმუნებული, რომ ეს ახალი ძველზე უკეთესია და ჩავარდნილ საქმეს მხსნელად მოევლინება. წინასწარ ძნელიცაა გარკვეული ვარაუდების გაკეთება, რადგან ახალი სისტემა უშუალოდ ჩემპიონატით უნდა გამოიცადოს. შემდეგ კი ვინ იცის, იქნებ გაამართლოს კიდეც-

მაშ ასე, საქართველოს XI ჩემპიონატში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ისინი X ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ორ — ა და ბ ზონად დაიყოფიან. ზონაში მოხვდებიან გუნდები, რომლებიც X ჩემპიონატში კენტ ადგილებზე გავლენ (I, III, V და ასე შემდეგ), ხოლო ბ ზონას ლუწ ადგილებზე (II, IV...) გასული 8 გუნდი შეადგენს. ორივე ზონაში მატჩები წრიული სისტემით ჩატარდება. დეკემბერში, აგვისტოს თვეში დაწყებული ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდება. II ეტაპზე კი 2000 წლის თებერვალ-მაისში ზონებში I-IV ადგილებზე გასული რვა საუკეთესო გუნდი გააგრძელებს I-VIII ადგილებისთვის ბრძოლას, პარალელურად ჩატარდება ზონებში IX-XII ადგილებზე გასული გუნდების ტურნირიც. აქედან 4 საუკეთესო კი 2000-2001 წლის ჩემპიონატისთვის I-VIII ადგილოსან გუნდებს დაემატება და პირველ ლიგას შექმნის. ამრიგად, საქართველოს XII ჩემპიონატი ფეხბურთში 12 გუნდიანი იქნება. ერთიცაა, ჩემპიონატის II ეტაპზე გუნდები განახევრებული ქულებით იასპარეზებენ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გუნდმა ქულების კენტი რაოდენობა მოაგროვა, მაშინ მას ერთ ქულას დაუმატებენ და შემდეგ საერთო ჯამს გაუნახევრებენ.

რაც შეეხება დღევანდელ მეორე ჯგუფს, 1999-2000 წლების სეზონში მას რეგიონალური ლიგა დაერქმევა და ძველებურად (ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით) ოთხ ქვეჯგუფად დაიყოფა. ოთხივე ქვეჯგუფში I-II ადგილებზე გასულ 8 გუნდს, პირველი ლიგის მეორე ეტაპზე IX-XII ადგილებისთვის მებრძოლი 8 გუნდი ბოლო ადგილებზე გასული გასული 4 გუნდი დაემატება. ეს თორმეტეული კი საქართველოს 2000-2001 წლის ჩემპიონატში II ლიგას წარმოადგენს. დანარჩენი გუნდები კვლავ რეგიონალურ ლიგაში დარჩებიან. ამრიგად, საქართველოს XII ჩემპიონატი ფეხბურთში სამ ლიგაში ჩატარდება — I, II და რეგიონალურში.

ვინაიდან დღეისათვის ჯერაც გაურკვეველია იმ თექვსმეტი გუნდის ვინაობა, ვინც აგვისტოდან პირველი ლიგის ა და ბ ზონაში ითამაშებს, ვფიქრობთ, ფორმულირებისთვის ჩემპიონატის ახალი სისტემის ამ მუხლის გაცნობაც არ უნდა იყოს ურიგო — X ჩემპიონატის II ჯგუფის აღმოსავლეთი მხარის გამარჯვებული გუნდი XI ჩემპიონატში გამოვა I ლიგის ა ზონაში, ხოლო დასავლეთის მხარის გამარჯვებული კი — ბ ზონაში.

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში თითოეულ ლიგაში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი მატჩი დაინიშნება ნეიტრალურ მინდორზე, ხოლო მომდევნო ადგილებზე გამსვლელი გუნდები გაირკვევა შემდეგი პრინციპით: 1. მოგებათა მეტი რაოდენობა; 2. ურთიერთშორის შეხვედრების მაჩვენებელი; 3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა; 4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა; 5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა; 6. ფეირ-ფლეის შედეგები; 7. კენჭისყრა.

კლუბებმა ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, სფფ-ში ოფიციალურად უნდა განაცხადონ თანხმობა, I ლიგის გუნდებმა ამა წლის 15 ივნისამდე, ხოლო რეგიონალური ლიგის გუნდებმა — 15 ივლისამდე. ოღონდ ეგ არის, მარტო თანხმობა რომ არ არის საკმარისი, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველმა კლუბებმა სფფ-ს ანგარიშზე გარკვეული თანხა უნდა გადარიცხონ — პირველი ლიგის გუნდებს ბიუჯეტის შეთხელება 1000 ლარით მოუწევთ, რეგიონალურ ლიგელებს კი — 5000 ლარით. გუნდების ხელმძღვანელებს ერთი პირობის დაცვაც მოუწევთ — სფფ არანაირი საგარანტიო წერილებს არ მიიღებს.

რაც შეეხება საქართველოს თასის X გათამაშებას, მასში მონაწილეობა ყველა გუნდისთვის სავალდებულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურჩები 3000 ლარით დაჯარიმდებიან და 2000-2001 წლის თასის გათამაშებასაც გამოტოვებენ. შესარჩევ თამაშებში გუნდებს სფფ გაანაწილებს ტერიტორიული პრინციპით და ერთმანეთს შეახვედრებს მხოლოდ ერთხელ, თუ სად, ამას კენჭისყრა გადაწყვეტს. ხოლო მეთექვსმეტედ, მერვედ, მეოთხედ-და ნახევარფინალურ თამაშებში გუნდები ორჯერ (მიმოსვლით) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ფინალი ძველებურად 26 მაისს გაიმართება. პირველი ლიგის გუნდები გათამაშებაში მეთექვსმეტედ-ფინალიდან ჩაებმებიან. თუკი თასის გათამაშებაში ჩაბმული რომელიმე გუნდი ასპარეზობის გაგრძელებაზე უარს იტყვის, 3000 ლარით დაჯარიმდება და მომდევნო წელს თასზე თამაშისთვის დამატებით 1000 ლარის გაღებაც მოუწევს. და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი მომავალი ჩემპინატის რეგლამენტიდან — მასპინძელი გუნდის მიერ პრესკონფერენციის ჩატარების შემთხვევაში ორივე გუნდის მწვრთნელები ან უფროსები (ზუსტად ასეა დაწერილი) ვალდებულნი არიან, მიიღონ მასში მონაწილეობა.

იმედს ვიტოვებ, რომ ამ პუნქტისგან განსხვავებით ჩემპიონატის ახლებური სისტემა უფრო გაამართლებს, თორემ ქართული გუნდების მწვრთნელების საპრესკონფერენციოდ განწყობა ცოტა საძნელო საქმედ მეჩვენება, თანაც პრესკონფერენციის გამართვას შესაბამისი ადგილიც სჭირდება. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ვცდებოდე კიდეც. ღმერთმა ქნას.

პაატა ბვანტალიანი

მეორე ჯგუფი

დასავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი
XXV ტური

18 მაისი

ჩიხურა 1:6 საირმე

0:1 მაღლაფერიძე (12), 0:2, 0:3 სირბილაძე (16, 50), 0:4 მაღლაფერიძე (57), 0:5 სირბილაძე (74), 0:6 გარუჩავა (87), 1:6 ხარაიშვილი (88)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

რიონი 3:0 მაღაროელი

1:0 აბუთიძე (52), 2:0 გედენიძე (61), 3:0 მეგრელიშვილი (66)

გაფრთხილება: დ. შეყილაძე (მაღაროელი)

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

სამგურალი 2 0:4 მარგვეთი

0:1 ი. ხაჭაპურიძე (15), 0:2 გაბუნია (30), 0:3 ქურციკიძე (32), 0:4 ბიწაძე (89)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

რაჭა 2:2 გაგრა

0:1 ტ. მანაგაძე (26), 1:1 პაპიძე (47), 1:2 მუშკუდიანი (76), 2:2 ჩიტალაძე (89)

გაფრთხილება: ჯმუხაძე, პ. ჯელაძე, პაპიძე (ყველა რაჭა), რცხილაძე, ბარაბაძე (ორივე გაგრა)

მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სულორი 2:2 ტორპედო 2

0:1 გენებაშვილი (15), 1:1 ბუხაიძე (44), 1:2 გენებაშვილი (65), 2:2 კ. დვალიშვილი (72)

გაფრთხილება: ბ. ნიკოლეიშვილი (სულორი), გენებაშვილი, ფუტკარაძე (ორივე ტორპედო 2)

მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

19 მაისი

ოკეანე 4:0 მეშახტე

1:0 კაცაძე (17), 2:0 კრავეიშვილი (34), 3:0, 4:0 ფხაკაძე (45, 84)

გაფრთხილება: ჯიქიძე (ოკეანე), გ. ხელაძე (მეშახტე)

სულორი	23	19	4	0	71:19	61
მარგვეთი	23	18	3	2	78:24	57
ოკეანე	24	14	3	7	38:32	45
მეშახტე	23	14	1	8	55:40	43
გაგრა (-3)	23	13	3	7	47:28	39
სამგურალი 2	22	11	4	7	40:38	37
რიონი	23	9	4	10	30:31	31
რაჭა	23	9	3	11	48:46	30
ტორპედო 2	23	7	5	11	28:32	26
იბერია 2	23	6	4	13	41:50	22
საირმე (-3)	23	5	2	16	22:45	14
ჩიხურა (-3)	23	2	3	18	28:88	6
მაღაროელი (-3)	22	1	3	18	23:76	3

„ბ“ ქვეჯგუფი
XXV ტური

18 მაისი

კოლეჯი 5:1 კოლხეთი

1:0 კუნჭულია (83), 1:1 კ. ხურცილავა (12), 2:1 ვასაძე (23), 3:1 კობიძე (67), 4:1 ი. ბახტაძე (71), 5:1 გეთია (80)

გაფრთხილება: კობიძე, თევდორაძე, გორჯელაძე (ყველა კოლეჯი), ვართაგავა, რ. თოლორდავა (ორივე კოლხეთი)

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

ოდიში 2 5:0 მერცხალი

1:0, 2:0 მებონია (6, 16), 3:0 ჭედია (50), 4:0 მებონია (55), 5:0 ჭეფია (67)

გაფრთხილება: ქობალია (ოდიში 2), აბაშიძე, თავდგილი (ორივე მერცხალი)

მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

სალხინო 2:6 ფაზისი

1:0 ხაბეიშვილი (9), 1:1 ჯღარკავა (14), 1:2 ხურციძე (25), 1:3 ვეკუა (56), 1:4 ი. მაკალათია (63), 1:5 ნაცვლიშვილი (71), 1:6 ლეჟავა (79), 2:6 ოდიშარია (82)

გაფრთხილება: გვილავა (სალხინო), ი. მაკალათია, კ. მაკალათია (ორივე ფაზისი)

მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

კოლხეთი 2 2:1 სძური

1:0 კრასოვსკი (33), 2:0 ბურჭულაძე (60), 2:1 ჩალიგავა (80)

გაფრთხილება: ფილფანი (სძური)

მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

შუქურა 5:1 ენგური

1:0 ჯიჯავაძე (47), 2:0, 3:0, 4:0 კაკალაძე (55, 70, 72), 5:0 მესხიძე (82), 5:1 შონია (89)

მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

ეგრისი 2:0 სამეგრელო

1:0 ნულაია (55), 2:0 მიქავა (80)

მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

კოლხეთი	23	17	2	4	67:21	53
კოლეჯი	23	13	5	5	45:22	44
შუქურა	23	13	3	7	49:30	42
ფაზისი	23	13	2	8	50:33	41
სძური	23	12	2	9	46:47	38
ენგური	23	11	5	7	47:37	38
ოდიში 2	23	10	6	7	38:27	36
მერცხალი	23	9	2	12	35:41	29
ბახმარო	23	8	4	11	23:33	28
ეგრისი	24	7	5	12	27:47	26
კოლხეთი 2	23	7	4	12	22:44	25
სამეგრელო	23	5	4	14	28:45	19
სალხინო	23	3	0	20	36:86	9

აღმოსავლეთი. „ა“ ქვეჯგუფი
XXIX ტური

20 მაისი

ზოოვეტი 2:0 ყვარელი

1:0 წიბლიაშვილი (58), 2:0 დ. ხომერიკი (65)

გაფრთხილება: ალავიძე (ზოოვეტი)

მსაჯი: ა. ორდინინიძე (ონი)

ლარწყალი 6:0 უნივერსიტეტი იბერია

1:0 დ. ჩიგოშვილი (7), 2:0 სირაძე (13), 3:0 მიკუჩაძე (65), 4:0, 5:0, 6:0 გოლეთიანი (70, 82, 88)

მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

კახეთი 15:1 სამგორი

1:0 ბობოხიძე (3), 2:0 ?. ბურდული (17), 3:0 აგაბაბიანი (20), 4:0 კობაიძე (26), 5:0 თ. მაისურაძე (35), 6:0 ბაბულაიძე (39), 7:0 კობაიძე (41), 8:0 ბობოხიძე (48), 9:0 აგაბაბიანი (51), 10:0 ჯუგაშვილი (63), 10:1 გ. კალანდაძე (72), 11:1 ჯუგაშვილი (73), 12:1 დაფქვიაშვილი (81), 13:1 ამონაშვილი (82), 14:1 კობაიძე (88), 15:1 ტარულაშვილი (89)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

ძაბუკიანი 1:4 აკადემია

0:1 ჯულელი (31), 0:2 კოჩაძე (38), 0:3 ჯულელი (44), 0:4 დ. ბურდული (51), 1:4 პაქსაშვილი (82)

გაფრთხილება: ჩაჩიბაია, ჩადუნელი (ორივე აკადემია)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

ქანაგკო 0:2 არსენალი 2

0:1 ი. ჩხაიძე (51), 0:2 ზ. მეტრეველი (83)

გაფრთხილება: ქენქაძე (ქანაგკო), ი. ჩხაიძე (არსენალი 2)

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

ხალიბი 2:1 დინამო 3

1:0 რაზმაძე (25), 1:1 ოლგესაშვილი (35), 2:1 ზაზაშვილი (85)

გაფრთხილება: ზაზაშვილი (ხალიბი), გეგეჭკორი, სახურია (ორივე დინამო 3)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ალგეთი 0:3 ალაზანი

აკადემია	27	23	2	2	65:10	71
ლარწყალი	27	22	5	0	85:16	71
ყვარელი	27	16	5	6	44:21	53
არსენალი 2	27	16	3	8	45:24	51
ჭაბუკიანი (-3)	27	16	4	7	50:27	49
კახეთი	27	14	6	7	63:33	48
ხალიბი	27	14	2	11	43:32	44
ზოოვეტი	27	11	7	9	48:43	40
დინამო 3	27	12	3	12	42:39	39
უნივერსიტეტი იბერია	27	8	4	15	24:37	28
ალგეთი	28	7	1	20	28:64	22
ალაზანი	27	6	2	19	30:65	20
მრეტები	27	5	2	20	26:56	17
სამგორი	27	4	3	20	29:80	15
ქანაგკო (-3)	27	3	3	21	19:97	9

„ბ“ ქვეჯგუფი
XXV ტური

20 მაისი

ცხუმი 3:0 მესხეთი

1:0, 2:0 ოდიშარია (25, 33), 3:0 დევდარიანი (61)

გაფრთხილება: სურმანიშვილი, სუდაძე (ორივე მესხეთი)

მსაჯი: ვ. ელოევი (ცხინვალი)

განთიადი 0:0 ქარელი

მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

დინამო 2 1:0 ცხინვალი

1:0 ლ. ბურდული (89)

გაფრთხილება: გ. მიქაძე (დინამო 2), ცხადაძე, ყაჩლავაშვილი (ორივე ცხინვალი)

გაძევება: რუხაძე (68, დინამო 2), ნასუაშვილი (89, ცხინვალი)

მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

საუ 5:2 ივერია

1:0 თალაკვაძე (7), 1:1 ა. ხმალაძე (29), 2:1 თალაკვაძე (39), 3:1 ა. მაისურაძე (71), 4:1 მაჭარაშვილი (77), 4:2 ა. ხმალაძე (79), 5:2 ელბაქიძე (89)

გაფრთხილება: გ. ნოზაძე (ივერია)

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

თორი 0:1 ლოკომოტივი 2

0:1 გ. ჯანელიძე (87)

გაფრთხილება: ქობესაშვილი, გ. ციცქიშვილი, პ. ნოზაძე (ყველა თორი), ნ. ბაქრაძე, სურმავა (ორივე ლოკომოტივი 2)

გაძევება: ტატუნაშვილი (85, თორი)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ვარძია 1:0 დილა 2

ჟინერი 0:3 იბერია

დინამო 2	24	22	0	2	73:15	66
ცხინვალი (-3)	25	20	2	3	68:15	59
ლოკომოტივი 2	24	16	3	5	61:34	51
ქარელი	25	15	4	6	52:19	48
ივერია	25	13	6	6	58:36	45
ცხუმი	25	12	4	9	47:33	40
განთიადი	25	10	5	10	40:42	35
საუ	25	9	5	11	46:44	32
თორი	25	8	2	15	33:42	26
მესხეთი	25	7	5	13	38:51	26
იბერია	25	8	1	16	49:60	25
ვარძია	25	5	4	16	22:64	19
დილა 2	25	5	3	17	28:60	18
ჟინერი	25	1	2	22	18:109	5

შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვთ სამი ქულა

საქართველოს ჩემპიონატი 30 ტური

ბოლო ტურის ხიბლი

კვირა საღამოს მეათე საუბილეო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდება. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი კიდევ ერთ ავად თუ კარგად ჩატარებულ გათამაშებას მიითვლის.

23 მაისს ბოლო, 30-ე ტურის რვა შეხვედრა გაიმართება. ყველა ნორმალური საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატში ბოლო ტურის მატჩებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრიზიორთა თუ საბოლოოდ განწირულთა გამოვლენის საქმეში. ფედერაციებიც ძალების სრული მობილიზებით ეგებებიან სეზონის ფინიშს და ფიზიზლად აკონტროლებენ გუნდებისა და თავიანთი წარმომადგენლების მოქმედებას — რა თქმა უნდა, მოსალოდნელი ჩაწყობილი თამაშებისგან თავის აცილების მიზნით. ასეთი ფაქტები ხომ ჩემპიონატის მიწურულს, სამწუხაროდ, ხშირად ხდება და არამარტო ჩვენში.

1986 წლის შემოდგომა იდგა. ბოლო ტურში ძალიან ბევრი რამ იყო გასარკვევი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში. აუტსაიდერთა ზონაში სრული ქაოსი სუფევდა. დაახლოებით ხუთი მატჩის შედეგი ერთმანეთზე იყო დამოკიდებული. სსრკ-ს ფეხბურთის ფედერაციამ მაშინ შემდეგ ხერხს მიმართა — მიუხედავად განსხვავებული სასაათო სარტყელებისა, ბოლო ტურის ყველა შეხვედრა შუა აზიის, ამიერკავკასიის, ბელორუსიისა თუ რუსეთის რესპუბლიკების ქალაქებში ერთდროულად დაიწყო. ამასთანავე კავშირგაბმულობის სამინისტროს ეთხოვა 90 წუთის განმავლობაში სატელეფონო კავშირი გაეთიშათ ყველა იმ სტადიონის ადმინისტრაციულ კორპუსში, რომლებიც თამაშებს მასპინძლობდნენ. ასე რომ, პრაქტიკულად გამორიცხული იყო ქუთაისში მატჩის მსვლელობის დროს გაეგოთ, რა ხდებოდა ერევანში, ვერც მინსკში გაიგებდა ვინმე ტაშკენტში მიმდინარე შეხვედრის ამბებს და ვერც სხვა რომელიმე ქალაქში... მას შემდეგ 13 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ცხოვრება განვითარდა (ჩვენი ფეხბურთისგან განსხვავებით). კომუნიკაციურმა საშუალებებმაც არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. კომპიუტერებმა და მობილურმა ტელეფონებმა დაიპყრეს სამყარო და ახლა რომელიმე სტადიონის ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცევა წარმოუდგენელია. ისე, საქართველოს ჩემპიონატში არცაა (ყველაფერი რამდენიმე ტურით ადრე ირკვევა) საჭირო მსგავსი მეთოდების გამოყენება თორემ რაღაცას მაინც მოიფიქრებდა გამჭრიახი გონება. ყოველივე იმისთვის გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ მეგრძნობინა ქომაგთათვის, რა ხიბლი უნდა ჰქონდეს სეზონის ფინიშს.

კენტ-ლუწური ინტრიგა

ოო, დიდი ინტრიგა აქვს მეათე ეროვნულის 30-ე ტურს. ვერც წარმოიდგენთ, როგორი. მავანი იკითხავს, 29-ე ტურში რომ, თითქმის ყველაფერი გაირკვაო? კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ ქართული გუნდები მარტო დღევანდელი დღით არ ცხოვრობენ. აგვისტოში მეთერთმეტე ჩემპიონატი აიღებს სტარტს და...

ჩვენი თაობის (არა რევოლუციამდელი) ბავშვობაში ერთ პოპულარულ თამაშს გავიხსენებ. „კენტი-ლუწი" ერქვა სახელად. დავიჭერდით ხელში ლიმონათის ბოთლისა თუ კომპოტის ქილის ეტიკეტს (რამდენიმე ცალს) და მოწინააღმდეგეს ვეკითხებოდით, კენტი თუ ლუწი? თუ გვიპასუხებდა, ლუწიო, მაშინ დავითვლიდით ეტიკეტების რაოდენობას და თუ მართლაც ლუწი აღმოჩნდებოდა, მეტოქის კუთვნილება ხდებოდა. საპირისპირო შემთხვევაში მას უნდა მოეცა იმდენივე (კენტი) ეტიკეტი. არავის გეგონოთ, ბავშვობაში სათამაშოები გვაკლდა. ეს თამაში სფფ-ს აღმასკომის ბოლო სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამახსენა. ქართული ფეხბურთის მამებმა „შერატონ მეტეხში" მე-11 ჩემპიონატის დებულება დაამტკიცეს, რომლის თანახმადაც მომავალ სეზონში პირველი ჯგუფი ორ რვაგუნდიან ჯგუფად გაიყოფა შემდეგი პრინციპის საფუძველზე — მეათე ეროვნულში კენტ ადგილებზე გასული კლუბები ერთად მოიყრიან თავს, ლუწ საფეხურებზე დამკვიდრებულნი კი ერთ ჯგუფში დაბანაკდებიან.

თუ გუნდების ამჟამინდელ სატურნირო მდგომარეობას დავაკვირდებით, პირველი ხუთეულის განლაგება პრაქტიკულად შეიძლება საბოლოოდ მივიჩნიოთ, რადგან ბოლო ტურში „კოლხეთი" „იბერიას" მასპინძლობს და თუ არ წააგო მეოთხე ადგილზე დაფუძნდება. მეოთხე საფეხურზე გამსვლელს კი ინტერტოტოზე მონაწილეობის დიდი შანსი აქვს და საჭვოა, ფოთელებმა იგი ხელიდან გაუშვან. მაშ, ასე:

1. დინამო
2. ტორპედო
3. ლოკომოტივი
4. კოლხეთი
5. ბათუმი

კენტების ჯგუფს მომავალ სეზონში სათავეში ჩაუდგება „დინამო", „ლოკომოტივი" და „ბათუმი", ლუწების ჯგუფს კი „ტორპედო" და „კოლხეთი". დღევანდელი მაჩვენებლების მიხედვით, დამეთანხმებით, აქედანვე იკვეთება კენტების ჯგუფის შესამჩნევი სიძლიერე ლუწებთან შედარებით. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ფორმაში იქნებიან გუნდები მე-11 ჩემპიონატისთვის. ამ ლოგიკას იქამდე მივყავართ, რომ დანარჩენი კლუბები შეეცდებიან, განერიდონ კენტების ჯგუფში მოხვედრას. ესეც თქვენი ბოლო ტურის კენტ-ლუწური ინტრიგა.

ბადრი კალილაძის ფოტო

პირველ წრეში, ვაკეში „ლოკომოტივმა" თსუ-ს 3:1 მოუგო. მეორე წრის ხვალინდელი შეხვედრაც ვაკეში გაიმართება...

კენტ-ლუწური პროგნოზები

„ოდიში" — „ვიტ ჯორჯია". დღეისთვის ვიტელები, ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, არასასურველ კენტ, მეშვიდე საფეხურზე იმყოფებიან და ყოველნაირად შეეცდებიან სტუმრად გამარჯვებას და ერთი ადგილით ანაცვლებას. ამაში ეჭვი არ გვეპარება, რადგან აწ მეორეჯგუფელ უსუსტეს „ოდიშს" არ შესწევს ძალა, გაუმკლავდეს „ვიტ ჯორჯიას", თანაც ნეიტრალურ მოედანზე, ხობში. ასე რომ, თბილისელები ალბათ მოიგებენ, მაგრამ...

„მერანი" — „დილა". სასურველი მე-6 ადგილის შესანარჩუნებლად ავჭალელებსაც უცილო გამარჯვება სჭირდებათ. და ალბათ იოლადაც მიაღწევენ ყოველივეს, რადგან „დილას" წაგება ხელს აძლევს. დიახ, წაგება. რატომ? გორელები მეათე, ესე იგი ლუწ საფეხურზე იმყოფებიან და მის შენარჩუნებაზე იზრუნებენ. მხოლოდ წყალტუბოელებს შეუძლიათ, ქართლელებს ხელი შეუშალონ, მაგრამ ამის მხოლოდ თეორიული შანსი არსებობს. „დინამო" — „სამგურალის" წყვილში ჩემპიონები არაფერს დაუთმობენ სტუმრებს. იოჰან ბოსკამპისთვის სულერთია პრინციპულია მატჩი, თუ არა. იგი კვლავ დიდი ანგარიშით გამარჯვებისკენ მოუწოდებს თავის შეგირდებს. თავს არც სტუმრები გამოიდებენ, რადგან სამ დღეში თასის ფინალი აქვთ სათამაშო. თანაც „სამგურალის" ახალი თავკაცი რევაზ ბურკაძეც შეეცდება, დამალოს თამაში.

ასეთ დროს კი „გორდა" — „გურიას" შეხვედრაში რუსთაველთათვის მე-12 ადგილის შესანარჩუნებლად ფრეა სასურველი. გამარჯვების შემთხვევაში ხომ წყალტუბოელებს გადაასწრებენ და... მე-11 ადგილი, წესით ხელს არ უნდა აძლევდეთ. ასე რომ, რუსთაველები ყველაფერს იღონებენ, რათა ლანჩხუთელები „ფოლადზე" ჩამოიყვანონ.

დიდი დავაა მე-8 და მე-9 ადგილებისთვის. „კოლხეთი" — „იბერიას" წყვილზე ზემოთაც ვილაპარაკეთ. ფოთელები არასდიდებით არ წააგებენ. თუმცა სატრედიელები ყოველნაირად შეეცდებიან სენსაციის მოხდენას და შესაბამისად ლუწი, მე-8 საფეხურის შენარჩუნებას. იმერლებს სერიოზული მდევარი ჰყავთ არმიელების სახით. „არსენალი" — „ბათუმის" მატჩის პროგნოზირება ერთობ ძნელია. ამ შეხვედრის შედეგი ფოთში გასამართ პაექრობაზეა დამოკიდებული და მყარი მობილური კავშირის დამყარებაა მოსალოდნელი „ისანსა" და „ფაზისს" შორის. „ბათუმი" კვლავ ინარჩუნებს მეოთხე ადგილზე გასვლის მცირე შანსს, მაგრამ თუ ფოთელებმა თავიდანვე შეძლეს სამტრედიელებთან სოლიდურად დაწინაურება, მაშინ არაა გამორიცხული, აჭარლებმა მოადუნონ ყურადღება და ამით „არსენალმა" იხეიროს. შედეგად არმიელები მე-8 ადგილს დაეუფლებიან.

გადათამაშებიდან თავის დაღწევის უმცირესი თეორიული შანსი მაინც აქვს თსუ-ს, მაგრამ, ეტყობა, სტუდენტები შეეგუვნენ ბედს და ამიტომაც უარი თქვეს ძვირადღირებულ „შევარდენის" სტადიონზე შინაური თამაშის გამართვაზე. თსუ — „ლოკომოტივი" ვაკეში ჩატარდება და სავარაუდოდ რკინიგზელთა გამარჯვებით დასრულდება.

თუ ზემოთ თქმული გამართლდა, მაშინ „სიონი" — „ტორპედოს" მატჩის შედეგი მნიშვნელობას კარგავს. გადათამაშების უცილო მონაწილე ბოლნისელები ყველა ვარიანტში მე-13 საფეხურს ინარჩუნებენ, ქუთაისელებმა კი წინა ტურში გაინაღდეს მე-2 ადგილი. კიდევ ერთი დეტალი. ორივე გუნდს სულ მალე პრინციპული შეხვედრების გამართვა უწევთ. „ტორპედოს" თასი ფინალი აქვს სათამაშო, „სიონს" კი გადათამაშება. წესით მშვიდ ორთაბრძოლას უნდა ველოდოთ.

როგორც ხედავთ, თითქმის ყველაფერი წინასწარაა ცნობილი, მაგრამ ხომ იცით, ბურთი მრგვალია...

ხვიჩა სანიკიძე

ხობი. ცენტრალური. 23 მაისი. 18 საათი

ოდიში — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თბილისი. „ისანი". 23 მაისი. 18 საათი.

არსენალი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ფოთი. „ფაზისი". 23 მაისი. 18 საათი

კოლხეთი — იბერია

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); დ. სანაია (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი), ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი. „მიხეილ მესხი". 23 მაისი. 18 საათი

თსუ — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. მენთეშაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ბოლნისი. „თემურ სტეფანია". 23 მაისი. 18 საათი

სიონი — ტორპედო

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე; მ. ურუშაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

რუსთავი. „ფოლადი". 23 მაისი. 18 საათი

გორდა — გურია

მსაჯები: ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. მალაღურაძე, მ. ელიკაშვილი; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი. „სინათლე". 23 მაისი. 18 საათი

მერანი — დილა

მსაჯები: გ. ასკაროლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ნ. ბაირამოვი (კასპი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

თბილისი. ეროვნული. 23 მაისი. 18 საათი

დინამო — სამგურალი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ს. კახიანი, ლ. სილაგავა; ო. მოლოდინაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

№	#	სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 დინამო (1)	1	29	23	5	1	85:17	+68	74	14	12	2	0	55:10	+45	38	15	11	3	1	30:7	+23	36
2 ტორპედო (4)	2	29	20	4	5	71:26	+45	64	15	12	2	1	41:9	+32	38	14	8	2	4	30:17	+13	26
3 ლოკომოტივი (6)	3	29	17	10	2	39:13	+26	61	15	10	5	0	21:4	+17	35	14	7	5	2	18:9	+9	26
4 კოლხეთი (3)	4	29	14	7	8	54:35	+19	49	14	10	1	3	35:12	+23	31	15	4	6	5	19:23	-4	18
5 ბათუმი (2)	5	29	12	11	6	48:22	+26	47	15	9	5	1	38:9	+29	32	14	3	6	5	10:13	-3	15
6 მერანი (7)	7	29	11	9	9	33:29	+4	42	14	6	5	3	11:7	+4	23	15	5	4	6	22:22	0	19
7 ვიტ ჯორჯია (10)	6	29	13	5	11	39:28	+11	41	15	7	3	5	19:11	+8	24	14	6	2	6	20:17	+3	20
8 იბერია (დ)	9	29	11	5	13	44:45	-1	38	15	6	4	5	25:17	+8	22	14	5	1	8	19:28	-9	16
9 არსენალი (დ)	8	29	9	11	9	34:43	-9	38	14	4	7	3	18:20	-2	19	15	5	4	6	16:23	-7	19
10 დილა (9)	10	29	10	5	14	37:50	-13	35	15	7	2	6	24:19	+5	23	14	3	3	8	13:31	-18	12
11 სამგურალი (12)	12	29	10	3	16	32:51	-19	33	15	6	1	8	17:20	-3	19	14	4	2	8	15:31	-16	14
12 გორდა (11)	11	29	7	10	12	26:44	-18	31	14	5	5	4	17:19	-2	20	15	2	5	8	9:25	-16	11
13 სიონი (13)	13	29	7	7	15	26:50	-24	28	14	5	6	3	16:14	+2	21	15	2	1	12	10:36	-26	7
14 თსუ (8)	14	29	6	9	14	27:42	-15	27	14	4	3	7	18:23	-5	15	15	2	6	7	9:19	-10	12
15 ოდიში (5)	15	29	6	2	21	20:67	-47	20	14	4	1	9	13:25	-12	13	15	2	1	12	7:42	-35	7
16 გურია (14)	16	29	3	3	23	32:85	-53	12	15	3	1	11	21:40	-19	10	14	0	2	12	11:46	-35	2

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

თასთა თასის ბოლო ოინი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ორი კაპიტანი

102 წლის „ვილა პარკი“ მართლაც ჩინებული სტადიონია, მაგრამ ერთი უცნაურობა ახასიათებს — პრეს-ლოჟა დასავლეთ ტრიბუნაზეა, მოწვეულ სტუმართა და კლუბების ხელმძღვანელთა კი — საპირისპიროზე. ამით ის მხოლოდ ჩვენი ეროვნულისგან კი არა, ყველა დანარჩენი ბრიტანული სტადიონისგან განსხვავდება (თუნდაც „უემბლი“ ავიღოთ, სადაც დედოფლის ადგილიც კი უბრალო მოკვდავი ჟურნალისტის ადგილისგან რამდენიმე მეტრშია). და მართალია, ოთხშაბათს პრეს-ლოჟაშიც არ იყო ბრწყინვალე გვართა ნაკლებობა (გულიტი, კაპელო...), საპირისპირო ტრიბუნაზე მართლაც ვარსკვლავთცვენა ყოფილა — თასთა თასის ბოლო ფინალზე უეფამ წინა 38 გათამაშების გამარჯვებული გუნდების გამორჩეული ფეხბურთელები მოიპატიჟა, ყველას ჩამოთვლა შორის წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე, მართლაც შესანიშნავ ფეხბურთელს ვახსენებ (თორემ ადელარდო როდრიგესი და ხავიერ სუბირატსი, ვინ იყვნენ, მეც ახლა გავიგე): გერდ მიულერი 1967 წლის „ბაიერნიდან“, სერ ჯეფრი ჰერსტი 65-ის „ვესტ ჰემიდან“, ფრენკ ვერკოტერენი 78-ის „ანდერლეხტიდან“, კურტ ჰამრინი 68-ის „მილანიდან“, ალან სიმონსენი 82-ის „ბარსადან“, მანფრედ კალცი 77-ის „ჰამბურგიდან“... ყოფილ საბჭოეთს, ცხადია, სამი კაცი წარმოადგენდა — ორი კიეველი (ვლადიმერ ონიშჩენკო და ანატოლი დემიანენკო) და დავით ყიფიანი, ვისაც 19 მაისის პროგრამაში „თბილისის დინამოს ნახევარდაცვის დინამო“ უწოდეს. სიტყვამ მოიტანა და იმ წერილში, GEORGIAN JOY FOR TBILISI რომ ჰქვია და რომელშიც „დინამო“ „იმ ხანად საბჭოთა დროშის ქვეშ მოთამაშე ქართულ გუნდადაა“ მოხსენიებული, არც ახალკაცის, შენგელიას, გუცაევის და ჩვენი გუნდის ნამდვილი კაპიტნის ალექსანდრე ჩივაძის დამსახურება გამორჩენიათ. ეგ კი არა, ვგონებ ჩივაძეც ყოფილა „ვილა პარკზე“ მოწვეული, თუმცა საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელთაგან არცერთი მინახავს — რომელი სალასი ან მანჩინი მე ვიყავი, მთელი მოედანი გადამეკლო თანამემამულეთა სანახავად, ჭოგრიტით ფეხბურთზე სიარული კი ნამდვილად არაა ჩემი საყვარელი საქმიანობა.

ENGLAND 2006

„იმედია, ამ მატჩის სათანადო დონეზე ჩატარებით ჩვენ წავეხმარებით ინგლისს, რათა მან 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვოს“ — განაცხადა „ასტონ ვილას“ მდივანმა სტივ სთრაიდმა, რომლის ხელმძღვანელობით მართლაც ყველაფერი ჩინებულად ჩატარდა.

დავიწყოთ გულშემატკივრით. იმ დღეებში ბირმინგემს ორივე გუნდის დაახლოებით 20 ათასი ქომაგი ეწვია. მთელი ეს ტალღა ძირითადად ამ არცთუ შთამბეჭდავი ქალაქის პატარა, თუმცა ულამაზეს ცენტრალურ ნაწილში მოთავსდა. ეს, ცხადია, გათვლილი ჰქონდათ ქალაქის ხელმძღვანელებს და ათასობით სამხრეთელს ათასი გასართობი დაახვედრეს. ქუჩებსა და მოედნებზე ერთმანეთს ცვლიდნენ ორკესტრები, ანსამბლები (ძირითადად სამბა, ჩუმბა, ჩამბავუმბა და მსგავსი რეპერტუარით), ილუზიონისტები, აკრობატები. თანაც, ამა თუ იმ წარმოდგენის შემდეგ ვედრითა თუ ცილინდრით სიარული არავის უცდია — ყველაფერი ბირმინგემის მერიის დაფინანსებული გახლდათ. ამას დაუმატეთ, რომ ბევრმა სკოლამ მთელი კლასები გაუშვა (ცხადია, მასწავლებლებითურთ) ქალაქის ცენტრში — ბავშვების გარეშე რა ზეიმიაო. მოკლედ, იქ რომ კაცს ჩხუბი აგეტეხა, პოლიციაში კი არა, საგიჟეთში იყავი წასაყვანი. თანაც, ამ ყველაფერს, დიდი-დიდი 10-15 პოლიციელი ადევნებდა თვალყურს. სამაგიეროდ, ბირმინგემის ცენტრიდან ვითონისკენ (უბანია, სადაც „ვილა კარკი“ მდებარეობს და სადაც მოსახლეობის 90 პროცენტს აზიელი ემიგრანტები შეადგენენ) მიმავალ ყველა მატარებელში სულ მცირე ოთხი წესრიგის დამცველი მორიგეობდა, თუმცა ისინი უცხოტომელთა დაკვალიანებით უფრო იყვნენ დაკავებულნი. უცხო ბიუროები ის სამი დღე სამ ენაზე მეტყველებდნენ. ეგ კი არა, ლამის ყველა მაღაზიასა თუ კაფერესტორნების პერსონალსაც საგანგებოდ ამ დღისთვის საყველპურო იტალიურ-ესპანური ესწავლათ. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო — მიეცით ინგლისს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, არ ინანებთ, მით უმეტეს, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც ინგლისელი ფანები სხვებს არ ცემენ, თავად ინგლისია.

REUTERS ბირმინგემიდან

თასთა თასი „ლაციოს“ ჩაბარდა

ლესტერელი პაიჭაძეზე

დღევანდელი წერილის ეს მონაკვეთი რიგით მკითხველს, ალბათ, არც დააინტერესებს, რადგან აქ ჩვენზე, სპორტულ ჟურნალისტებზე იქნება საუბარი. უფრო სწორად იმაზე, როგორ პირობებს უქმნიან ჩვეულებრივ ქვეყნებში ამ პროფესიის ხალხს.

თავიდანვე გეტყვით, რომ ის, რაც ოთხშაბათს „ვილა პარკზე“ ხდებოდა (მატჩის ორგანიზაცია მაქვს მხედველობაში), არაფრით განსხვავდებოდა იმისგან, რაც, ვთქვათ, „ფულემ“ — „ჯილინგემის“ მატჩისას ხდება.

მაშ ასე. თამაშის წინა დღეს მედიის აკრედიტაციის ცენტრში კუთვნილი ბილეთი და ქურთუკზე დასამაგრებელი ყვითელი ფერის ბარათი მივიღე. ცხადია, „ცოფიანი ძაღლების“ ერთ-ერთი გმირივით მინიჭებული ფერის შეცვლაზე კრინტი არ დამიძრავს, რადგან ამის მერე საერთოდ აღარ დამჭირვებია ვინმესთვის ჩემი პროფესიის შეხსენება: ნებისმიერმა პოლიციელმა, სტიუარტმა თუ იმ დღისთვის დაქირავებულმა მომსახურე პერსონალმა იცის, რომ ამ ფერის ბარათის მქონე პიროვნება (ჩაცმულობის თუ შესახედაობის მიუხედავად) თავისი საქმის შესასრულებლადაა ჩამოსული და შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეუწყოს. მე ვიცი, რომ ამ ჩემი ყვითელი ბარათით ვერ შევალ, ვთქვათ, ცისფერბარათიანთა ოთახში (ეს იმ დღეს უეფას მუშაკთა ფერი იყო) და ვერც ჩივაძის სანახავად შევაჭრი წითელბარათიანებთან ერთად. პრესის სამუშაო ოთახი, პრესკონფერენციის დარბაზი, ჟურნალისტთა ავტომანქანების სადგომი და ცხადია, პრეს-ლოჟა — აი, ის ადგილები, სადაც თავისუფლად შემესვლება. თვით ფოტორეპორტიორთა დარბაზშიც კი არავინ შემიშვებს. კარგით, მოვხვდი პრესის სამუშაო დარბაზში. ლეპტოპიანი კოლეგებისგან განსხვავებით ცარიელ ფურცლებს ვაძრობ და წერას ვიწყებ. მალე ჩაის ან ყავას მთავაზობენ. უარს ვამბობ, თუმცა, სამაგიეროდ, ფაქსის აპარატის კოორდინატებს ვითხოვ. „ასტონ ვილას“ ემბლემიან კოსტუმში გამოწყობილი, ასე 45-იოდე წლის კაცი, ამისთვის მზად არაა — ჩემს გარდა ფაქსი არავის დასჭირვებია. რაციით მავანს უკავშირდება („აქ ვიღაცას ფაქსი მოუნდას“ არ ამბობს — აქ ჯენტლმენს სასწრაფოდ ფაქსის გაგზავნა ესაჭიროებაო). მეუბნება, რომ ფაქსი მხოლოდ უეფას მუშაკთა ოთახშია, თუმცა მე იქ არ შემიშვებენ და ამიტომ თავად მომყვება (მანძილი სადღაც 400 მეტრია). ეუფელთა სადარაჯოზე მყოფი პოლიციელიც ჩვენთან ერთად მოდის და მანამ არ გვშორდება, სანამ აპარატი OK-ით არ გვამშვიდებს. რამდენია გადასახდელი — გავიქაჩე (ქართველი არა ვარ?), თუმცა დარწმუნებული ვარ, „ასტონ ვილა“ სულაც არ აპირებს ჩემ ხარჯზე ბიუჯეტის შევსებას. როგორ გეკადრებათ, პირიქით, ბოდიში, რომ ფაქსის აპარატი თქვენს დარბაზში ერთგან დარგულა ხანია, არავის მოუხმარია და ეგნებავთ, ხელასთვის დაგვგავი. ორა, გმადლობთ ჩემამდე.

ხვალისთვის, ანუ ოთხშაბათისთვის ჩვენი სამუშაო დარბაზი მართლაც უკვე გადატენილია. გატენილია ჩემი მომცრო ჩანთაც — ბუკლეტები, წიგნები, ასობით ფურცელი ინფორმაცია („მასაც კი გვაცნობენ, რომ მალიორკელთა არგენტინელ ლეო ბიაჯინის (BIAGINI) 1995 წლის იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყატარში მაისურზე BIAGGINI ანუ ერთი G ასოთი მეტი ეწერა). ცალკე ვთქვათ ბუფეტზე. ცხადია, ყველაფერი უფასოა, თუმცა ფინალია მაინც და განსხვავება იგრძნობა: პირველად ვნახეთ ინგლისური სტადიონის პრეს-დარბაზში მწვადი ხის შამფურებზე. მალე შილასაც ჩამოატარებენ — ვფიქრობ კმაყოფილი და მახსენდება, რომ დღეს თასების თასის ბოლო ფინალია.

და მაშინ, როცა დესერტიც (თორმეტნაირი ტორტი) გეახელით და გუნდების შემადგენლობებიც ჩამოგვირიგეს, ერთი ადგილობრივი კოლეგა გამომელაპარაკა. ლესტერელი ყოფილა. ადრე ლინეკერთან ერთად უთამაშია კიდეც, მაგრამ იტალიური ფეხბურთი მოწონს და ინგლისურს აძაგებს. თამაშის ყაიდას ვინ ჩივის, ამ თორმეტნაირი ტორტის არსებობაც არ ეხატება გულზე — ფულმა წალეკა ყველაფერი, აღარ იციან, სად წაიღონ, შემადგენლობის დარიგება კი 7 წუთით დააგვიანესო. მოკლედ, ხასიათზე ვერ იყო. თუმცა საბოლოოდ პრესლოჟისკენ კმაყოფილი წაბრძანდა. რატომ? უბრალოდ მოვუყევი, რომ ტორტი, მწვადი თუ 7 წუთი მთავარი არაა — ბევრი ჩემი კოლეგა ჩვენს სტადიონზე ღობიდან ძერება და ისე ხვდება პრესლოჟაში-თქო. რატომ და ლამის ლუკმა ყელში გაეჩხირა. იმიტომ, რომ იქ, სტადიონის შესასვლელში შეიძლება ისეთი ვინმე დაგხვდეს და ისეთი რამ გითხრას, მეექვსე მცნების შესრულება წამსვე გადაიფიქრო-მეთქი. ისე, ეგეთიც უნდა გამოცადოს კაცმაო — ვითომ იხტიბარი არ გაიტეხა, თუმცა შევატყე, პაიჭაძეზე სტუმრობა მის ოცნებად არ ქცეულიყო.

ჩაო, ბირმინგემ!

ლონდონისკენ მიმავალი ბოლო მატარებელი ფელინის გემს ჰგავდა — გარეთ ღამე, თავსხმა წვიმა (ბუნებამაც დაიტირაო თასთა თასი — მომდის შთაბეჭდილებებით გამოტენილ თავში), შიგნით კი შუქი და ათასობით იტალიელი, უზომოდ გახარებული და ამავე დროს დაცლილი. უკვე აღარავინ ყვირის, თუმცა გაუთავებლად ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ ჩახრინწული ხმით და არ ჩერდებიან. ასეა ლონდონის იუსტონის სადგურამდე. ჰო, რაზე ლაპარაკობდნენ? რაზე და ვინ გადის ჩემპიონთა ლიგაში, ვინ შეხვდება „ლაციოს“ ჯგუფში, ზაფხულში თუ მოუგებენ „მანჩესტერს“ (სუპერთასზე), შეიცვლის თუ არა მაისურას ფერს მათი გუნდი. მოკლედ, ათას რაღაცას მიედ-მოედნენ და სიტყვაც არ დაუძრავთ ორიოდ საათის წინ დამთავრებულ მატჩზე.

REUTERS ბირმინგემიდან

„ლაციოს“ (მარცხნივ) და „მალიორკას“ ფანებს მშვენიერ „ვილა პარკზე“ მოსაწყენად არ ეცალად

მუვიდი და ფიქრიანი ბოპი

ელი ბოპი, არსენ ვენგერისდროინდელი საფრანგეთის უნივერსიტეტის გუნდის მეკარე, კაცი, რომელსაც საკუთარ სამშობლოშიც კი არავინ იცნობდა, ჩრდილიდან გამოვიდა, „ბორდოს“ სათავეში ჩაუდგა და ისტორიაში მეხუთე ტიტულისკენ მიჰყავს.

ბოპის გამოცდილება მწირია, სულ ერთი სეზონია, რაც პირველი დივიზიონის გუნდს ხელმძღვანელობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ბორდო“ ძალიან ახლოსაა მწვერვალთან. სხვათაშორის, ფაბიენ ბარტეზი ამბობს, დღეს ეროვნული ნაკრების კარს რომ ვიცავ ბოპს უნდა ვუმადლოდეო.

ამ საღამოს, ცხრილში ერთი ქულით დაწინაურებულმა „ბორდომ“ „ლიონს“ რომ მოუგოს, ხოლო „მარსელმა“ შინ „ოსერთან“ მარცხი იწვნიოს, ბოპი ჩემპიონობას იზეიმებს, თუმცა 29 მაისს, საფრანგეთის ჩემპიონატის დამთავრების დღეს, საბოლოო ცხრილში „ბორდო“ „მარსელის“ შემდგომ, მეორე ადგილზეც რომ გავიდეს, ჟირონდელთა თავკაცი მაინც კმაყოფილი დარჩება, რამეთუ მის კოლეგათა უმრავლესობის აზრით ამჟამად, ქვეყანაში ყველაზე დახვწილი გუნდი სწორედ მას ჰყავს.

„ბორდოს“ ხუთი ფეხბურთელი, სამი ნახევარმცველი და ორი ფორვარდი გასულ უქმეებზე სეზონის სიმბოლური გუნდის შემადგენლობაში დაასახელეს და ეგრეთწოდებული საფეხბურთო ოსკარები ჩამოურიგეს, ხოლო გამთამაშებელი ალი ბენარბია სულაც წლის საუკეთესო ფეხბურთელად აკუთრხეს.

რაც შეეხება „ბორდოს“ უმთავრეს მეტოქესა და კონკურენტს, „მარსელს“, მისგან რჩეულ თერთმეტში მხოლოდ ერთი მოთამაშე, მცველი ლორან ბლანი შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის თავდასხმაში თამაშობენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან რობერ პირესი, კრისტოფ დიუგარი, ფაბრიციო რავანელი და ფლორიან მორისი.

საყოველთაო აზრით „ბორდოს“ ლიგაში საუკეთესო თავდასხმა ჰყავს, რომელშიც ჩემპიონატის ორი საუკეთესო მეგოლე სილვაინ ვილტორდი და ლილიან ლასლანდი შედიან. გუნდს 32 შეხვედრაში 62 გოლი აქვს გატანილი. საუკეთესო დაცვაც ჟირონდელებს ჰყავთ, მათი კარი ხომ მხოლოდ 27-ჯერ დალაშქრეს მოწინააღმდეგეებმა.

საინტერესოა „ბორდოსა“ და „მარსელის“ მწვრთნელთა დაპირისპირებაც. ბოპი მშვიდი, ურეკლამო კაცია, როლან კურბისი კი პირიქით, ცნობილი და ასე განსაჯეთ სკანდალურიც კი.

„კურბისი ფეხბურთელთა ცვლის მეთოდს ანიჭებს უპირატესობას. მას ფართო არჩევანი აქვს, ბევრი ფეხბურთელი ჰყავს და შემადგენლობის ნაირგვარობაზე მუშაობს, ხოლო ბოპი უფრო სათამაშო ფორმულაზე ფიქრობს და ცდილობს სხვადასხვა გარემოებანი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს“ — ახასიათებს კოლეგებს „მარსელის“ ყოფილი მწვრთნელი ჟერარ ჟილი.

ბოპი ოცი წლისაც არ გახლდათ, როდესაც საშინელ ავტოკატასტროფაში მოხვდა და ბედად გადარჩა. ეს სწორედ ის პერიოდი გახლდათ, როდესაც მას სწამდა, რომ, როგორც გოლკიპერს, დიდი მომავალი ელოდა.



ელი ბოპი

„არც კი მეგონა ოდესმე კიდევ თუ გავიკლიდი“ — ამბობს 44 წლის ბოპი, როდესაც საავადმყოფოში ექვსთვიან წოლას იგონებს — „იმ ხანგრძლივი დღეების განმავლობაში ცხოვრების ფასი და გემო გავიგე. მივხვდი, რომ ბედს შეიძლება შეეწინააღმდეგო“.

სოციოლოგიურ მეცნიერებათა ხარისხის მქონე ბოპმა საავადმყოფოდან გამოსვლის მერე საფრანგეთის უნივერსიტეტის ნაკრების კარისკენ გაიკვლია გზა, სადაც არსენ ვენგერთან და გი სტეფანთან ერთად თამაშობდა. სხვათაშორის სწორედ გი სტეფანი გახლდათ ბოპის წინამორბედი „ბორდოს“ მწვრთნელის თანამდებობაზე.

„ბოპმა აღმომაჩინა, შემქმნა და მხარში ამომიდგა, როდესაც „ტულუზის“ დირექტორებს ჩემი თავიდან მოშორება სურდათ“ — ეს სიტყვები კი ფაბიენ ბარტეზს ეკუთვნის — „მე ვარ ის, რაც ელი ვერ გახდა და სწორედ ამიტომ ვმეგობრობთ“.

ბოპმა სამწვრთნელო კარიერა „ტულუზის“ ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო, საიდანაც „სენტ ეტიენში“ გადავიდა იქაური ახალგაზრდული სკოლის აღდგენა-ამუშავებაში დიდი წვლილი. შედეგიც მოიმკო, „სენტ ეტიენმა“ ამ სეზონში პირველი დივიზიონის საგზური მოიპოვა, თუმცა ამ დროს ბოპი უკვე „ბორდოში“ იყო და გუნდთან ნახევარწლიანი მუშაობის შემდეგ იგი უეფას თასის მეოთხედფინალამდე ჰყავდა მიყვანილი. მომავალ სეზონში „ბორდო“ სულაც ჩემპიონთა თასზე ითამაშებს.

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მცველი პატრიკ ბატისტონი ამბობს:

„ბოპი მაძიებელია. ის მუდმივად ეძებს განვითარების საუკეთესო გზას და როგორც წესი პოულობს კიდეც“.

რეჟს გოგვარი, როიტერი

ლიბერტადორესის თასი
ნახევარფინალის პირველი მატჩები

რივერ პლეიტი (არგენტინა) 1:0 პალმეირასი (ბრაზილია)

1:0 ბერტი (48)

რივერ პლეიტი: ბონანო, სარაბია, სორინი, ლომბარდი, ასტრადა, ბერისო, სავიოლა, ესკუდერო (განსედო 46), ანხელი (კასტილიო 77), გალიარდო, ბერტი

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ჟუნიორ ბაიანო, კლებერი (როკე ჟუნიორი 16), რუბენსი, სეზარ სამპაიო, როჟერიო, გალეანო (ოსეასი 75), ზინიო, პაულო ნუნეში, ალექსი (რივაროლა 80)

გაყვრთხილება: როჟერიო (11), ბერტი (21), გალიარდო (37)

გაძევება: ჟუნიორ ბაიანო (80), ასტრადა (89)

მსაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი)

დეპორტივო კალი (კოლუმბია) 4:0 სერო პორტენო (პარაგვაი)

1:0 კასტილიო (35), 2:0 კანდელო (46), 3:0 კორდობა (86), 4:0 პერესი (88)

დეპორტივო კალი: დუდამელი, მარერო (კანდელო 30), მოსკუერა, იეპესი, ბედოია, ურტადო, ვალენსია (პერესი 50), ვივეროსი, ბეტანკორტი (კორდობა 72), კასტილიო, ბონილა

სერო პორტენო: ასევალი, რეკალდე, ბლანკო, პერალტა, ტოლედო, გომესი, აგილერა, გავილანი, კამპოსი (დ. კაბალერო 68), ალვარენგა (ფერნანდესი 77), მ. კაბალერო (ესკობარი 77)

გაფრთხილება: ტოლედო (5), ვივეროსი (51), ბედოია (66), აგილერა (85)

გაძევება: ტოლედო (66)

მსაჯი: ანხელ სანჩესი (არგენტინა)

რივერ პლეიტი — პალმეირასი 1:0. არგენტინელთა გამარჯვება ძირითადად მარსელო გალიარდომ (მარცხნივ) განაპირობა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
IV ჯგუფი.
საფრანგეთი - რუსეთი

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ფაბიენ ბრტეზი (მონაკო), სტეფან პორატო (მარსელი); მცველები — ლორენ ბლანი (მარსელი), მარსელ დესაი, ფრანკ ლებეფი (ჩელსი, ინგლისი), ლილიან ტურამი (პარმა, იტალია), ვინსენ კანდელა (რომა, იტალია); ნახევარმცველები — კრიტიან კარემბუ (რეალი, ესპანეთი), ალან ბოგოსიანი (პარმა, იტალია), დიდიე დეშამი (იუვენტუსი, იტალია), ვიკაშ დორასო (ლიონი), ემანუელ პეტი, პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი); თავდამსხმელები — იური ჯორკაეფი (ინტერი, იტალია), ნიკოლა ანელკა (არსენალი, ინგლისი), რობერტ პირესი, კრისტოფ დიუგარი (მარსელი), სილვიან ვილტორდი (ბორდო)

ინგლისი
პლეი ოფი
პირველი დივიზიონი
ბირმინგემი 1:0 უოტფორდი
1:0 ადებოლა (2)
პენალტებით 6:7
(პირველი მატჩი 0:1)
ფინალი „ბოლტონი“ — „უოტფორდი“
31 მაისს „უემბლიზე“ გაიმართება

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ფეხბურთის რუბასთან

ინგლისის ყველაზე პოპულარული გაზეთის, „სანის“ ცნობით, ქვეყნის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბარსელონაში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში სათამაშოდ ბრიტანეთის ავიახაზების კუთვნილი „კონკორდით“ გაფრინდება. იმავე გაზეთის მიხედვით, ოლდტრეფორდელ კლუბს ეს სიამოვნება სულ რაღაც 242 ათასი დოლარი დაუჯდება. „ჩვენ ვამაყობთ „მანჩესტერ იუნაიტედით“ და მოხარული ვართ, რომ ქვეყნის ჩემპიონმა სწორედ ჩვენი თვითმფრინავით მგზავრობა გადაწყვიტა. მისთვის სიურპრიზიც გვაქვს მომზადებული“ — განაცხადა ავიაკომპანიის წარმომადგენელმა. კლუბი ბარსელონაში ორშაბათს გაფრინდება ლონდონის „ჰითროუს“ აეროპორტიდან.

ირლანდიის თასის მფლობელი, როგორც იქნა, გაიმარჯვა — 20 მაისს დუბლინში „ბრეი უონდერერსმა“ 2:1 დაამარცხა „ფინ ჰარპსი“. გამარჯვებულთაგან ორი გოლი გაიტანა ჯეისონ ბერნმა — 37-ე და 71-ე წუთებზე, თუმცა ანგარიში ჯონათან სპიკმა გახსნა მე-11 წუთზე. „ბრეი უონდერერსმა“ ქვეყნის თასი მხოლოდ და მხოლოდ მეორედ მოიპოვა, თუმცა ეს სეზონი მისთვის მაინც წარუმატებლად შეიძლება ჩაითვალოს — კლუბი ირლანდიის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა. შეგახსენებთ, რომ თასის მფლობელი მესამე ცდაზე გაიმარჯვა — 9 მაისს ამ გუნდებს შორის მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა, გადათამაშებაში კი კვლავ ფრე 2:2.

შვეიცარიის თასის ნახევარფინალები ხუთშაბათს გაიმართა: მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერმა“, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატსაც ლიდერობს, სტუმრად მეორე დივიზიონის „რედ სტარი“ დაამარცხა 7:0, ხოლო „ლოზანამ“ 1:0 სძლია მასპინძელ „სერვეტს“.

შვედეთის თასის მფლობელი გახდა სტოკჰოლმის აიკი, რომელმაც ჯილდო მეშვიდედ მოიპოვა. ფინალის საპასუხო მატჩი აიკსა და „გიოტებორგს“ შორის ფრედ 0:0 დასრულდა, თუმცა პარასკევს სტოკჰოლმში 1:0 მოგების წყალობით თასი აიკს დარჩა.

უნგრეთის თასი პირველად მოიპოვა „დებრეცენმა“, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში მეორე დივიზიონის „ტატაბანია“ დაამარცხა 2:1. ცნობისათვის: ამ გათამაშებამდე „დებრეცენი“ თასის მეოთხედფინალს არ გასცდენოდა. ჯილდოს მოგებით კლუბი უეფას თასის საგზურს დაეუფლა.

დანიის ჩემპიონატის 29-ე ტურის შეხვედრები ხუთშაბათს გაიმართა: ორჰუსი — ბრონდბიუ 3:3, B93 — ვიბორგი 0:5, ერფოლგე — ფრემადი 2:2, ლუნგბიუ — კოპენჰაგენი 3:1, სილკებორგი — ვეიღე 4:3, ოლბორგი — AB 2:0. ჩემპიონატს 59 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს „ოლბორგი“. 55 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ „ბრონდბიუს“, ხოლო 50 ქულით მესამეზეა კოპენჰაგენის AB.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ქვეყნის ორი კლუბი — „პარი სენ-ჟერმენი“ და მარსელის „ოლიმპიკი“ 20-20 ათასი დოლარით დააჯარიმა. საქმე ისაა, რომ ამ გუნდებს შორის ჩემპიონატში თამაშის შემდეგ მეტოქეთა გულშემატკივრებმა დიდი დებოში-ატეხეს და პარიზი გარკვეულწილად აზარალეს. ის შეხვედრა პსჟ-მ 2:1 მოიგო. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ასევე გაფრთხილა პარიზული კლუბის იტალიელი თავდამხმელი მარკო სიმონე, რომელმაც მარსელელთა ქომაგები მათივე კლუბის კარში გოლებს შეგდების შემდეგ გამომწვევი ჟესტებით გააბრაზა.

რუსეთის ნაკრების ექიმის, იური ვასილკოვის განცხადებით, 5 ივნისს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთთან მატჩში გუნდს შესაძლოა ნახევარმცველი დმიტრი ალეინიჩევი დააკლდეს. „მას მძიმე ტრავმა აქვს და სავარაუდოდ მისი ნაკრებში თამაში გამორიცხულია. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, დმიტრის ხელი შევუწყოთ და ტრავმა განვუკურნოთ, მაგრამ მეეჭვება, ეს 5 ივნისამდე მოხერხდეს“ — განაცხადა ვასილკოვმა. მან ნეკნი მოიტეხა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის 1997 წლის საუკეთესო ფეხბურთელს ნაკრების შემადგენლობაში შარშან საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თბილისშიც უასპარეზია.

პარაგვაელმა თავდამსხმელმა როკე სანტა კრუზმა, რომელიც აპრილში დასრულებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე შეუდარებლად თამაშობდა, მიუნხენის „ბაიერნის“ ექიმებთან შემოწმება გაიარა და, ალბათ, გახდება კიდეც გერმანული კლუბის წევრი. „ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ვიმედოვნებ, რომ თავს არ შევირცხვენ“ — განაცხადა სანტა კრუზმა. გერმანული პრესის ცნობით ფეხბურთელის სანაცვლოდ ასუნსიონის „ოლიმპია“ „ბაიერნისაგან“ 8,2 მილიონ დოლარს მიიღებს. სანტა კრუზი მიუნხენელებთან ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას დაყაბულდა. „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი ტრანსფერს დიდი სიხარულით არ შეხვედრია — მისი აზრით, 17 წლის როკე სანტა კრუზს გუნდში დამკვიდრება ძალიან გაუჭირდება. ბეკენბაუერისავე თქმით, ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები ძალიან ყოფილან დაინტერესებულნი ექსლევერკუზენელი, ახლა კი იტალიის „რომაში“ მოთამაშე ბრაზილიელი პაულო სერჟიოთი. იტალიური კლუბი ბრაზილიელის სანაცვლოდ 15 მილიონ მარკას ითხოვს.

იაპონელი გამთამაშებელი ჰიდეტოში ნაკატა, ალბათ, გახდება პირველი ფეხბურთელი, ვინც ზედიზედ მეორედ მოიპოვებს აზიის საუკეთესო მოთამაშის ტიტულს. ნაკატას, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თვალსაჩინოდ ითამაშა და იტალიის სერია A-ს კლუბ „პერუჯაში“ გაიბრწყინა, სამი კონკურენტი ჰყავს — ირანელი ალი დაეი, რომელიც მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობს, ჩინელი მცველი, ინგლისურ „კრისტალ პალასში“ მოთამაშე ფან ზიუი და ქუვეითელი თავდამსხმელი ალ ჰუვაიდი.

ბელარუსის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ჯგუფში 5 ივნისს დანიას ხვდება. თუმცა, როგორც ჩანს, ნახევარმცველი ვიაჩესლავ გერაშჩენკოს გარეშე მოუწევს სკანდინავიელებთან დაპირისპირება. ნაკრების მწვრთნელის, მიხაილ ვერგეენკოს განცხადებით, გერაშჩენკოს არყოფნის მიზეზი მძიმე ტრავმაა — ოთხშაბათს, ტულაში, რუსეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ნახევარმცველმა კოჭი დაიმსხვრია. „ვიაჩესლავი, ალბათ, კარგი ხნით დაგვაკლდება“ — განაცხადა ვერგეენკომ.

ინგლისის თასის ფინალში გასული „ნიუკასლის“ ირლანდიელი მეკარე შეი გივენი შესაძლოა კლუბიდან წავიდეს. თითქმის ერთი თვის წინ „ევერტონთან“ მატჩში გივენმა სუსტად ითამაშა და კლუბის მწვრთნელმა რუდ გულიტმა იგი აითვალწუნა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

მარადონას მსგავსი



არონ ჰიუზი და ალან შირერი დიდი მატჩისთვის ემზადებიან

„ნიუკასლისთვის“ თითქმის ყველაფერი შარშანდელივითაა: გუნდმა კვლავ მე-13 ადგილი დაიკავა პრემიერლიგაში, კვლავ გავიდა ასოციაციის თასის ფინალში და იქ კვლავ ჩემპიონს ხვდება. თუ შარშანდელი ბოლომდე განმეორდა, მაშინ დღეს გულიტის გუნდმა უნდა წააგოს. ასე იყო გასულ სეზონში, „არსენალმა“ 2:0 იმარჯვა.

ფავორიტი, რა თქმა უნდა, „მანჩესტერია“, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ერთ თამაშში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თანაც, ნიუკასლელთა ბანაკში საბრძოლო განწყობილებაა, ყველა მოგებაზე ფიქრობს. ამაზე ალან შირერის სიტყვებიც მოწმობს — შარშან თასი ტონი ადამსის ხელში რომ დავინახე, კინალამ გული გამისკდა, არ მინდა, ახლაც იგივე დამემართოს, ამიტომ მეტოქეს უნდა ვაჯობოთო.

მთავარი კითხვა, რომელიც „ნიუკასლის“ ქომაგებს აწუხებთ, ის არის, თუ როგორ შეაჩერებს რუდ გულიტი დუაიტ იორკისა და ენდი კოულის მრისხანე დუეტს. ამ კითხვაზე პასუხი კიკინებიან ჰოლანდიელს თურმე მზად აქვს — ლორენ შარვე, ფრანგი მცველი, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო 5 აპრილის შემდეგ აღარ უთამაშია. გულიტის თქმით, იგი აუცილებლად გავა „უემბლიზე“, ვინაიდან ფორმაშია და თანაც სხვა მცველები, სტივ ჰოუი და დევიდ ბეჰაროლი, დაშავებულნი არიან.

— მე არ ვრისკავ, რადგან 100 პროცენტით გამოვჯანმრთელდი. მთელი ორი თვე ვოცნებობდი ფინალში თამაშზე და აი, ყველაფერი რიგზეა. „მანჩესტერ იუნაიტედს“ დიდ პატივს ვცემ, ძალიან კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ მოვიგებთ. ერთ მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თასი ნიუკასლში უნდა ჩავიტანოთ, ჩვენი ქომაგები ხომ მთელი 44 წელია, ამას ელიან — ამბობს შარვე. ის კი ამბობს ამას, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, სეზონში 50 გოლის გამტანი წყვილის შეჩერება ასეთი ადვილი საქმე იყოს. ამასთან ერთად, „მანჩესტერში“ მარტო იორკს და კოულს არ ეხერხებათ ბურთის კარში შეგდება. თუნდაც რაიან გიგზი ავიღოთ, უელსელი მარცხენა გარემარბი, რომელმაც ასოციაციის თასის ნახევარფინალში ლონდონის „არსენალს“ ზღაპრული გოლი გაუტანა.

გიგზის აზრი ასეთია:

— ყველაზე ლამაზი გოლი, რაც კი ცხოვრებაში მინახავს, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დიეგო მარადონამ შეაგდო. ძალიან მსიამოვნებს, როცა „არსენალის“ კარში ჩემს მიერ გატანილ ბურთს მარადონასას ადარებენ და ამიტომ მთელი სულით და გულით ვეცდები, შაბათს მსგავსი რამ გავიმეორო. საერთოდ, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, მოვიგოთ, „ნიუკასლთანაც“, ბუნებრივია, ასე იქნება. თუ თასი ავიღეთ, დიდებული იქნება, თუმცა უფრო დიდი სიხარული ჩემპიონთა ლიგის ძიებაში შემთხვევაში გველის.

გარდა ამისა, თქვენ, ალბათ, და კომენტატორებმა ამას წინათ პოლ სქოულზეც დაემუქრა, ჰეთრიქი ჩემზე იყოსო. ასე რომ, „ნიუკასლს“, განსაკუთრებით მის დაცვას, დღეს არნახულად გაუჭირდება.

თავის მხრივ, „მანჩესტერი“ ყველაზე უფრო ალან შირერს უფრთხის, რომელსაც მიმდინარე სეზონში სულ 21 გოლი აქვს გატანილი. ინგლისის ნაკრების კაპიტნის პრობლემა უფრო გამწვავდება, თუ ტრავმირებული იაპ სტამი, ჩემპიონის დაცვის ბურჯი, დღეს „უემბლიზე“ ვერ ითამაშებს.

— ნურავის ეგონება, რომ შაბათს იოლი შეხვედრა გველის. ჯერ ერთი, ეს ფინალია, ფინალში კი მხოლოდ ღირსეულები გადიან. მეორეც — „ნიუკასლს“ ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი ჰყავს, თუნდაც ფორვარდები, ალან შირერი და დანკან ფერგიუსონი. მათ ნებისმიერი დაცვის გარღვევა შეუძლიათ — ეს სიტყვები წლეულს ინგლისში საუკეთესო მწვრთნელად აღიარებულ ალექს ფერგიუსონს ეკუთვნის.

მაშ, ასე. „მანჩესტერ იუნაიტედი“ დღეს 1994, 96 წლების მსგავსად დუბლის შესრულებას და მომავალ ოთხშაბათს ბარსელონაში, ჩემპიონთა თასის ფინალზე ამაღლებული განწყობით გამგზავრებას შეეცდება, „ნიუკასლი“ კი — სეზონ-

გზა ფინალამდე

მანჩესტერ იუნაიტედი

I წრე: თავისუფალი იყო
II წრე: თავისუფალი იყო
III წრე: მიდლსბროსთან შინ 3:1 — კოული (68), ირვინი (82პ), გიგზი (90)
IV წრე: ლივერპულთან შინ 2:1 — იორკი (88), სოლსკიაერი (90)
V წრე: ფულემთან შინ 1:0 — კოული (27)
VI წრე: ჩელსისთან შინ 0:0
გადათამაშება სტუმრად: 2:0 იორკი (4,59)
ნახევარფინალი: არსენალთან ნეიტრალურ მოედანზე — 0:0 (დ.დ)
გადათამაშება: ნეიტრალურზე — 2:1 (დ.დ) ბექემი (17), გიგზი (109)
ორივე ნახევარფინალური მატჩი ბირმინგემის „ვილა პარკზე“ გაიმართა
გოლები (10: დუაიტ იორკი (3), ენდი კოული (2), რაიან გიგზი (2), დენის ირვინი (1), დევიდ ბექემი (1), ოლე გუნარ სოლსკიაერი (1)

ფაქტები, ფაქტები, ფაქტები...

— თუ დღეს „მანჩესტერი“ გაიმარჯვებს, ეს მისთვის 90-იან წლებში ასოციაციის თასზე მეოთხე წარმატება იქნება და ალექს ფერგიუსონი ამ ტურნირის ისტორიაში ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელი გახდება.

— დღემდე მას ასოციაციის თასი სამჯერ აქვს მოგებული (1990, 94, 96 წლებში). იგივე წარმატებისთვის მიუღწევიათ „შეფილდ იუნაიტედის“ მწვრთნელ ჯონ ნიკოლსონს (1902, 15, 25), „ბოლტონის“ თავკაც ჩარლზ ფოუერეიკერს (1923, 26, 29) და „ტოტენჰემის“ მენეჯერ ბილ ნიკოლსონს (1961, 62, 67).

— ფერგიუსონის თავკაცობით „მანჩესტერი“ მეხუთედ გავიდა ფინალში, ჯერჯერობით მასზე უკეთესი შედეგი მხოლოდ „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელ ფრენკ უოტს აქვს (1905, 06, 08, 10, 11, 24).

— ფერგიუსონს ორი ქვეყნის თასი აქვს მოგებული: 1983, 84, 86 წლებში მან შოტლანდიის თასზე „აბერდინს“ გაამარჯვებინა. ასეთი რამ კიდევ ერთმა სპეციალისტმა ჯიმი კოჩრეინმა შეძლო (კილმარნოკი 1929, სანდერლენდი 1937).

— „ნიუკასლის“ ჰოლანდიელი მთავარი მწვრთნელი რუდ გულიტი პირველი უცხოელი სპეციალისტია, ვინც ორი სხვადასხვა კლუბი გაიყვანა ფინალში. პირველად გულიტის ხელმძღვანელობით 1997 წელს „ჩელსიმ“ გადამწყვეტ მატჩში „მიდლსბროს“ სძლია 2:0.

— ამავდროულად „ნიუკასლის“ გამარჯვების შემთხვევაში გულიტი პირველი მწვრთნელი იქნება ბილი უოქერის შემდეგ, ვინც ორ სხვადასხვა კლუბს მოაპოვებინებს ჯილდოს. 1934 წელს უოქერმა შეფილდ უენსდეის გაამარჯვებინა, 1959-ში კი „ნოტინგემ ფორესტს“.

— ასოციაციის თასის ფინალში სამი სხვადასხვა კლუბის სახელით სულ სამ ფეხბურთელს უთამაშია. ჰეროლდ ჰეილსს (1909 — მანჩესტერ იუნაიტედი, 1913 — ასტონ ვილა, 1915 — ჩელსი); ერნი ტეილორს (1951 — ნიუკასლი, 1953 — ბლექპული, 1958 — მანჩესტერ იუნაიტედი); ჯონ ბარნსს (1984 — უოტფორდი, 1988, 89, 96 — ლივერპული, 1998 — ნიუკასლი).

— ამ თასის ფინალში სულ ორ სამხრეთამერიკელს გაუტანია გოლი. 1952 წელს „ნიუკასლში“ მოთამაშე ჩილელმა ჯორჯ რობლედომ „არსენალთან“ ერთადერთი ბურთი შეაგდო, ხოლო 1981-ში „ტოტენჰემის“ არგენტინელმა ლეგიონერმა რიკი ვილამ „მანჩესტერ სიტისთან“ გადათამაშებაში დუბლი შეასრულა და თავის გუნდს 3:2 მოაგებინა. დღეს მათ რიგებს შეიძლება „ნიუკასლელი“ პერუელი ნოლბერტო სოლანო შეუერთდეს.

— „ნიუკასლი“ და „მანჩესტერი“ ასოციაციის თასის ფინალში პირველად ხვდებიან. ბოლოს ეს გუნდები „უემბლიზე“ 1996 წლის 11 აგვისტოს შეხვდნენ ქვეყნის სუპერთასზე. მაშინ „მანჩესტერმა“ 4:0 მოიგო. გოლები ერიკ კანტონამ, ნიკი ბათმა, დევიდ ბექემმა და როი კინმა გაიტანეს.

— ბოლო ხუთი გოლიდან, რომლებიც თასის ფინალში გავიდა, ოთხი არაინგლისელებმა გაიტანეს: 1996 წელს მანჩესტერელმა ფრანგმა ერიკ კანტონამ, 1997-ში „ჩელსის“ იტალიელმა ნახევარმცველმა რობერტო დი მატეომ, ხოლო გასულ სეზონში არსენალელმა ჰოლანდიელმა მარკ ოვერმარსმა და ფრანგმა ნიკოლა ანელკამ. ერთადერთი „ინგლისური“ გოლი 1997 წლის გადამწყვეტ მატჩში გავიდა, სადაც „ჩელსი“ „მიდლსბროს“ ხვდებოდა. მისი ავტორი ლონდონელი ედი ნიუტონი გახლავთ.

გზა ფინალამდე

ნიუკასლ იუნაიტედი

I წრე: თავისუფალი იყო
II წრე: თავისუფალი იყო
III წრე: კრისტალ პალასთან შინ 2:1 — სპიდი (48), შირერი (69)
IV წრე: ბრედფორდ სიტისთან შინ 3:0 — ჰამანი (33), შირერი (51), ქეცბაია (85)
V წრე: ბლეკბერნ როვერსთან შინ 0:0
გადათამაშება: სტუმრად 1:0 — საპა (39)
VI წრე: ევერტონთან შინ 4:1 — ქეცბაია (21), გეორგიადისი (61), ქეცბაია (73), შირერი (81)
ნახევარფინალი: ტოტენჰემ ჰოთსფურთან ნეიტრალურ მოედანზე 2:0 (დ.დ) — შირერი (109პ, 118)
ნახევარფინალური მატჩი მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართა
გოლები (12): ალან შირერი (5), ფაბიშერ ქეცბაია (3), გარი სპიდი (1), დიტმარ ჰამანი (1), ლუის საპა (1), გეორგიოს გეორგიადისი (1)

გამოცხადებული შურისძიების ისტორია

დავიწყოთ იმით, რაც ყველაზე საინტერესოა: რა მოხდება, თუ იტალიის 1998-99 წლების ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლაციო“ „პარმასთან“ ფრედ ითამაშებს, ხოლო „მილანი“ პერუჯაში წააგებს? ამ შემთხვევაში „მილანი“ და „ლაციო“ ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ, რაც დებულების თანახმად, გადათამაშებას ნიშნავს. ესე იგი, ჩემპიონის ვინაობის გამოსარკვევად დაინიშნება დამატებითი მატჩი — განმეორდება ის, რაც 1964 წელს მოხდა, როდესაც „ბოლონიამ“ და „ინტერმა“ ერთი და იგივე რაოდენობის ქულები დააგროვეს. გადათამაშებაში „ბოლონიამ“ იმძლავრა.

„ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ, მოულოდნელად, სკუდეტოსგან ერთ ნაბიჯში აღმოვჩნდით და ახლა, შანსის ხელიდან გაშვება გამორიცხულია“ — ამბობს „მილანის“ კაპიტანი, პაოლო მალდინი.

რთული გამოთვლები არაა საჭირო, „მილანს“ „ლაციოზე“ ქულით მეტი აქვს და თუ „პერუჯას“ დაამარცხებს, სკუდეტო მისი იქნება. “მილანისთვის“ ანგარიში არც მორალური თვალსაზრისით იქნება გამართლებული. გუნდმა, რომელსაც ჩემპიონობა სურს, გადამწყვეტი თამაში უნდა მოიგოს, არა აქვს მნიშვნელობა ფონსა და წინაისტორიას.

წინაისტორია ჩვენთვისაა საინტერესო: „პერუჯას“ სერია A-ში ადგილის შესანარჩუნებლად მოგება სჭირდება. წაგების შემთხვევაში იგიც ხვისი შემყურე დარჩება — თუ „პიაჩენცა“ შინ „სალერნიტანასთან“ დაამარცხებს, „პერუჯა“ გავარდნილია. არის კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი: ორი სეზონის წინ, მაშინდელი ჩემპიონატის ბოლო ტურში, როდესაც „პერუჯას“ დღევანდელივით გასავარდნად ჰქონდა საქმე და იმედოვნებდა „მილანი“ შინ „კალიარის“ დაამარცხებს და გადავრჩებიო, საოცარ რამ მოხდა — „მილანმა“ „სან სიროზე“ მარცხი იწვნია. სად, სად და იტალიაში ასეთი რამ შემთხვევით არ ხდებაო, ამბობენ. ისიც გვსმენია, რომ იტალიელები შურისმაძიებელი ხალხია.

„მილანთან“ და „ლაციოსთან“ დაკავშირებით 1990 წლის გაზაფხულის გახსენებაც შეიძლება. მაშინაც ბოლო ტურში გაირკვა სკუდეტოს მფლობელი — „ნაპოლიმ“ „ლაციოს“ მოუგო და „მილანს“ ტიტული წაართვა. იმხნად „ნაპოლიში“ დიეგო მარადონა თამაშობდა.

„მილანელები პერუჯაში კეთილი მასპინძლობის იმედით ტყუილად ნუ ჩამოვლენ. აქ ერთ მუშტად შეკრული ქალაქი დახვდება. ჩვენ ლიგაში უნდა დავრჩეთ“ — საჯაროდ აცხადებს „პერუჯას“ თავმჯდომარე ალესანდრო გაუჩი.

იმედი არც „ლაციოს“ გადაუწურავს. მართალია, მისი ბედი სხვათა ხელშია, მაგრამ გუნდის ფორვარდი, კრისტიან ვიერი ასე ამბობს:

„კიდევ მწამს, რომ „შავ-ლურჯებთან“ ომი ჯერ არ წაგვიგია“.

REUTERS მილანიდან

ეს ზეიმი გასულ ტურში მილანელთა „ემპოლისთან“ 4:0 გამარჯვების შემდეგ არის გადაღებული. ნაადრევი ხომ არ იყო?

„ლაციოს“ შვედმა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა, თასების თასის ტრიუმფალური ფინალიდან დაბრუნების შემდეგ ფეხბურთელები ორდღიან შეკრებაზე დაიბარა და დარწმუნდა, რომ მათ ეიფორიის ნატამალიც არ ეტყობათ. მეტიც, ჩვენი აზრით, სკუდეტოზე ფიქრით დათრგუნულ რომაელებს ბირმინგემის სტადიონზევე ეტყობოდათ, რომ თასთა თასის მოგება ისე არ გახარებიათ, სხვა შემთხვევაში რომ გაუხარდებოდათ.

ახლა მათ, გადაღლილებმა და დაძაბულებმა „პარმას“ უნდა მოუგონ. თუმცა, ალბათ, მართლაც მოუგებენ, რადგან იტალიისა და უეფას თასების მფლობელ „პარმას“ ოთხეულშიც განაღდებული აქვს ადგილი და ამ სეზონისგან აღარაფერი უნდა. იქნებ უკვე ნამთვრალევიც კი იყოს.

ყველაზე ცუდი კი სხვაზე დამოკიდებულებაა. კვირას „ლაციო“ ითამაშებს და ყური სტადიონის დინამიკებისკენ ექნება: რა ხდება პერუჯაში?

აქამდე პერუჯაში ათი სტუმარი დამარცხდა, სამმა ფრედ ითამაშა და მხოლოდ სამმა გაიმარჯვა.

პაპუნა კედია

საჭირბოროტო კითხვა - პასუხი

— რას გვეტყვი ახალსა და კარგს?

— ახალს იმას, რომ საგაისო ჩემპიონთა ლიგის ფინალი დამესიზმრა.

— კარგს?

— კარგს ვერაფერს.

— რატომ, ცუდი ფინალი იყო?

— გუნდები დაახლოებით ამოვიცანი, ეს კი კარგი არ არის.

— კერძოდ, ვინ იყო?

— ერთი, თუ არ ვცდები, „ბარსა“.

— „ბარსას“, თუ არ ვცდები უნდა?

— არა, „ბარსა“ იყო, თუ ბრაზილია ვერ გავიგე.

— აბა, მაგათ როგორ აურევს კაცი?

— მხოლოდ რივალდო ვიცანი და იმიტომ.

— კოკუ არ იყო?

— არა, ვიღაც ტიპები იყვნენ. კომენტატორი ამბობდა გვარებს.

— რომელ გვარებს?

— რა ვიცი, დორივაო, თუ რაღაცა...

— დორივა?

— კი ასე ამბობდა.

— კიდევ?

— კიდევ შუქურიო. ამიტომ არ ვიცი, „ბარსა“ იყო, თუ არა.

— შუქურს ბრაზილიაში რა უნდა?

— და „ბარსელონაში“ უნდა რაიმე?

— ვან გაალი დაინახე?

— დავინახე, ოღონდ ის იყო თუ სხვა, ეს ვეღარ გავიგე.

— ვინ სხვა?

— რა ვიცი კრუიფსაც გავდა.

— არეული სიზმარი გქონია.

— მაინც „ბარსა“ იყო, ასე მგონია.

— რა ნიშნით?

— ბევრი გაუშვა.

— და რამდენი გაიტანა?

— ბევრი.

— იქნებ „აიაქსი“ იყო?

— ძველი „აიაქსი“ ხომ არ იქნებოდა გაისის ფინალში?

— ეგეც მართალია. მეორე ვინ იყო?

— არ მკითხო, იმიტომ რომ კიდევ ნაკლებად ვარ დარწმუნებული.

— ეჰვი ვისზე გაქვს?

— თითქოს... რა გითხრა... ვიტანჯები... მაღალი ბიჭი იყო, ბეჭბრტყელი. ზურგზე „ვიერი“, ეწერა...

— აბა, რაღაა გასარკვევი?

— არა, თავს ვერ დავდებ... ეგებ, ვიეირა იყო?

— ოო, ეგ საქმეს ართულებს. შავი იყო, თუ თეთრი?

— აი, ეს მტანჯავს.

— ნომერი?

— არ მახსოვს.

— ცისფერი ეცვა თუ წითელი?

— მგონი ორივე ერთად.

— მაშ, „ვესტ ჰემი“ ყოფილა.

— ჰო, მაგრამ „ვესტ ჰემი“ ლიგაში რომ არ არის?

— ეგეც მართალია. ცუდი სიზმარი გქონია. იმ მეორეების მწვრთნელი არ გახსოვს?

— კომენტატორი ამბობდა, სუზანა ვაგნერიო.

— მაშ ვენგერი ყოფილა.

— არ ეწეოდა.

— აბა, პასარელა გამოდის. თუ ცისფერი ეცვა, ურუგვაი ყოფილა და პასარელაც იქ არის.

— ნაკრებს რა უნდა ლიგაში?

— და გაზა?

— გაზა?

— გაზა ხომ არ გინახავს?

— ამბობდნენ, აქ თამაშობდაო.

— მაშ, „ლაციო“ გამოდის.

— რა ვიცი, გამომეღვიძა.

— ანგარიში გახსოვს?

— ბევრი იყო.

— შენ „სიტის“ გადმოსასვლელი თამაში ხომ არ გინახავს? ეგეც ცისფერია.

— საგონებელში ვარ.

საუკეთესო კატალონიელი

ეგი ბედის რჩეულია — ლუის ენრიკე იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანია, ესპანური ფეხბურთის ორივე გრანდში — მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონაში“ რომ უთამაშია. მადრიდელ გულშემატკივრებს ოლიმპიური ჩემპიონი ლუის ენრიკე 1991-96 წლებში ახარებდა, დღესდღეობით კი იგი კატალონიელი ქომაგების კერპია.

„ბარსელონა“, თავადაც იცით, შესანიშნავი ფეხბურთელების ნაკლებობას არასდროს განიცდიდა. ასეა ახლაც. კატალონიელ გულშემატკივრებს გულს ის უხარებს, რომ მიუხედავად საყვარელ კლუბში თავმოყრილი უამრავი ვარსკვლავისა, ესპანელი ფეხბურთელები მაინც ლიდერთა შორის არიან.

ლუის ენრიკე „ბარსელონას“ ლიდერია. ჩემპიონატის დასასრულამდე ერთი თვით ადრე, კლუბის ქომაგებმა ეგი განვლილი სეზონის „ბარსელონას“ საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

„ბარსელონას“ გულშემატკივრებმა კლუბის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ლუის ენრიკე დაასახელეს

სარგბილის არქივიდან

— „ბარსელონას“ არ ჰქონდა ბრწყინვალე სეზონი, მაგრამ გუნდი, როგორც ჩანს, ქვეყნის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდება. თქვენმა კლუბმა გაჩემპიონების საიდუმლო იცის, თუ...

— არა, აქ შემთხვევითობაზე საუბარი არ შეიძლება იყოს. არც რაიმე საიდუმლო გვაქვს, უბრალოდ, ესპანეთის ჩემპიონატში გაცილებით სტაბილურად ვთამაშობთ, ვიდრე მეტოქეები. ჩვენი პირველობა წლეულს ძალიან დაძაბულია. ლიგაში „ბარსას“ და „რეალის“ გარდა სამი-ოთხი ძლიერი კლუბია — „ვალენსია“, „სელტა“, „მალიორკა“, „დეპორტივო“. სწორედ ძლიერი გუნდების სიმრავლე იწვევს სიმძაფრეს და კონკურენციას. ჩვენ, სხვებთან შედარებით, კარგად გავართვით თავი ამოცანას. ეს არის და ეს.

— ყველაფრის მიუხედავად, „ბარსელონას“ მაინც ყრიტიკებენ. რატომ?

— ჩემი აზრით, კრიტიკა უფრო გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლას ეხებოდა და არა ესპანეთის ჩემპიონატს. წლეულს „ბარსელონა“ საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს, ჩვენ კი ლიგის მოგება ვერ შევძელით, არადა, ამაზე უკეთეს საჩუქარს „ბარსა“ ვერ ინატრებდა. ზედიზედ ორი სეზონია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს ვერ გავცდით. ეს გულშემატკივართათვის ძნელი ასატანია. თან შემოდგომით ჩავარდნა გვქონდა, ყველაფერი ცუდი ერთად დაგვემართა და... ფეხბურთელმა ბრძოლა არასდროს უნდა შეწყვიტოს. წაგების დროსაც გამარჯვებაზე უნდა ფიქრობდე. „ბარსელონაში“ ასეთი განწყობაა.

— ჟურნალისტები მწვრთნელს ძალიან ყრიტიკებდნენ, ამ დროს კი თქვენ, ფეხბურთელებსაც, არ შეგეძლოთ მისი შველა...

— პირველი სეზონი „კამპ ნოუზე“ ყველა მწვრთნელისთვის ძნელია. ძნელი კი არა, უძნელესია. ქომაგები უმალ ისეთი გუნდის შექმნას გთხოვენ, რომლის მძლეველი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება, ასეთი რამ კი ყოვლად შეუძლებელია. ლუის ვან გაალის კრიტიკა ლამის მაშინ დაიწყეს, სანამ „ბარსას“ მწვრთნელი გახდებოდა. ვან გაალმა პირველსავე სეზონში დუბლი მოიგო და მოდავენი გააჩუმა. მერე ის ავადსახსენებელი შემოდგომა დადგა... იცით, ასეთ შემთხვევებზე რომ ვფიქრობ, მუდამ ერთ დასკვნამდე მივდივარ — მწვრთნელზე მისი შედეგებით უნდა იმსჯელო.

— შობის დღესასწაულამდე თქვენ დაშავდით და „ბარსელონამ“ ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო. მიუხედავად ტყუპი დე ბურების მოსვლისა, კლუბის მსნელად ბევრს მანც თქვენ ეგულებოდით.

— მიმაჩნია, რომ „ბარსელონა“ არაა ის კლუბი, ერთ ფეხბურთელზე იყოს დამოკიდებული. ჩვენთან ყველას თავისი როლი აკისრია და საბედნიეროდ, მეც ლიდერთა შორის ვარ. რაც შეეხება ზედიზედ ოთხ წაგებას, მაშინ ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე მოთამაშე დაგვაკლდა. ეს ცხადია, შედეგებზეც აისახებოდა.

— ამბობთ, „ბარსელონა“ რომელიმე კონკრეტულ ფეხბურთელზე არაა დამოკიდებული, მაგრამ, ვფიქრობ, თქვენ ვერ უარყოფთ, რომ ლუის ენრიკეს გოლები „ბარსელონას“ ლიდერობას ნაკლებად განაპირობებს.

— რა გითხრათ, მიყვარს გოლების გატანა. თუმცა თქვენს აზრს მაინც ვერ გავიზიარებ. შეიძლება ბევრი გოლი გავიტანო, მაგრამ მათ უამრავი მოთამაშე ქმნის. წარმოიდგინეთ: აბელარდო მეტოქეს ბურთს ართმევს და ჰესპს უბრუნებს, მეკარე გვარდიოლას აწვდის, ის, თავის მხრივ, კლუივერტს, პატრიკი — ფიგუს. მერე კი ფიგუსგან ცარიელი კარის ხაზის წინ პასს ვიღებ და გამაქვს. მეორე დღეს თითქმის ყველა გაზეთის პირველ გვერდზე ლუის ენრიკეა, თუმცა ჩვენ ხომ ვიცით, რომ „ბარსელონას“ წარმატება მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. და ასეა ყველგან, განა მარტო ჩვენთან.

— გოლები გოლებად, მაგრამ უეჭველია, კლუივერტისთანა მეწყვილესთან თამაში გიადვილდებათ.

— რა თქმა უნდა. კლუივერტი არა მარტო მეგოლეა, არამედ შესანიშნავი თავდასხმელიც, რომელიც საჭირო მომენტში პასს არ აგვიანებს. მასთან თამაში ერთი სიამოვნებაა. თან ნუ დაგავიწყდათ, რომ კლუივერტის გარდა ლუის ენრიკეს რივალდო და ფიგუ ეხმარებიან.

— „რეალში“ გატარებულ ბოლო წლებში კარგად ვერ თამაშობდით, „ბარსელონაში“ კი ლიდერად იქეცით...

— ცუდ დროებას არასდროს ვიხსენებ ხოლმე, მაგრამ ხანდახან მიწევს უკან გახედვა და მგონდება არცთუ სასიამოვნო წარსული. ჩემი გარდასახვა მაჩანაღდან ლიდერად სასწაული არ ყოფილა, უბრალოდ, ბარსელონაში უკეთესად მიმითითეს ნაკლზე და მეც მივხვდი, თუ რა იყო წარუმატებლობის მიზეზი.

— შეიძლება ვთქვათ, რომ „ლუის ენრიკეს ეზიზღება „რეალი“?

— არა. საკითხის ასე დასმა არ ივარგებს. გულშემატკივრები ამბობენ, რომ „რეალის“ კარში გატანილ გოლებს გამორჩეულად აღვნიშავ, თუმცა ასე არაა. „ბარსელონა“ — „რეალის“ დაპირისპირება მუდამ დაძაბულობით კი გამოირჩევა, მაგრამ არ შეიძლება კლუბებს შორის ურთიერთობა ექსმაღრიდელ და ახლა ბარსელონელ ლუის ენრიკეზე გადავიტანოთ. იცით, „რეალმა“ რომ ჩემპიონთა თასი მოიგო, გულწრფელად გავიხარე — ჩემმა მადრიდელმა მეგობრებმა ხომ დიდი გამარჯვება იზეიმეს.

— ისეც მომხდარა, დაცვაში გითამაშიათ. საერთოდ, უნივერსალურ ფეხბურთელად ხართ ცნობილი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დაცვაში დაბრუნება არ გსურთ.

— გარედან ისე ჩანს, თითქოს თავდასხმელობა უფრო კარგია, მაგრამ მე ორივეგან მითამაშია და გეტყვით, რომ გუნდის დაცვის გამაგრებაც არანაკლებ სასახელოა. გოლი რომ გაგაქვს, გიხარია, მაგრამ განა არ გსიამოვნებს, მეტოქის შეტევას რომ ჩაშლი? რაც შეეხება ჩემს დაცვაში დაბრუნებას, ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული. შესაძლოა ერთ დღეს მართლაც დავიხიო უკან, მაგრამ ჯერჯერობით არა.

— როცა ასეთი კლუბის გამორჩეული ფეხბურთელი ხართ, ნაკრებშიც თავისთავად გიწვევენ. ძნელია „ბარსელონას“ და ესპანეთის ნაკრების შეთავსება?

— სიმნელეზე და რაიმე პრობლემაზე ამ შემთხვევაში არ ვისაუბრებდი. მეამაყება, რომ ვთამაშობ ისეთ დიდ და სახელოვან კლუბში, როგორიც „ბარსელონაა“. ისიც მახარებს, რომ ქვეყნის ნაკრებში მიწვევენ. ასე რომ ბედს მართლაც არ ვუჩივი. ცხოვრებამ ისე ინება, მუდამ დიდ ფეხბურთში მეტრიალა. უმაღლეს დონეზე თამაში მიწევს, ამას კი არაფერი სჯობს. ფეხბურთმა ბედნიერ კაცად მაქცია და არანაირი უფლება არ მაქვს, რაიმეთი უკმაყოფილო ვიყო. თითოეული მატჩი უდიდესი სიამოვნებაა, ხოლო როცა თამაში მომბეზრდება, უბრალოდ, ავდგები და წავალ.

„უორლდ სოკერი“-დან
თარგმნა ლაშა გოდუაძემ

გიო ახვლედიანის

სვეტი

ჩარლზ-ჯინის წინა ცხოვრება

ძარბა ხანია, გლენ ჰოდლი აღარ ჩანს საფეხბურთო ასპარეზზე. მივეჩვიეთ მის არყოფნას, მისი წასვლის გამო ატეხილი სკანდალიც მიჩუმდა. თუმცა ის, რის გამოც ჰოდლი გადადგა, დღესაც საჭირბოროტოდ ჩანს, ოღონდ სხვა კუთხით. საბრალო ინვალიდთა გამო ნათქვამი, წინა ცხოვრებაში ცოდვილნი იყვნენ და ახლა სასჯელს იმკიანო, ჰოდლს ძვირად დაუჯდა.

ის არც პირველია და არც უკანასკნელი, სულთა გადასახლებისა რომ სჯერა, თუმცა საპყართა გულებსა და გრძნობებს რომ ვერ გაუფრთხილდა, დიახაც რომ ულაზაზო ელფერს სძენს მის გულახდილობას.

მაგრამ სულთა გადასახლების ამბავი მაინც ვერ იხსნება დღის წესრიგიდან.

წინა კვირას, შუა ქალაქ მანჩესტერში, ჰენრის ბარში, შებოდიალდა გალეშილი სული, გული, ჯიგარი და შკიპერი წინაღამ გაჩემპიონებული „იუნაიტედისა“ და ავსტრალიელ ქალსა და კაცს მუშტი და კათხა დასცხო. აჰ, რა კარგი იყო წინა საღამოს როი... ერთხელ ისე გაიჭრა, რომ ბილი ბრემნერიც კი გაგვახსენდა. სამწუხაროდ, მეორე დღესაც გაიჭრა (ალბათ, წინაღამიდან შეუბერა და გონიც ამიტომ აერია). თან, ჩანს, ავსტრალიელებიც არ ჰყვარებია. ეგ არაფერიო, უკვე თავდებშიც გამოიყვანა ძია ალექსმა და სასამართლო ან რაიმე ეგეთი, ზაფხულში თუ მოუწევს.

რა ყოფილა, კაცო, რა კაცი ყოფილა...

თქვენი არ ვიცი და მე ორიოდ რამის აღმოჩენაში დამეხმარა.

ერთი ისა, რომ ამ პოლ გეფსონს სულ ტყუილად ასხამენ თავლაფს — ლოთობაში, ბევრი გამოჩენილი ადამიანი გაეჯიბრება (თანაც გაზა უკვე გამოსწორდა). მეორეც ისა, რომ ინგლისში კაპიტნებს უცნაურად ნიშნავენ. „მანჩესტერის“ წინა კაპიტნის ერიკ კანტონას ამბავიც ცნობილია (სამწუხაროდ, არაფერი გაგვიგონია მის წინამორბედ შკიპერთა, სტივ ბრუსისა და ბრაიან რობსონის მკლავისტობის გამო. თანაც, ამჟამად ორივე საკლუბო მენეჯერია). არა, რობსონს, განთქმულ კაპიტან მარგელს, გადახუხვა გვარიანი უყვარდა, შვიდ-რვა ფაინთს ეგრევ გადაუშვებდა ხოლმე, მაგრამ მუშტისა ნაღდად არაფერი მსმენია. და კათხაც არ არის მთავარი, კათხა ღირსპატივცემულ ტონი ადამსს იმდენი უნახავს, რომ, ვინ დასთვალოს?

აქ მთავარია, მუშტის ხალხი და ამათ შორის როი კინის გამოჩენა.

აბა, სეირი ის იქნება, დღეს რომ როი გუნდს გამოუძღვება „უემბლიზე“.

ეს ამბავი, უკვე ქვეყანას მოედო, მაგრამ მე ჰოდლი გამახსენდა და სადაც ჰოდლი გაგახსენდება, სულთა გადასახლებაც იქვეა.

ამიტომაც, ჰალალად მაინტერესებს, ვინ იყო წინა ცხოვრებაში როი კინი.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ადამიანის ფანტაზიასაც განავითარებს. რა თქმა უნდა, ამ საქმის მცოდნე და გამრკვევ სპეციალისტთა შეწუხებას მოვერიდები.

უკეთესია, რიგითმა ქომაგმა გაუღოს კარი თავის წარმოსახვას.

პირადად მე იმ ვერსიას ვაწვები, რომ ვინც დღეს კინია, ადრე იყო მეკობრეთა კაპიტანი მორგანი.

აშკარაა, რომ ის ვინც დღეს კინია, არ იყო ჯეიმს ჯოისი და არც ჩარლზ პარნელი.

თქვენ კი როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მეგობრებო?

მოიწერეთ „სარბიელის“ საფოსტო მისამართზე. მე შევაგროვებ და ამავ სვეტში განვიხილავ.

მართლაც საინტერესოა, ვინ იყო როი კინი ადრე?

ერთი კი გამახსენდა. „კოტონ კლუბი“ რომ არის ჩვენი საყვარელი ფილმი, იქ ბობ ჰოსკინსი რომ კოლორიტულ მაფიოზო-კლუბის პატრონ მეიდენს ასახიერებს, სწორედ იმ მეიდენის პირით ამბობს: „ჩვენ, ირლანდიელებმა ზომა არ ვიცით“.

REUTERS სფილიდან

ფიფა-ს პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი (მარჯვნივ) წინამორბედთა საქმეს მუხლჩაუხრელად აგრძელებს

გერმანიდან ბლატერამდე

დღეს ფიფა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და მობილურ ორგანიზაციას წარმოადგენს. მის შემადგენლობაში 203 ეროვნული საფეხბურთო ასოციაციაა გაერთიანებული. პრეზიდენტები კი ბოლო დროს უფრო წარმატებული ბიზნესმენები არიან, ვიდრე სპორტის მოხელეები. მათი მთავარი მიზანი შესრულებულია — დღეს თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ქვეყნები, სადაც ფეხბურთს არ თამაშობენ. აგერ 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი აზიაში ჩატარდება, მერე კი ჯერი აფრიკაზე მიდგება. ცოტა ხნის წინათ ამას ვერავინ წარმოიდგენდა.

ფიფა 95 წლის წინ, 1904 წლის 21 მაისს დააარსეს საფრანგეთის, ბელგიის, დანიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, შვედეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლებმა. პირველი კონგრესი ორი დღის შემდეგ, 23 მაისს ჩაატარეს და პრეზიდენტად ფრანგი რობერ გერენი აირჩიეს.

არაევროპულმა ქვეყნებმა საერთაშორისო ფედერაციის კარი 1909 წელს შეაღეს, როცა სამხრეთი აფრიკა მსოფლიოს საფეხბურთო ოჯახის წევრი გახდა. 1912 წელს კი ორგანიზაციას სამხრეთამერიკელები — არგენტინა და ჩილეც შეემატნენ.

1921 წელს 1 მარტს ფიფას პრეზიდენტად 48 წლის ფრანგი, ჟიულ რიმე, აირჩიეს. კაცი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა საფეხბურთო მეურნეობაში.

1928 წლის 28 მაისს ამსტერდამის კონგრესზე რიმესა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მდივნის, ანრი დელონეს თაოსნობით განხორციელდა მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების იდეა. ჩემპიონისთვის განკუთვნილ „ოქროს ქალღმერთის“ სტატუეტს კი ჟიულ რიმეს თასი უწოდეს. ამ თასმა 1970 წლამდე იარსება, ვიდრე ბრაზილიელებმა მესამედ არ მოიპოვეს და სამუდამოდ არ დაიტოვეს. სულ კი, დღემდე, 16 მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა.

კიდევ ერთი პოპულარული პრეზიდენტი ინგლისელი სტენლი როუზი გახლდათ, რომელიც ახალგაზრდობაში საკმაოდ კარგი მსაჯიც ყოფილა. მის დროს პირდაპირი ტელეტრანსლაციები მეტად მომგებიანი ბიზნესი გახდა. როუზმავე დიდი სამუშაო გასწია აზიაში და აფრიკაში ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის.

იმავე გზას გაჰყვა როუზის შემცვლელი ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი, რომელიც ფიფას 1974 წლიდან 1998 წლამდე თავკაცობდა. სწორედ მის დროს, 1993-ში, გაწევრიანდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფაში. შარშან კი, 8 ივნისს, 51-ე კონგრესზე პრეზიდენტად შვეიცარიელი ზეპ ბლატერი აირჩიეს.





სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ... ...

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.

XXXIII ტური

22.05	ვოლფსბურგი — ლევერკუზენი	1,7	8,3	4,0
	ბაიერნი — ბოხუმი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ჰანზა — ნიურნბერგი	1,7	3,1	4,4
	შალკე — აინტრახტი	2,3	3,5	2,2
	ფრაიბურგი — ჰერტა	2,7	2,5	2,7
	კაიზერსლაუტერნი — დუისბურგი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ჰამბურგი — შტუტგარტი	1,8	2,7	4,7
	ვერდერი — მონხენგლადბახი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	დორტმუნდი — მიუნხენი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.

XXXI ტური

23.05	ფორტუნა — ზტ. პაული	1,9	2,8	3,8
	ფიურტი — კიოლნი	1,5	3,4	5,6
	დუსელდორფი — მაინცი	2,0	3,0	3,3
	ურდინგენი — ულმი	2,8	2,9	2,3
	კაკერსი — ჰანოვერი	2,4	2,9	2,6
24.05	ბერლინი — უნტერჰახინგი	2,1	2,9	3,2

ინგლისის თასის ფინალი (ლონდონში)

22.05	მანჩესტერი — ნიუკასლი	1,6	3,2	5,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია A.

XXXIV ტური

23.05	კალიარი — ფიორენტინა	2,5	2,3	3,0
	ემპოლი — უდინეზე	—	—	—
	ინტერი — ბოლონია	1,7	3,1	4,4
	იუვენტუსი — ვენეცია	1,35	3,8	7,0
	ლაციო — პარმა	1,35	3,8	7,0
	0:1	2,2	2,4	2,4
	პერუჯა — მილანი	5,0	3,2	1,4
	პიაჩენცა — სალერნიტანა	1,9	3,0	3,3
	სამპდორია — ბარი	1,8	3,1	3,8
	ვიჩენცა — რომა	3,2	3,2	1,7

იტალიის ჩემპიონატი. სერია B.

XXXV ტური

23.05	ბრეშა — რავენა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ჩეზენა — ტერნანა	1,8	2,7	2,3
	კრემონეზე — კიევო	3,6	2,7	2,0
	ფ. ანდრია — პესკარა	2,5	2,7	2,7
	ლეჩე — ატლანტა	1,9	2,5	4,2
	ლუკეზე — ნაპოლი	2,1	2,8	3,3
	რეჯანა — კოზენცა	2,4	2,7	2,8
	რეჯინა — ჯენოა	1,6	2,9	6,0
	ტრევიზო — ტორინო	2,3	2,8	2,9
	ვერონა — მონცა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი.

XXXV ტური

22.05	ალავესი — ბარსელონა	4,0	3,0	1,8
23.05	ვალადოლიდი — ბილბაო	2,4	2,8	2,7
	ვილიარეალი — ბეტისი	1,9	2,9	3,6
	დეპორტივო — სარაგოსა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ატლეტიკო — რასინგი	1,6	3,1	5,3
	მალიორკა — ესტრემადურა	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4
	ტენერიფე — რეალი	3,6	2,9	1,9
	ოვიედო — სელტა	2,8	2,9	2,3
	სოსიედადი — ვალენსია	2,5	2,9	2,5
	ესპანიოლი — სალამანკა	1,5	3,5	5,3

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.

XXXVIII ტური

22.05	ეიბარი — ოსასუნა	2,5	2,9	2,5
	ლას პალმასი — ლეგანესი	1,4	3,6	6,5
	0:1	2,0	3,2	2,3
	ლეგრონიესი — სევილია	2,5	2,9	2,5
	ლეიდა — კომპოსტელა	1,9	2,8	3,8
23.05	ალბასეტე — ბარსელონა B	1,7	3,1	4,4
	ტოლედო — ჰერკულესი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5
	სპორტინგი — ბადახოსი	1,8	2,8	4,4
	მალიორკა B — მერიდა (15[00])	1,9	3,0	3,5
	ატლეტიკო B — რეკრეატივო (15[00])	1,6	3,3	4,7
	რაიო ვალეკანო — ორენსე (15[00])	1,1	5,6	10,0
	0:1	1,4	3,5	3,5
	ნუმანსია — მალაგა (15[00])	2,2	2,9	3,0

საფრანგეთის ჩემპიონატი.

XXXIII ტური

22.05	რენი — მეცი	1,6	3,4	4,4
	მარსელი — ოსერი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ბასტია — ნანტი	1,8	3,0	4,0
	ბორდო — ლიონი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ლე ავრი — მონპელიე	1,5	3,4	4,4
	სტრასბური — ლანსი	1,9	3,0	3,3
	ტულუზი — პსჟ	2,8	2,9	2,3
	ლორიანი — სოშო	2,0	2,9	3,4
	ნანსი — მონაკო	3,4	2,9	2,0

პორტუგალიის ჩემპიონატი.

XXXIII ტური

22.05	სპორტინგი — პორტუ	2,4	2,8	2,7
	ფარენსე — ბოავიშტა	4,0	3,0	1,8
23.05	შავეში — სეტუბალი	2,6	3,0	1,9
	აკადემიკა — ბენფიკა	7,0	3,5	1,3
	ამადორა — ბრაგა	1,5	3,4	5,6
	რიუ ავე — სალგეირუში	1,6	3,2	4,2
	ბეირა მარი — ლეირია	2,0	3,0	3,0
	მარიტიმუ — ალვერკა	1,9	3,0	3,3
24.05	გიმარაეში — კამპომაიორენსე	1,6	3,2	4,4

პოლანდიის ჩემპიონატი.

XXXIV ტური

22.05	გრაფსხაპი — კამბური	2,0	2,9	3,4
23.05	ბრედა — აიაქსი	—	—	—
	უტრეხტი — ეინდჰოვენი	5,3	3,5	1,5
	ალკმარი — მაასტრიხტი	2,0	3,0	3,3
	ფეენოორდი — ვიტესი	1,8	3,4	3,4
	ვალვაიკი — როდა	2,5	3,0	2,4
	ტილბურგი — ტვენტე	1,6	3,1	5,3
	ჰეერენვენი — სპარტა	1,8	2,9	4,2

პოლონეთის ჩემპიონატი.

XXVIII ტური

22.05	ვიძევი — რუხი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5
	ბელხატოვი — გურნიკი	2,0	3,0	3,3
	ლეგია — პოგონი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5
	ვისლა — ლკს	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	კატოვიცე — ოდრა	2,5	2,9	2,5
	ამიცა — პოლონია	2,0	3,0	3,3
	რაციონჯოვი — ზაგლებე	1,8	3,0	4,0
	ლეხი — სტომილი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8

თურქეთის ჩემპიონატი.

XXXIII ტური

22.05	გაზიანთეფი — ქარაბუქი	1,3	3,6	6,0
23.05	ანთალია — გალათასარაი	4,4	3,1	1,7
	ბურსა — ადანა	1,8	2,6	5,0
	ერზურუმი — დარდანელი	1,7	3,1	4,4
	ისთანბული — ფენერბაჰჩე	5,0	3,2	1,6
	ბეშიქთაში — საქარია	1,3	4,4	5,0
	ანკარა — ტრაბზონი	1,8	3,0	3,2
	ალთაი — სამსუნი	1,7	3,1	4,4

შოტლანდიის ჩემპიონატი.

XXXVI ტური

22.05	დანდი იუნაიტედი — სელტიკი	4,0	3,0	1,8
	დანფერმლაინი — მოზერველი	1,9	3,0	3,4
	რეინჯერსი — კილმარნოკი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,3	2,5
	სტ. ჯონსტონი — დანდი	1,5	3,3	6,0
	აბერდინი — პართსი	2,0	2,5	3,8

ავსტრიის ჩემპიონატი.

XXXV ტური

22.05	გრაცერი — შტურმი	4,0	3,2	1,7
	ლუსტენუ — ლინცერი	3,3	3,0	2,0
	რაპიდი — რიდი	1,1	6,0	12,0
	0:1	1,4	3,6	4,0
	შტაირი — ზალცბურგი	4,2	3,2	1,7
	ტიროლი — აუსტრია	1,8	3,0	4,0

შვეიცარიის ჩემპიონატი.

XII ტური

22.05	ბაზელი — სერვეტი	3,4	2,9	2,0
24.05	გრასჰოპერი — ციურიხი	1,6	3,2	5,0
	ლოზანა — ლუცერნი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	სტ. გალენი — ქსამაქსი	2,0	2,8	3,5

რუსეთის ჩემპიონატი

22.05	შინიკი — ნ. ნოვგოროდი	1,8	2,8	4,4
	ზენიტი — ტორპედო	2,0	2,8	3,5
	სპარტაკი — როსტსელმაში	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ცსკა — როტორი	1,7	3,0	4,7
	კრილია — ლოკომოტივი	4,2	2,9	1,8
	ალანია — ვლადიკავკაზი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ურალანი — სატურნი	1,9	2,9	3,6
	ჩერნომორეცი — დინამო	4,2	2,9	1,8

შვედეთის ჩემპიონატი

23.05	ფრიოლუნდა — ნორჩიოპინგი	1,7	3,0	4,7
24.05	ოერებრუნი — კალმარი	2,0	2,9	3,4
	ჰელსინგბორგი — იორებრო	1,6	3,2	5,0
	ტრელებორგი — მალმიო	2,0	2,9	3,4
	გოტებორგი — ჰამარბი	1,5	3,3	6,0
	ელფსბორგი — ჰალმსტადი	2,2	2,9	3,0
	აიკ — იორვრიტე	1,8	3,0	4,0

NHL

22.05	დალასი — კოლორადო	1,7	4,4	2,4
	ტორონტო — ბუფალო	1,8	4,4	2,2

ტურში გატანილი გოლები

გერმანია (33-ე)	26 და ნაკლები	. . . 1,9	28 და მეტი 1,9
იტალია (34-ე)	24 და ნაკლები	. . . 1,9	26 და მეტი 1,9
ესპანეთი (35-ე)	27 და ნაკლები	. . . 1,9	29 და მეტი 1,9
პორტუგალია (33-ე)	24 და ნაკლები	. . . 1,9	26 და მეტი 1,9
პოლონეთი (28-ე)	19 და ნაკლები	. . . 1,9	21 და მეტი 1,9

ეროვნული მიერი ამიერიდან გიორგიც იმუშავებს

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ალექსანდრე დიდი



ალექსანდრე მეტრეველის სპორტული ბიოგრაფია იმდენად მდიდარია, რომ სქელტანიანი წიგნიც ვერ დაიტევდა. ჩვენ კი ამ წერილით გარკვეულწილად მონატრებისა და იმედის გრძნობას ვიკმაყოფილებთ: ზეგ, მაგალითად, იწყება „როლან გაროსი“, რომელშიც თავის დროზე ქართველ ჩოგბურთელ ალექსანდრე მეტრეველს თავისი სიტყვა ეთქმოდა. იგი ბოლო წლებში უფრო მეტად საქართველოს გარეთ საქმიანობს. ახლაც მშობლიურ ქალაქში „სტუმრობისას“ ვნახეთ და გავესაუბრეთ

ალექსანდრე მეტრეველი

დაიბადა 1944 წლის 2 ნოემბერს

უიმბლდონის 1973 წლის ფინალისტი

ევროპის ხუთგზის ჩემპიონი

საბჭოთა კავშირის 12-გზის ჩემპიონი

მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, „როლან გაროსის“ და ავსტრალიის ღია ჩემპიონატების ნახევარფინალისტი. 60-იანი წლების მეორე ნახევრის და 70-იანების დასაწყისის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი. უიმბლდონის ფინალისტი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი წყვილებსა და შერეულ წყვილებში

„ჩოგბურთზე პირველად სწორედ ამ კორტებზე („დინამოს“ კორტებზე ვსაუბრობთ) მომიყვანა ჩემმა უფროსმა ძმამ პეტრემ, რომელიც საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელი იყო. ბავშვობაში, როგორც ყველა, მეც ფეხბურთით და ველოსიპედით ვიყავი გატაცებული. საკმაოდ კარგი ფიზიკური მონაცემები მქონდა. სისწრაფეში არავის ჩამოვუვარდებოდი და ჩოგბურთსაც თავიდანვე ავუღე ალღო. ჩემი მწვრთნელი იყო არამ ხანგულიანი, რომელიც მერე, ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზეც ჩემს გვერდით იყო. წარმატებები მალე მოვიდა. მოვხვდი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებიც ბევრჯერ მოვიგე. მაგრამ მე მაინც პირველი სპარტაკიადა დამამახსოვრდა. 13 წლის ვიყავი და ჩემზე გაცილებით უფროსებს ვეთამაშებოდი. მე-17 ადგილისთვის მატჩში ლენინგრადელ ჩოგბურთელს შევხვდი. ყველა დანარჩენი ადგილი უკვე განაწილებულია და მხოლოდ ჩვენ ორი შევრჩით კორტს. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა მხოლოდ მე-17 ადგილისთვის იყო, არაფრით ვთმობდი და ჩემს მეტოქეს ისე გავაცალე სიქა, აღარ შემიძლიაო — თქვა. გამარჯვება მე დამრჩა და ქომაგებისგან პირველი ყვავილებიც მაშინ მივიღე“.

ნიჭიერმა ჩოგბურთელმა ძალიან მალე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. საკავშირო პირველობაზე საბჭოთა კავშირის მაშინდელი ჩემპიონი მოზერიც დაამარცხა და საბჭოთა ჩოგბურთის ელიტაში შეაბიჯა. ცოტა ხანს მას კლასიფიკაციაში ესტონელი თომას ლეიესი უსწრებდა, 1966 წელს კი მეტრეველმა ისიც დაამარცხა და დაიწყო მისი ხელშეუხებელი ბატონობა საბჭოთა საჩოგბურთო სამყაროში.

„უცხოეთში პირველ დიდ წარმატებას უიმბლდონზე მივაღწიე, სადაც ჭაბუკ ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალში გავედი. ფინალი ინგლისელ მეტიუზთან დავთმე, სახელგანთქმული ფეხბურთელის სტენლი მეტიუზის შვილთან. თუმცა ამ მარცხს თავისი მიზეზი ჰქონდა. შაბათ-კვირას ჩოგბურთელები ერთად ვატარებდით, ფეხბურთი ვითამაშეთ — ევროპელები სამხრეთამერიკელებს ვხვდებოდით და იმ მატჩში დავშავდი. ფინალში პირველი ადგილისთვის ბრძოლაში სწორედ ამ ტრავმამ შემიშალა ხელი“.

მეტრეველის ძალა მალე დამტკიცდა. მეტიუზი აღარც მიახლოებია საჩოგბურთო ელიტას, ქართველი კი მალე აღმოჩნდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა რიგებში.

1966 წელს საჩოგბურთო ტურნირები ღია გახდა — მოყვარულები და პროფესიონალები გაერთიანდნენ. ერთ-ერთ პირველ ასეთ ტურნირზე მეტრეველმა ლეგენდარული პანჩო გონზალესი დაამარცხა.

— ღია ტურნირებზე იმ დროისთვის სოლიდურ საპრიზო ფონდს აწესებდნენ. საბჭოურ ხანაში, ალბათ, ძალიან ცოტა გრჩებოდათ?

— რასაკვირველია. მახსოვს პირველი ღია ტურნირი იტალიაში. სპორტკომიტეტიდან მითხრეს, რომ თანხის 30 პროცენტს დამიტოვებდნენ, დანარჩენი კი სახელმწიფოსთვის უნდა მიმეცა. პირველი წრე გავიარე. მერე მეორე, მესამე, მეოთხეც და მაშინვე დამირეკეს იტალიაში — 20 პროცენტს დაგიტოვებთო. შეეშინდათ, ძალიან დიდი თანხა არ გამომსვლოდა.

— ხშირად ამბობენ, მეტრეველს არ გაუმართლა, ახლა რომ ეთამაშა, მილიონერი იქნებოდაო.

— მეც მეუბნებიან ამას. მაგრამ, იცით, იმ დროს თავისი ხიბლი ჰქონდა. ჩოგბურთელები ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით, ვმეგობრობდით და უფრო სასიამოვნოდ ვატარებდით დროს. ახლა, როცა ასეთი კოლოსალური ჰონორარებია, ჩოგბურთელები საკუთარ თავში ჩაიკეტნენ. დიდმა ფულმა მათი ურთიერთობები გააცივა.

— იქნებ უიმბლდონის ფინალი გაიხსენოთ?

— ამ ფინალზეც ზოგჯერ ისე წერენ, თითქოს დიდი მოულოდნელობა იყო კოდეშთან დამარცხება. კი, ბატონო, მართალია, უიმბლდონამდე კოდეშთან პირად შეხვედრებში ამკარა უპირატესობა მქონდა ზედჯერ მოვუგე, ერთხელ წავაგე, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კოდეში უმაღლესი კლასის ოსტატი იყო. იმავე წელს ამერიკის ღია ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ორჯერ მოიგო „როლან გაროსი“. ცხადია, გული მწყდება, რომ ასე ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან, მაგრამ იმ დროს ხომ არ ფიქრობ, რომ ასეთი შანსი აღარ გექნება და ეს მატჩი შენთვის კარიერაში გადამწყვეტია. გგონია, რომ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება“...

ალექსანდრე მეტრეველს პირადი შეხვედრები ბევრ დიდოსტატთან მოუგია: პანჩო გონზალესი, ლიუ ჰოადი, ჯონ ნიუკომბი, ბიორნ ბორგი, ჯიმ კონორსი, ანდრეას პიმენო, დენის რალსტონი, იშტვან გუიაში, ილიე ნასტასე, ანტონიო პიეტრანჯელი, მანუელ სანტანა... სამ ათეულ გვარს კიდევ დავასახელებდი.

— მაშინ რომ ყოფილიყო დღევანდელი სარეიტინგო სისტემა, არაა გამორიცხული, გარკვეულ მონაკვეთში უძლიერესთა სამეულშიც ყოფილიყავით.

— არ ვიცი, მაგრამ მაშინ ასე იყო: მთელი წელი ითამაშებდი და წლის ბოლოს სპორტული ჟურნალისტები თავიანთ ათეულს ალაგებდნენ. ასეთ ათეულებში კი არაერთხელ მოვხვდრივარ.

— თქვენ უდიდესი ჩოგბურთელები გინახავთ. მაინც, ვინ იყო ყველაზე გამორჩეული?

— ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს — ლეგენდარული ავსტრალიელი როდ ლეივერი. იგი არ იყო განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული, მაგრამ შესანიშნავი ტექნიკა და ბურთის გასაოცარი გრძნობა ჰქონდა. ძალიან ლამაზ ჩოგბურთს თამაშობდა. მასთან ერთად ბევრჯერაც მივარჯიშია.

— ბიორნ ბორგი?

— ბორგმა ბევრი ახალი რამ შემოიტანა ჩოგბურთში: უკანა ხაზზე თამაში, მოწოდების ორი ხელით მიღება და ასე შემდეგ. ცხადია, დიდი ჩოგბურთელი იყო, მაგრამ ლეივერს ვერც შეედრება.

— მგონია მიიჩნევენ, რომ ილიე ნასტასეს თავისი ნიჭიერებით გაცილებით მეტისთვის უნდა მიეღწია.

— ნასტასე იქნებ მართლაც ყველაზე ნიჭიერი ჩოგბურთელი იყო, მაგრამ სპორტისადმი რაღაც არასერიოზული დამოკიდებულება ჰქონდა. ამიტომაც უფრო დიდ მწვერვალებს ვერ შესწვდა. თუმცა მაინც ბევრს მიაღწია.

ალექსანდრე მეტრეველი ბევრი ჩოგბურთელისგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ ბრწყინვალე გუნდური მებრძოლი იყო. შესანიშნავად გამოდიოდა წყვილებში ნუგზარ მძინარიშვილთან, სერგეი ლიხაჩოვთან, თეიმურაზ კაკულიასთან ერთად. მისი და ოლგა მოროზოვას შერეული წყვილი უიმბლდონის ფინალისტიც იყო.

გარდა ამისა, მეტრეველი ჩინებულად თამაშობდა დევისის თასზე, სადაც 105 შეხვედრა ჩაატარა (ეს ერთ-ერთი საერეკორდო შედეგია მსოფლიოს ყველა დროის ჩოგბურთელთა შორის).

— ალბათ, ორანტესესთან მატჩიც უნდა გავიხსენოთ. მასზე უკვე ბევრი ითქვა. მაგალითად, ნაკრების მაშინდელი კაპიტანი შამილ ტარპიშჩევი ამბობს, მეტრეველის გამარჯვებაში ჩემი დამსახურებაცაა, სწორედ მე ვუთხარი, ორანტესის ძალები უკვე იწურებაო. მაგრამ თქმა ერთია, ამას ხომ შესრულება და მაღალი ოსტატობაც უნდოდა?

— დიახ, ეს არაა სიმართლეს მოკლებული. ტარპიშჩევმა კი მითხრა, მაგრამ მეც ვამჩნევდი, რომ მატჩში გარდატეხის დრო დადგა, მეხუთე სეტს 1:5 ვაგებდი და მაინც მოვიგე ის შეხვედრა, რომელიც, სხვათა შორის, გამონაკლისი არ იყო. ასევე დავამარცხე იან კოდეში, მეხუთე სეტში მასთანაც ასეთი ანგარიშით ვაგებდი.

— დევისის თასზე თქვენ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევდით, საქმეში პოლიტიკა რომ არ ჩარეულიყო.

— ეს ხომ მართლაც გულდასაწყვეტი იყო. ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავდა: თეიმურაზ კაკულია, სერგეი ლიხაჩოვი... შესანიშნავ ფორმაში ვიყავით და რამდენჯერმე პოლიტიკური მოსაზრებების გამო არ გვათამაშეს სამხრეთ აფრიკასთან, ჩილესთან. არადა, დევისის თასის მოპოვება შეგვეძლო.

სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში ერთ-ერთი ტელეინტერვიუ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე მეტრეველთან. მაგანმა რუსმა კომენტატორმა ჰკითხა, თამაშის დროს ძალიან ღელავთო, მეტრეველმა კი უპასუხა — იმიტომაც ვთამაშობ, რომ ვღელავ, თორემ რომ არ ვღელავდე და ჩოგბურთისადმი გულგრილი ვიყო, არც ვითამაშებდი.

— რასაკვირველია. მე მთელი არსებით ვებმებოდი თამაშში და ენერვიულობდი კიდეც. თუმცა ახლახან საქართველოს ჩემპიონატს ვუყურე და რასაც იქ ჩოგბურთელები აკეთებენ, ეს უკვე ნერვიულობა კი არა, კორტზე ქცევის არცოდნაა. თანაც ეს მშობლების ჩარევა ასპარეზობაში ყოვლად დაუშვებელია. მართალია, ვღელავდი, მაგრამ მერე, ასაკის მატების კვალობაზე, ნერვების მოთოკვაც ვისწავლე. ჩოგბურთს კონცენტრირება და სიმშვიდე სჭირდება. ყურადღება არაფერზე უნდა გაგეფანტოს.

— ბევრი ფიქრობს, რომ თანამედროვე ჩოგბურთმა დაკარგა ხიბლი. ამდენი ეისი...

— ეისები მაშინაც იყო. მოწოდების სიძლიერე კი ინვენტარის პროგრესმა გამოიწვია. ცხადია, მაშინ ჩოგბურთი უფრო სანახაობრივი იყო, რადგან ბურთი გაცილებით მეტად იყო თამაშში... მაგრამ რას იზამ, დროს ახალი მოთხოვნები მოაქვს.

— ასეთი აზრსაც გამოთქვამენ, ჩოგბურთს სანახაობრიობას მხარეს მეორე მოწოდების გაუქმება დაუბრუნებსო.

— ასე ხელაღებით ამის თქმა არ შეიძლება. ასეთ საკითხებს ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რათა სულ არ გავაფუჭოთ თამაში. ჩოგბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი დიდი ტრადიციების სახეობებია და ასი წლის განმავლობაში რაიმეს შეცვლა ფიდ-ს კეთილგებას მოითხოვს.

— ჩვენს საჩოგბურთო ცხოვრებაზე რას ფიქრობთ?

— რას უნდა ვფიქრობდე. ახლა „დინამოს“ კორტებზე ვართ, სადაც მე გავიზარდე და გული მწყდება, რომ იგი ასეთ სავალალო დღეშია. ასეთ კორტებზე რა ჩოგბურთელი უნდა აღიზარდოს. არავითარი პირობები არ არის. იქით ბენზინის გასამართი სადგურია, რაც თავისთავად კრიმინალია, ახლა სანტექნიკის მაღაზია გახსნეს კორტის ტერიტორიაზე. ბავშვებზე ვინღა ზრუნავს, არ შეიძლება კორტებით გამდიდრება! აქ ჯერ ფული უნდა ჩაიდოს, რათა ყველა პირობა შეიქნას დიდი საერთაშორისო ტურნირების ჩასატარებლად. შემდეგ, რაც უნდა კარგი პირობები იყოს, 5-6 წელი კორტმა აპრობაცია უნდა გაიაროს. მერე უკვე შეიძლება დიდ საერთაშორისო ტურნირებზე ლაპარაკი. ბოლო ხანს უბბოკებს დავეხმარე. მათ უკვე 19 საჩოგბურთო სტადიონი ააშენეს და დიდი საერთაშორისო ტურნირიც ჩაატარეს.

— აქ?

— აქ არ ვიცი. არაფერი გამოდის. სამჯერ ჩამოვიყვანე ინვესტორები. ჩამოვალ, მეუბნებიან, ყველაფერი მოგვარდებაო. მივდივარ და... არ ვიცი, საქმე ადგილიდან არ იძვრის. უკვე ხელი ჩავიქნიე.

— ახლა სად მუშაობთ?

— მოსკოვში, ნტვ-ს კომენტატორი ვარ. ყველაზე არა, მაგრამ დიდი სლემის ტურნირებზე დავდივარ. უიმბლდონზე თვენახევარი ვარ ხოლმე.

— ძველ მეგობრებს ხვდებით?

— კი. ბევრს. უიმბლდონის ვეტერანთა ტურნირებში ყოველთვის ვმონაწილეობ.

— ქართული ჩოგბურთის პერსპექტივა?

— ასეთი მუშაობით ბევრი არაფერი გამოვა. ახლა აუოაცხელი შეჯიბრი იმართება. ჩვენ დროს ძალიან ცოტა ტურნირზე გვიშვებდნენ, მაშინ, როცა უცხოელებმა აღარ იცოდნენ, სად ეთამაშათ. ახლა ხომ ჩოგბურთელთა ასპარეზობებს ველარავინ მოთვლის და ჩოგბურთელებს დასვენებისთვის დროც არ რჩებათ. ასე რომ, თანამედროვე ჩოგბურთის მოთხოვნები გაიზარდა. იგი სპორტის ძვირი სახეობაა და ბევრი თანხაა მოსაზიდი. ჩვენ კი... თვითონვე ხედავთ.

— თუ გეგულებათ ქართველი ჩოგბურთელი, რომელსაც უახლოეს მომავალში საერთაშორისო დონეზე შეეძლება თამაში?

— მე ირაკლი ლაბაძის თამაშს ვადევნებდი თვალყურს. ნიჭიერი ჩოგბურთელია. მონაცემებიც აქვს საიმისოდ, რომ დიდი ჩოგბურთი ითამაშოს, მაგრამ საქმეს გაცილებით სერიოზულად უნდა მიუდგეს.

— გული თუ დაგწყვეტიათ რამეზე თქვენს კარიერაში?

— ცხადია, გულის დაწყვეტაც ყოფილა და სიხარულიც. ისე, როგორც საერთოდ ცხოვრებაში.

ალექსანდრე მეტრეველთან საუბრის შემდეგ ჩემთან მწვრთნელები მოვიდნენ და მითხრეს: „დანაშაულია, გვაკლია მსოფლიოს ჩოგბურთის ასეთი ავტორიტეტი, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სთხოვენ დახმარებას და არ იყენებდე. ყველამ კარგად იცის — მეტრეველი საქართველოში ჩოგბურთის განვითარებისთვის იმიტომ არ ილვწის, რომ ფული გააკეთოს. ის მართლაც დიდი საქმეებისთვისაა მოწოდებული, მაგრამ არანაირი ხელშეწყობა არა აქვს“.

ჩვენ კი ჩვენი უბრუნველობით ბევრს ვკარგავთ და მერე გვეკვირს — როგორ მოგვიგეს ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა, ჩვენ ხომ ყიფიანით, გუცაევით, მესხით ვიწონებთ თავს. ერთ შშვენიერ დღესაც უზბეკი ჩოგბურთელები რომ ჩამოვლენ და დაგვამარცხებენ, გავიოცებთ: ჩვენ ხომ ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია, ლელა მესხი გვყავდა ამათ როგორ უნდა მივიგონო. იმისთვის, რომ ახალი ვარსკვლავები გაიზარდონ, ყურს არ ვიბერტყავთ.

იმედი? იმ დღეს კორტზე 5 წლის სანდრო მეტრეველი დაბაჯბაჯებდა ჩოგნითა და ბურთით ხელში, დიდი ალექსანდრე მეტრეველის შვილიშვილი.

ილია მხეიძე



ალექსანდრე მეტრეველი ფეხბურთელ ფეხბურთელ

დრო იყო, ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი ისეთივე კერპი იყო ქართველი ბიჭებისთვის, როგორიც ფეხბურთელი სლავა მეტრეველი

ROLAND GARROS '99

ორშაბათს პარიზის საქვეყნოდ ცნობილ როლან გაროსის კორტებზე სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირი — საფრანგეთის ღია პირველობა დაიწყება. პარიზში შეკრებილი 128-128 ქალ-ვაჟისგან ორი კვირის თავზე წითელი თიხნარიდან მთავარ ჯილდოს და მწვანე თუმნიანების გროვას ვინ გამოძერწავს, კაცმა არ იცის, მაგრამ ჩვენ უეჭველად არაერთი შესანიშნავი მატჩი გველის.

მე ამისგან გამოვძერწავ...

კაცების ბადე



ქალების ბადე



ისტორია

საფრანგეთის პირველობა პირველად ჯერ კიდევ შორეულ 1891-ში ჩატარდა, თუმცა არ გეგონოთ, რომ გადამთიელთა სიყვარული, ახლანდელისგან განსხვავებით, ბაყაყისმჭამელ ერს მაშინ მაინც მოსდგამდა: მესამედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ტურნირი მხოლოდ ფრანგი, ან ადგილობრივ კლუბებში მოასპარეზე ჩოგბურთელებისთვის იყო ღია.

უცხოელებს კარი როლან გაროსმა მხოლოდ 1925-ში გაუღო, თუმცა მაშინ ასეთი სახელი მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამკვიდრებული. ახლანდელი ცენტრალური კორტი საჩოგბურთო მექად 1928-ში იქცა, როდესაც ელიტარულმა კლუბმა „სტად ფრანსეიმ" სამი ჰექტარი მიწა გამოყო ერთი პირობით: მომავალ სტადიონს მისი სახელოვანი წევრის, პირველ მსოფლიო ომში დალუპული ავიატორის, როლან გაროსის სახელი დარქმეოდა.

მას შემდეგ 70-მა წელმა განვლო და ჩოგბურთის მზარდი პოპულარობისა და თამაშის ცქერის მსურველთა ლეგიონების დასაკმაყოფილებლად კომპლექსი არაერთხელ გააფართოვეს, განაახლეს და გააუმჯობესეს. ამჟამად ცენტრალური კორტი 15 995 მაყურებელს იტევს, თუმცა მის გარდა მატჩები კიდევ 21 წითელმიწა სარბიელზე იმართება.

საინტერესო ფაქტები

1968-ში როლან გაროსი პირველი დიდი სლემის ტურნირი შეიქნა, რომელმაც მოყვარულებთან ერთად თამაშის უფლება პროფესიონალებსაც მისცა.

თითოეული ტურნირის დროს დაახლოებით 48 000 ლიტრ წყალსა და 3 ტონა კარტოფილს სანსლავენ.

საფრანგეთის ღია პირველობა ყველაზე მეტჯერ მოუგიათ: ქალებში კრის ევერტს 7-ჯერ (1974, 75, 79, 80, 83, 85, 86); კაცებში ბიორნ ბორგს 6-ჯერ (1974, 75, 78, 81).

ტურნირის ყველაზე ხანდაზმული ჩემპიონია ესპანელი ანდრეს ხიმენო. იგი 34 წლის და 10 თვის იყო, როდესაც აქ 1972-ში გაიმარჯვა.

ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონები: მონიკა სელეში — 16 წელი და 6 თვე (1990), მაიკლ ჩანგი — 17 წელი და 3 თვე (1989).

პარიზში სულ სამჯერ გაუმარჯვია ისეთ ჩოგბურთელ კაცს, რომელიც განთესილი არ ყოფილა. ესენია ფრანგი მარსელ ბერნარი (1946), შვედი მათს ვილანდერი (1982) და ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი (1997).

1998 წლის როლან გაროსი 170 ქვეყანაში გადაიცა.

ფავორიტები

ბოლო 10 წლის გამარჯვებული კაცები

1989 მაიკლ ჩანგი — სტეფან ედბერგი 6:1, 3:6, 4:6, 6:4, 6:2
1990 ანდრეს გომესი — ანდრე აგასი 6:3, 6:4, 2:6, 6:1, 6:4
1991 ჯიმ კურიე — აგასი 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4
1992 კურიე — პეტერ კორდა 7:5, 6:2, 6:1
1993 სერხი ბრუგერა — კურიე 6:4, 2:6, 6:2, 3:6, 6:3
1994 ბრუგერა — ალბერტო ბერასატეგი 6:3, 7:5, 2:6, 6:1
1995 ტომას მუსტერი — ჩანგი 7:5, 6:2, 6:4
1996 ევგენი კაფელნიკოვი — მიხაელ შტიხი 7:6 (7:4), 7:5, 7:6 (7:4)
1997 გუსტავო კუერტენი — ბრუგერა 6:3, 6:4, 6:2
1998 კარლოს მოია — ალექს კორეტხა 6:3, 7:5, 6:3

როლან გაროსის კორტები ჩოგბურთელებისგან თამაშის სპეციფიკურ მანერას მოითხოვს, რაც წლების მანძილზე უამრავი მოულოდნელობის მიზეზი შექნილა. მოწოდება თუ უკანა ხაზიდან დარტყმები თიხნარის ნელ საფარზე სისწრაფეს და ძალას კარგავს, რის გამოც აგრესიულობაზე მეტად აქ მოთმინების უნარი, გამძლეობა და დროული კონტრშეტევები ფასობს.

სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ისეთ დიდ ჩემპიონებს, როგორც ჯონ მაკინროი, ბორის ბეკერი, სტეფან ედბერგი თუ პიტ სამპრასი არიან, როლან გაროსზე გამარჯვებისთვის გემო ერთხელაც არ გაუსინჯავთ. თუმცა მეორე მხრივ, ბევრ აქაურ ტრიუმფატორს, რომელთაგან ბოლო ხანებში მაიკლ ჩანგის, ტომას მუსტერის, სერხი ბრუგერას გახსენება შეიძლება, დიდი სლემის სხვა ტურნირებზე არასოდეს უმარჯვიათ.

როლან გაროსზე პროგნოზების კეთება ფუჭი საქმეა, თუმცა ყველაზე დიდად წლეულს აქ გუსტავო კუერტენის შანსები ფასობს. თიხნარის სეზონი „გუგამ" მართლაც შთამბეჭდავად დაიწყო — ორ მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირზე იმარჯვა მონტე კარლოსა და რომში, გზად სულ რჩეულ მეტოქეებიც დაამარცხა და „მსოფლიოში საუკეთესოს" ეპითეტი თვით კარლოს მოიას დასტყუა.

ორი წლის წინ ყველასთვის უცნობი ფლორიანაპოლისელი ბიჭი სერფერის გარეგნობით, ჭყეტელა მაისურებითა და გრძელი ქერა კულულებით გრიგალივით შეიჭრა საჩოგბურთო ელიტაში და როლან გაროსი ერთი ნახვით დაიპყრო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: კულულების ადგილზე ლამის გადახოტრილი გოგრა დარჩა, საბანკო ანგარიშიც შვიდნიშნა ციფრით გამდიდრდა და „გუგა" ახლა ახალი სიმაღლეების დაპყრობას ცდილობს: „ასეთ კარგ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ. ამ ორი სეზონის მანძილზე ბევრი რამ ვისწავლე და გავუმჯობესე, ასე რომ, მზად ვარ ახალი გამარჯვებებისთვის".

ბრაზილიელის მთავარი კონკურენტები თანაკონტინენტელი მარსელო რიოსი, „ესპანური არმადის" მეფლაგმანეები — კარლოს მოია, ალექს კორეტხა, ფელიქს მანტია იქნებიან. არ შეიძლება მსოფლიოს პირველმეორე ჩოგნების, ევგენი კაფელნიკოვისა და პიტ სამპრასის ჩამოწერაც.

ჩოგბურთელები, ვისთანაც არც ერთი განთესილი არ ინატრებს შეხვედრას: ნიკოლას კიფერი, მარიანო ზაბალეტა, ფრანკო სკილარი, სებასტიან გროსჟანი, ალბერტ კოსტა.

ბოლო 10 წლის გამარჯვებული ქალები

1989 არანჩა სანჩეს ვიკარიო — შტეფი გრაფი 7:6 (8:6), 3:6, 7:5
1990 მონიკა სელეში — გრაფი 7:6 (8:6), 7:4
1991 სელეში — სანჩეს ვიკარიო 6:3, 6:4
1992 სელეში — გრაფი 6:2, 3:6, 10:8
1993 გრაფი — მერი ჯო ფერნანდესი 4:6, 6:2, 6:4
1994 სანჩეს ვიკარიო — მარი პირსი 6:4, 6:4
1995 გრაფი — სანჩეს ვიკარიო 7:5, 4:6, 6:0
1996 გრაფი — სანჩეს ვიკარიო 6:3, 6:7 (4:7), 10:8
1997 ივა მაიოლი — მარტინა ჰინგისი 6:4, 6:2
1998 სანჩეს ვიკარიო — სელეში 7:6 (7:5), 0:6, 6:3

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ტურნირზე გამარჯვების უპირველეს პრეტენდენტად მსოფლიოს პირველი ჩოგანი და შესანიშნავ ფორმაში მყოფი მარტინა ჰინგისი ითვლება, რომელსაც მისი კოლექციის შესავსებად სწორედ ეს ერთადერთი დიდი სლემის ტურნირის ტიტული აკლია. თუმცა შემთხვევითი სულაც არაა, რომ 18 წლის შვეიცარიელს პარიზში ერთხელაც არ გაუჯეჯილია ბოლომდე: ფიზიკურად ყველა მომთხოვნ საფარზე ჯანით არცთუ გამორჩეულ მარტინას ზეიზეად 7 მატჩის მოგება ძალიან უჭირს. 1997-ში ჰინგისს ივა მაიოლმ ჩაუშალა გეგმები, შარშან — მონიკა სელეშმა, წლეულს კი შავი კატის როლის შესრულებას ვინუს უილიამსი ესწრაფვის.

„რა თქმა უნდა, დიდი იმედგაცრუება იქნება ჩემთვის, თუ ამჯერადაც ვერ გავიმარჯვებ. მთავარ მეტოქედ ვინუსი მეგულება, თუმცა თავს ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნევ და არა ფავორიტად" — ეს სიტყვები მარტინამ გასულ კვირაში, ბერლინის ტურნირზე გაჩემპიონების შემდეგ წარმოთქვა.

შეიძლება ჰინგისს უფროსი უილიამსის გარდა მართლაც არავისი ეშინია, მაგრამ ჩემპიონობაზე არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიები კიდევ რამდენიმე დიაცს ექნება. თავისი 3 ტიტულისთვის კიდევ ერთის შემატებაზე იფიქრებს ესპანელი არანჩა სანჩეს ვიკარიო, მაჯის მძიმე ტრავმა რომ არა, პირველად განთესილი პარიზში იქნებ სულაც ლინდსი დევენპორტი ყოფილიყო, ამრეზით მაცქერალ თანამემამულეთა გულის მოგებას მარი პირსიც შეეცდება.

ჩოგბურთელები, ვისთანაც არც ერთი განთესილი არ ინატრებს შეხვედრას: ამელი მორესმო, რუქსანდრა დრაგომირი, ანა კურნიკოვა, ჩანდა რუბინი, კონჩიტა მარტინესი.

ავთანდილ სვანიძე

ქართველები ინგლისში...

დასაწყისი პირველ გვერდზე

ერთი სიტყვით, ასეა, გოგოლაძეც ლონდონშია, ლუისის კოლეჯში და პროფესიულ კარიერას იწყებს.

ორი ქართველი, ორი მოკრივე ინგლისის დედაქალაქში შეყრილა და იქ, პროფესიულ რინგზე ფეხისმოსაკიდებლად ჩასულ მოჩხუბართა დიდ რაზმთან მოუწევთ თავისი ძალის დამტკიცება.

ცხადია, ამ ქვეყნად იოლად არაფერი მოდის, მით უფრო სპორტში. თუ კანდელაკმა პროფესიულ კრივში ადრე გაიკვლია გზა, როგორც გითხარით, კობა გოგოლაძე ახლა იწყებს და მის გვერდით მამუკა წიკლაური დგას. მამუკა ის მოკრივეა, რომელმაც ქართველთაგან პირველმა შეაღო პროფესიული კრივის სამყაროს კარი და ამ სამყაროში ბევრიც ნახა და ბევრიც გაიგო.

7 მაისს მამუკა წიკლაური და კობა გოგოლაძე ლონდონში ჩავიდნენ, ცხადია, წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების მერე. პროფესიულ კრივში უმთავრესი ხეირიანი კონტრაქტია, ჰოდა, როგორც გუშინ თბილისში დაბრუნებულმა მამუკა წიკლაურმა გვითხრა, დღეს კობა გოგოლაძე კონტრაქტს ხელს მოაწერს და ამით ოფიციალურად გაფორმდება კიდეც მისი, როგორც პროფესიული მოკრივის სტატუსიო.

ამჟამად კობა გიორგი კანდელაკთან ერთად ვარჯიშობს ლენოქს ლუისის კოლეჯში, სადაც ამ ორ ქართველთან ერთად რამაზ ბებნაძე და მალხაზ ბერკაცაშვილიც არიან, ოღონდ ეს ბიჭები ინგლისში პროფებთან მხოლოდ ვარჯიშობენ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. გოგოლაძეს კი კანდელაკის ბულგარელი მწვრთნელი მიხაილ ტკაჩი გაწვრთნის, მენეჯერი კი ზემოხსენებული ფრენკ მელოუნი იქნება. კონტრაქტის პირობით, გოგოლაძის ჩატარებული ბრძოლებიდან შესული თანხის 10 პროცენტი პროფესიულ კლუბ „მამუკას“ დარჩება. ეს კლუბი მამუკა წიკლაურისა და კობა გოგოლაძის თაოსნობით ახლახან

კობა გოგოლაძე, გიორგი კანდელაკი, მამუკა წიკლაური
რამაზ ბებნაძე და მალხაზ ბერკაცაშვილი

ჩამოყალიბდა თბილისში და, როგორც მისი დამაარსებლები ამბობენ, მიზნად ქართული კრივის აღორძინებას ისახავს. ერთიც უნდა ვთქვათ, ლონდონში ქართველებმა ხელი ხელს დაკრეს — კლუბი „მამუკა“ და კანდელაკის კლუბი „ჩემპიონი“ ამიერიდან ერთად იზრუნებენ საქართველოში პროფესიული კრივის ფედერაციის დასაარსებლად.

ბოლოს კი, წუხელ ლონდონიდან მოსულ ამბავსაც გეტყვით: სანამ გიორგი კანდელაკი ბელფასტისკენ აყრილა და იქ საბრძოველად მიემგზავრებოდა, კობა გოგოლაძეს სპარინგ-მეტოქე ნოკაუტში გაუგზავნია და ამ ჩხუბის მაყურებელთა დიდი მოწონებაც დაუმსახურებია.

სოსო კოტორეიშვილი

ოსკარი კარს შეამტვრევს

და საშემოდგომო გამოცდისთვის მოემზადება

REUTERS ლას ვეგასიდან

ობა კარი და ოსკარ დე ლა ჰოია

ამერიკის ოქროს ბიჭუნა, განთქმული მოკრივეთაგან ლამის ერთადერთი სულ მთლად დადებითი მებრძოლი, ოსკარ დე ლა ჰოია ხვალ თავის მორიგ ბრძოლას გამართავს.

საბჭოს (ვბკ) ველთერის წონის ჩემპიონის ქამარი, რა თქმა უნდა, კვლავ მის ხელთაა, მაგრამ მორიგი მოცილე გასჩენია. ეს გახლავთ არცთუ ცნობილი და არცთუ პოპულარული, მაგრამ მონდომებული მოკრივე ობა კარი.

ორთაბრძოლა ლას ვეგასში გაიმართება და მოწინააღმდეგათა ძალებზე ტოტალიზატორის ფსონიც მეტყველებს! დე ლა ჰოია ფავორიტია ერთით რვანახევრის წინააღმდეგ.

მიმომხილველთა აზრით, წარმოუდგენელია, რომ კარმა რომელიმე შეფასებით მაინც იმარჯვოს.

თავად დე ლა ჰოია აცხადებს: „მსურს კარგი, სამაგალითო და ლამაზად გასახსენებელი ბრძოლა გავმართო. რა თქმა უნდა, ქულებით მოგებაც გამარჯვებაა, მაგრამ მინდა ნოკაუტით მოვიგო. ზარმაცი კაცი ვარ და საქმის უცებ მოგვარება მიყვარს. ქულებით მოგება უფერული იქნებოდა“.

დე ლა ჰოია არ არის ტრაბახა ვინმე და ამიტომ მისი ნათქვამი კარგს არაფერს უქადის კარს. ისედაც ყველამ იცის, რომ მას ჯერ არ წაუგია და ოცდაათი ბრძოლიდან ოცდაოთხი ნოკაუტით დაუმთავრებია.

ჩვეულებრივ სიტყვაძუნწი ოსკარი ამჯერად აბობოქრებული ჩანს. ეტყობა, რომ მის მეხსიერებაში ჯერაც არ წაშლილა 13 თებერვლის საღამოს ფათერაკები. თუ გახსოვთ, მაშინ დე ლა ჰოია შეხვდა იქამდე დაუმარცხებელ განელ ბაზუკას, აიკ კორტის, რომელმაც დე ლა ჰოიასთან შეხვედრის წყურვილით ასოციაციის (ვბა) ჩემპიონობაზე თქვა უარი. იმ ბრძოლაში დე ლა ჰოიამ უკანასკნელ რაუნდებში თავზეხელაღებული შტურმითლა იმჯობინა ქულებით.

თუმცაღა, კორტიმ ყველას ათქმევინა, განელი სულ ერთი მისხალით ცოტა ყოფილაო.

„ის ბრძოლა ცუდად მახსენდება“ — აღიარებს ოსკარი. „ყველა მეუბნებოდა, კორტი საშინელი დამტყმელია და დაცვითი დაიჭირეო. ათ რაუნდს ტაქტიკურად ვიბრძოდი და, გვარიანადაც მომხვდა. მერე ყველაფერი დავივიწყე, ხომ არ გადავყვებოდი ტაქტიკას? ჩემი სტილით ვიმარჯვე. ხვალაც ჩემს ნაცად შემტევ სტილს ავირჩევ. შეტევა კრივის არსია“.

ობა კარს მართლაც არ დაადგება კარგი ღღე. ვიხუმრთ ასე: თუ ეს კარი ოსკარმა არ დაინდო, საიქიოს კარს დაანახებს.

დე და ჰოიას იმდენად არ ანაღვლებს ხვალინდელი ამბავი, რამდენადაც სამომავლო.

18 სექტემბრისთვის დაგეგმილია მისი კარიერის ალბათ უმნიშვნელოვანესი ორთაბრძოლა. აქამდე ვარიანტი ორი იყო: ან ოსკარი რემატჩში შეხვდებოდა იმავ კორტის, ანაც ტიტულთა გამაერთიანებელ ბრძოლაში შეებმებოდა (იბფ) ჯერაც დაუმარცხებელ ქამრის მპყრობელს, პუერტორიკოელ ფელიქს ტრინიდადს.

ახლა თითქმის გადაწყვეტილია, რომ დე ლა ჰოია ტრინიდადს უნდა შეერკინოს. თუ ამ ბრძოლაში იმარჯვებს, ოსკარი ნაღდად გამოცხადდება ყველა წონის საუკეთესო მოკრივედ, ანუ „ფაუნდ-ფორ-ფაუნდის“ დივიზიონის პირველ ნომრად. თუმცა, ამაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის არის, რომ ბოლო მოელება ლაპარაკს, დე ლა ჰოიას „თვალსასაჩინო მოკრივეობის“ შესახებ. ეს ცნება იმას გულისხმობს, რომ მავან საშუალო და რეკლამით გაბერილ მოკრივეს, გაქნილი მენეჯერები საგანგებოდ ურჩევენ ისეთ მოწინააღმდეგეებს, რომელთაც უეჭველად დაამარცხებს.

ამბობენ კიდეც, დე ლა ჰოიამ მაშინ დაამარცხა დიდი ჩემპიონები, პარნელ ვიტეკელი, ექტორ კამაჩო და ხულიო სესარ ჩავესი, როცა ესენი უკვე იშკილებიდან ჩამოცვენილიყვნენო.

ამისდაკვალად, ოსკარი წონის მომატებასაც აპირებს, რათა ზამთარში მუშტი დააზომოს ზე ველქერის ესპანელი ჩემპიონის ფრანსისკო კასტილიეხოს ცხვირ-პირს. ეს ბრძოლა ალბათ ლოს ანჯელესში გაიმართება, ოსკარის მშობლიურ ქალაქში. აქ კი დე ლა ჰოიას, რა დასამალია და, ხუთი წელიწადია არ უბრძოლია.

„უზურში მაქვს, შვიდ წონაში მაქვს მოვიგო ჩემპიონობა“, გამოტყდა ოსკარი.

იგი ამჟამად 26 წლისაა. უკვე მოუგია ორგანიზაციის (ვბო) ქვემსუბუქი და მსუბუქი წონის ჩემპიონობა (1994). ასევე საბჭოს (ვბკ) ზემსუბუქი წონის სარტყელი (1996) და იმავე საბჭოს ველთერის პირველკაცობა, რაც ამჟამად უპყრია.

წონათა თანაფარდობას თუ გავითვალისწინებთ, დე ლა ჰოია იბრძოლებს შემდეგ სამ დივიზიონში გასამარჯვებლად და ავა ზე საშუალო წონამდე. ამისთვის მას თანდათანობით მოუწევს რვა კილოგრამის მომატება.

ეს სამი წონა სამწონად, მაგრამ ოსკარს ერთი დიდი ოცნებაც ჰქონია, რომლის ახდენა სათუო კია, მაგრამ რას გაიგებ? მას სურს, ორ-სამ წელიწადში შეებრძოლოს ქვემძიმე წონის აშარ ჩემპიონ როი ჯონსს, რომელიც სადღეისოდ ბარე ოცი კილოგრამით მძიმეა, ვიდრე პატარა ოსკარი. თუ ჯონსმაც მაღლა არ აიწია, მაშინ ოსკარის ოცნება ეგებ ახდეს კიდეც.

აი, ასეა.

„მე მსურს კრივის ისტორიის გადაკეთება“, ამბობს დე ლა ჰოია.

ალგერტ ხაჩატურიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. მეხუთე ტურის ანონსი

შვიდკაცა ნაკრები, ბევრკაცა დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 22 მაისი

უნივერსიტეტი — ასკ

ყოჩები — ლოკომოტივი 2

თბილისი. 23 მაისი

ზორდა — დათვები

რუსთავი — ლოკომოტივი 1

ერთი ხანობა საქართველოს შვიდკაცა ნაკრების უცხოეთში გამგზავრება ეროვნული პირველობის დროებით შეწყვეტას იწვევდა. ნაკრები ნაკრებად, მაგრამ ამით ჩემპიონატის დროულად დამთავრება ხანდახან ვერ ხერხდებოდა, ანაც თამაშები ყოველ სამოთხ დღეში იმართებოდა. წლეულს ვითარება შეიცვალა. ახლა თუ ბუნებამ შეგვიწყალა, მატჩებს გადადების საფრთხე აღარ ემუქრება. აგერ, გუშინწინ, საქართველოს შვიდკაცა ნაკრები გერმანიაში, კერძოდ კი ჰაიდელბერგში გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ. ჰაიდელბერგი ის ქალაქია, სადაც ქართველმა მობურთალებმა შარშან მსგავსი ტურნირი მოიგეს და იგივეს მიღწევას წლეულსაც შეეცდებიან. ნაკრების მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა საგერმანიოდ ათი მორაგბე შეარჩია: იაშვილი, ხამაშურიძე, აბაშიძე, ანდღულაძე, ბორღაშვილი, ლაბაძე, მოდებაძე, ჯიმშელაძე, ქავთარაშვილი, ურჯუკაშვილი. გერმანიის შემდეგ ქართველი მორაგბეები ესპანეთში, იქიდან ისრაელში გაემგზავრებიან, ბოლოს კი შესაძლოა, საფრანგეთშიც ამოჰყონ თავი. უკან დაბრუნებას ქართველები 15 ივნისისთვის ვარაუდობენ. სავსებით შესაძლებელია, ნაკრების ასეთმა ხანგრძლივმა ტურნემ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის თამაშის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედოს — მალხაზ ჭეიშვილი ხომ „ყოჩების“ თაკაცია. ასე რომ, გუნდს დროებით უმისოდ მოუწევს თამაში. თუ ეს ფაქტი ჩემპიონს „ლოკომოტივი“ 2-თან დაპირისპირებისას პრობლემებს არ შეუქმნის, ორი კვირის შემდეგ ბათუმში უმწვრთნელოდ სტუმრობა გუნდის თამაშს აშკარად დაეტყობა. უმცროს რკინიგზელებთან პაექრობა კი „ყოჩებს“ დღეს ელით ქვეყნის ჩემპიონატის მეხუთე ტურში. დღემდე პირველობაზე სამჯერ დამარცხებულ „ლოკომოტივი“ 2-ს ხვალაც, ალბათ, იგივე ელის, რადგან სადღეისოდ მას ძალა არ შესწევს, თუნდაც უმწვრთნელო „ყოჩებს“ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს. რაც შეეხება „ლოკომოტივის“ პირველ გუნდს, უფროს რკინიგზელებს მეორე დღეს მოუწევთ რუსთაველებთან სტუმრად ჭიდილი. სტუმრადღ, ვამბობთ, თორემ ორი კვირის წინ „რუსთავისა“ და „აიას“ მატჩში მომხდარი ჩხუბის გამო რუსთაველებს შინ თამაში დროებით აეკრძალათ და რაკი მორაგბეებს ახლომახლო ვარკეთილის გარდა სარბიელი არ გააჩნიათ, „რუსთავიც“ იძულებულია, იქ დაუხვდეს მეტოქეს. წინა თამაშისა არ იყოს, ამ შეხვედრაშიც გამარჯვებული წინასწარვეა ცნობილი. საკითხავი ისღაა, რა ანგარიშიც დაამარცხებენ რკინიგზელები მოწინააღმდეგეს.

ტურის ცენტრალური მატჩიც კვირას გაიმართება. ერთმანეთს „ზორდა“ და „დათვები“ დაუპირისპირდებიან. დღემდე წაუგებელ „დათვებს“ ხვალ სერიოზული გამოცდა ელით. მართალია, „ზორდამ“ ორ თამაშში მხოლოდ ერთხელ იმარჯვა (უნივერსიტეტს სძლია 19:12, „ლოკომოტივ I“-თან კი 0:30 დამარცხდა), მაგრამ ამ გუნდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს სტუმრებს, რომლებიც, თავის მხრივ, შეეცდებიან, წაუგებელი სერია განაგრძონ, მით უფრო, ბათუმელებს გულში „ყოჩების“ შედეგის გამეორება — ჩემპიონატის წაუგებლად ჩამთავრება ამოუჭრიათ.

კიდევ ერთი მატჩი, რომელიც ქომაგთა ინტერესს იწვევს, დღეს გაიმართება ვარკეთილში. წინა ტურში „ზორდასგან“ დამარცხებული უნივერსიტეტი ასკ-ს დაუხვდება. ორივენი მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალისანი არიან და ოთხეულში მოსახვედრად იბრძვიან, ამიტომაც უშეღავათო პაექრობა გაჩაღდება. და მაყურებელიც, ალბათ, არ წააგებს.

ჯვაროსნებს ჯვარი სწერიათ

ზე-12 ნახევარფინალები

ბრისბენი. 22 მაისი

ბრისბენი — კრაისტჩერჩი

სპეციალისტთა აზრით, ზე-12-ის წლევანდელი პირველობის გამარჯვებული ამ ნახევარფინალის მომგები გახდება. კრაისტჩერჩელი „ჯვაროსნები“, რომლებიც პირველობის შარშანდელი გამარჯვებულები არიან, წლეულს მეტად არათანაბრად ასპარეზობენ. საწყის სამ ტურში წარმატებულ თამაშს „ჯვაროსნებმა“ სამი მარცხი მიაყოლეს და მათი პლეი ოფში თამაშიც ეჭვქვეშ დადგა, თუმცა ბოლო ოთხ ტურში ჩემპიონს რომ შეეფერება, ისეთი დონის თამაში აჩვენეს, რაც შედეგზეც აისახა — ოთხიდან ოთხივე მატჩში იმარჯვეს და ნახევარფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. ბრისბენელებს რაც შეეხებათ, „წითლების“ ასეთ გამოსვლას არავინ ელოდა. გუნდი წლეულს თერთმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ორში დამარცხდა და პირველობაც არავის დაუთმო.

ამ შეხვედრისთვის „ჯვაროსნების“ მწვრთნელმა უეინ სმიტმა ძირითადში გარემარბი რალფი და მორკინალი სომერვილი დააბრუნა, რომელთაც ტრავმები აწუხებდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 22 კაციან სიაში ვერ მოხვდნენ ჯეიმს კერი და სტივ სარიჯი. სმიტს იმედი აქვს, რომ რალფის და სომერვილის დაბრუნება ძირითად შემადგენლობაში გაზრდის გუნდის წარმატების შანსს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არც ერთ „ჯვაროსანს“ ტრავმა არ აწუხებს. ამ მხრივ დიდი პრობლემები აქვთ „წითლებს“. მათ გუნდის ორი მთავარი ფიგურა — ჯონ ილზი და სემ კორდინლი არ ეყოლებათ. რაგბის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ილზმა ტრავმა ჯერ კიდევ პირველობის დაწყებამდე მიიღო. გუნდის ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ მობურთალი პლეი ოფში მაინც შეძლებდა თამაშს, მაგრამ ექიმთა რჩევას დაყოლილი ილზი ამას მსოფლიოს თასამდე ვერ შეძლებს.

ნიულენდსი. 22 მაისი

კეიპტაუნი — დანიდინი

ახალზელანდიელები ლამის მთელი გათამაშება ცხრილის სათავეში იმყოფებოდნენ, მაგრამ თავი პლეი ოფში რომ იგულეს, მოეშვნენ და მესამე ადგილს დასჯერდნენ. სხვებისგან განსხვავებით, გუნდის დამრიგებელი ტონი ჯილბერტი საამტჩო შემადგენლობას ამაღამ დასახელებს. გულშემატკივრებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, დაუბრუნდება თუ არა გუნდს ტრავმირებული ბრენდან ლეინი, რადგან მის გარეშე დანიდინელებს გუნდის წარმატებისა არ ეიმედებათ. სხვაფრივ გუნდში ყველაფერი რიგზეა. ჯილბერტი, რომელიც ყველაზე კონსერვატორ მწვრთნელად ითვლება, ნაცადი ტაქტიკით ათამაშებს გუნდს და კელვინ მიდელტონის ნაცვლად ისევ წარმოშობით ტონგელ ოლბლექსელ ისიტოლო მაკას დაყენებს. სამხრეთაფრიკელებს რაც შეეხებათ, მათ კაპიტანი ბობი სკინსტადი არ ეყოლებათ. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა ჭუკერი შარლ მარე. ამ გუნდებს შორის აქამდე გამართულ სამ შეხვედრაში წარმატებას საჯერვე „დინიდინმა“ მიაღწია, თუმცა დღევანდელ მატჩში სპეციალისტები გამარჯვებას მასპინძლებს, სამხრეთაფრიკელ მორაგბეებს უწინასწარმეტყველებენ.

აია იქუხებს, ოღონდ დათვურად

გავბედავ და ვინინასწარმეტყველებ, ქვეყნის ბოლო ორ პირველობაში გამარჯვებულ „ყოჩებს“ წლეულს ძალიან გაუჭირდებათ უძლიერესის ნოდების შენარჩუნება. ფიქრობთ, ამას წინა ტურში „ყოჩთა“ პირველ რკინიგზელებთან მარცხი მათქმევინებს? ესეც არის, მაგრამ სხვაც. აგერ ნახავთ, ორგზის ჩემპიონს უფრო დიდ თავსატეხს შარშანდელი ვერცხლოსანი „დათვები“ გაუჩენენ

„დათვების“ ისტორიას არ მოვყვები. ან რა ბევრია მოსაყოლი. მოგეხსენებათ, ბათუმური გუნდი შარშან დაკომპლექტდა ქუთაისში უპატრონოდ დარჩენილი მწვრთნელ — მოთამაშეებით და პირველსავე ცდაზე ლამის საჩემპიონოდ გაიწია. ერთადერთი, ვისაც „გადათვებული აია“ ვერ გაუმკლავდა, „ყოთა“ გუნდი გახლდათ.

აჭარაში ადრეც თამაშობდნენ რაგბის, მაგრამ ამბიციური გუნდი ამ კუთხეს არასდროს ჰყოლია. ბათუმში ელიტარული გუნდის ჩამოყალიბების იდეის ხორცშესხმა კი ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, ამა წლის თებერვალში შექმნილი აჭარის რაგბის კავშირის პრეზიდენტის ილია წულუკიძის ძალისხმევით და ბატონ ასლან აბაშიძის ხელდასმით გახდა შესაძლებელი.

საახალსეზონოდ „დათვები“ უფრო მოღონიერდნენ, გუნდს კიდევ შვიდი აიელი, აქედან ხუთი ყოფილი სსრკავშირის სამგზის ჩემპიონი, დაემატა. ქუთაისური რაგბის „პიონერის“, ბევრ ჭირვარამგამოვლილი რამაზ სვანაძის მიერ საუცხოოდ გაწვრთნილ ბათუმურ გუნდს წლევანდელ გათამაშებაში მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს — ჩემპიონობა. ამაში „დათვთა“ ლიდერებთან ძმებ ძაგნიძეებთან საუბარმაც დამარწმუნა. ნუგზარს, ყველაზე ტიტულოვან ქართველ მორაგბეს, და მასზე ოთხი წლით უმცროს ემზარს ერთი და იგივე კითხვებით მივმართეთ...

— ჯერ ის ამიხსენით, რატომ წამოხვედით ბათუმში? ნუგზარ, შენ ხომ, ფაქტობრივად, დანებებული გქონდა თამაშისთვის თავი. შენ კი, ემზარ, შარშანდელი სეზონი რუსეთში კრასნოზნამენსკის ცსკა-ში დაიწყე...

ნუგ ზარი: რატომ წამოვედი? ამის ახსნა დიდ დროს წაიღებს, მაგრამ შევეცდები მოკლედ გითხრა. თამაშისთვის თავის დანებებამ ორჯერ მომიწია. ჯერ 91-ში, მაშინ 24 წლისა ვიყავი. სხვანაირად არ გამიგოთ, როდესაც თამაშობ, რაღაც სტიმული ხომ უნდა გქონდეს. საკავშირო ჩემპიონატების დროს ეს სტიმული არ გვაკლდა, ვიღაცას რაღაცას ვუმტკიცებდით, ვიღაცას გამარჯვებით ვახარებდით, ყურადღებას ვგრძნობდით. მერე ყველაფერი შეიცვალა. ის ინტერესი აღარ იყო, თანაც ცხოვრება გაჭირდა. ქუთაისში რაგბისთვის არავინ მოიცალა. მე კი ოჯახი მყავს, ორი შვილის მამა ვარ. ამიტომ წავედი. რაღაც საქმეს მოვკიდე ხელი. 95-ში ბიჭებმა მთხოვეს და „აიას“ რამდენიმე მატჩში დავეხმარე. მაშინ საქართველოს ჩემპიონები გავხდით, მაგრამ სპორტული კარიერის გაგრძელებაზე აღარ ვფიქრობდი. ორი წელი საერთოდ აღარ მითამაშია. შარშან „აია“ თითქმის ყველა მეტნაკლებად ძლიერმა მოთამაშემ დატოვა, გუნდი ბავშვებით შეივსო, ყველასთან აგებდა და მეც ერთხელ გულმა არ მომითმინა, მოედანზე გავედი. ჰო, ბათუმში ხშირად ჩავდიოდი „დათვების“ თამაშებზე და, ერთხელაც იყო, ბატონ ილია წულუკიძეს შევხვდი. ამ კაცში ისეთი სითბო და გულწრფელობა დავინახე, „დათვებში“ გადასვლაზე უარი ვერ ვუთხარი. წვრთნას სერიოზულად შევუდექი, მაგრამ მანამდე, როგორც გითხარით, ერთი მატჩი მქონდა ჩატარებული „აიაში“ და რაგბის კავშირმა „დათვებში“ თამაშის ნება აღარ დამრთო. მერე ნაკრებშიც მიმიწვიეს, ოღონდ ტრავმამ შემიშალა ხელი. ისევ გადავწყვიტე რაგბიდან წასვლა, მაგრამ კარგად დავფიქრდი და ილია წულუკიძისთვის რომ მელალატა, არაკაცი ვიქნებოდი. ასე შემოვრჩი „დათვებს“. რითაც შემიძლია, გუნდს დავეხმარები. ისე ვვარჯიშობთ, ორ თვეში 15 კილო დავიკელი, თავს მსუბუქად ვგრძნობ.

ილია წულუკიძეს (მარცხნივ) ძმების ეიმედება

ემზარი: 10 წელი ვითამაშე „აიაში“ და გუნდს არც ვუღალატებდი, მაგრამ ქუთაისში რაგბი უყურადღებოდ დარჩა. სპორტსმენი ვარ და თამაშით უნდა ვარჩინო ოჯახი. რუსთავის „აზოტში“ ვიყავი, იქედან რუსეთში წავედი. ცსკა-მ ათდღიანი შვებულება რომ მომცა, აქეთ ჩამოვედი და უკან აღარ გავბრუნებულვარ. ნუგზარის თქმისა არ იყოს, მეც ბატონმა ილია წულუკიძემ „შემაცდინა“. ამ კაცს ბოლომდე დავუდგები გვერდში. ალალად გეტყვით, სამი წლის წინ ფრანგულ „მონპელიეში“ მიწვევდნენ, მაგრამ თავი შევიკავე, იქაურ ათას დოლარს რუსთავული ორასი ვარჩიე.

— გეტყობათ, ბათუმში კარგად გრძნობთ თავს...

ნუგ ზარი: ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია, პირობები ნორმალურია.

ემზარი: ცოლშვილიანები აქ ოჯახებით ვართ ჩამოსულნი.

— ასეთი რა ანაზღაურება გაქვთ?

ნუგ ზარი: რასაც გვაძლევენ, ვკმარობთ.

ემზარი: ეგრეა.

— ერთ დროს ქუთაისშიც რაგბის ბუმი იყო, მაგრამ... როგორ ფიქრობთ, ბათუმში ეს დროებითი მოვლენა ხომ არ იქნება?

ნუგ ზარი: აჭარაში რაგბის განვითარებაზე სერიოზულად ფიქრობენ. ბათუმში ბავშვთა სკოლა გაიხსნა, ქობულეთშიც ამუშავდა ჯგუფები. ეგ კი არა, სოფლებშიც დაუწყიათ თამაში. ასე რომ, არა მგონია...

ემზარი: როგორც გავიგე, წლეულსვე აჭარის პირველობაც ჩატარდება. ადგილობრივი ბიჭებიც გამოჩნდებიან. ბათუმის ცენტრში სარაგბო მოედანი კეთდება, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს.

— ხელმძღვანელობა „დათვებისგან“ ჩემპიონობას ითხოვსო...

ნუგ ზარი: რატომ გიკვირთ? ამის პოტენციალი გუნდს ნამდვილად გააჩნია. ყველა რგოლი სოლიდურადაა დაკომპლექტებული. ბიჭები ვარჯიშზე თავს არ ზოგავენ. შეგვიძლია, ნაღდად შეგვიძლია ჩემპიონობა.

ემზარი: პაატა ძოწენიძის, გელა ფირცხალავას, კახა მაჩიტიძის, ზურაბ რეხვიაშვილის, ნიკა აბდალაძის, დათო აშვეთიას დარი და, აქ შეიძლება სხვებიც დავასახელო, მოთამაშეები ბევრს არ ჰყავს. ჩემპიონები უნდა გავხდეთ, თანაც წაუგებლად. ისე, დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი ვიღაც-ვიღაცეებს არ გაახარებს.

— რა, მტრები გყავთ?

ემზარი: მოსისხლე არა, მაგრამ გვყავს.

— მაინც, ვის გულისხმობ?

— რა საჭიროა...

— ნაკრებში თამაშზე თუ ფიქრობთ?

ნუგ ზარი: არა. ამ სეზონს „დათვებში“ დავამთავრებ და ქუთაისში დავბრუნდები. მომავალში მხოლოდ „აიაში“ თუ ვითამაშებ.

ემზარი: ნაკრებში ბევრჯერ დამიძახეს, მაგრამ [illegible] ამბავს მოგიყვები, ოღონდ იმ პირობით, რომ [illegible]

— თქვი, ასეთი რა ამბავი?

— გეხსომება, შარშან ჩვენს ნაკრებს ირლანდიაში მსოფლიო თასზე ორი შეხვედრა ჰქონდა. პირველი მასპინძლებთან. ეს თამაში წინასწარ გვქონდა წაგებული და საბოლოოდაც სასტიკად დავმარცხდით. მეც ვიყავი მოედანზე. მაგრამ ჩვენთვის მთავარი რუმინელებთან თამაში გახლდათ. წინადღით „ბურძგლამ“ (ნაკრების მწვრთნელი გურამ მოდებაძე — ი.კ.) მეც დამარიგა, აბა, შენ იცი, „სასტავში“ ხარ და კარგად მოემზადეო. თამაშის დღეს ჯერ ის შევიტყვე, რომ სათადარიგოდ გადავუყვანივართ. მაგრამ ეს არაფერი. მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მწვრთნელმა დამიძახა და მითხრა: აბა, შარვალ-კოსტუმი ჩაიცვი და ტრიბუნაზე სუფთა ჰაერი ყლაპე, ეს შენი დონის თამაში არ არისო. ზუსტად ამ სიტყვებით მომმართა. ჩავყლაპე, გავჩუმდი. ახლა გეუბნებით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, მაგრამ სანამ ნაკრებს ასეთი ხალხი უხელმძღვანელებს, მისგან თავს შორს დავიჭერ. ჩემი თუ არ გჯერა, კახა მაჩიტიძეს ჰკითხე. მისთვის უთქვამთ, ბათუმში თუ გადახვალ სათამაშოდ, ნაკრებს ვერ ეღირსებიო. ადრე ნაკრებში მართლაც რომ საუკეთესოებს იწვევდნენ, ახლა ასე არ ხდება. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები რომ თავისი უძლიერესი შემადგენლობით გასულიყო რუმინეთთან ან თუნდაც ტონგასთან, არ წაგებდა.

— „დათვებმა“ ჩემპიონატში ზედიზედ ოთხჯერ მოიგეს, მაგრამ ჯერ მთავარ კონკურენტებს არ შეხვედრიხართ...

ემზარი: ხომ შევხვდებით. ჩემპიონატი დაუმარცხებლად უნდა დავასრულოთ.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

ორაკელი ნიკოლაძის ფოტო

უმცროს ძაგნიძეს, ემზარს (შუაში) მეტოქეთა ყურადღება არასდროს აკლდა

ორაკელი ნიკოლაძის ფოტო

ნუგზარ ძაგნიძე (ბურთით) კარიერის დასრულებას „აიაში“ აპირებს

სარაგბო დაქუცმაცებულობა სამხრეთ აფრიკაში

საერთაშორისო სარაგბო სუფრასთან მობრუნების, ანუ 1992 წლის, შემდეგ სამხრეთ აფრიკის რაგბეთს ვინ ვინ ეგეთი წარმატებული ხანა არა ჰქონოდეს. აბა, თავად განსაჯეთ: სამხრეთაფრიკელები ხომ ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონისა და სამხრეთ ნახევარსფეროს სამ-ერა პირველობის გამმარჯვებელთა ტიტულებს ჰფლობენ, მათ წამყვან საკლუბო გუნდს, კეიპტაუნის „მოიერიშეებს“ კი ერთი მოგებაღა სჭირდებოდათ, რომ ზე-12-ის წლევანდელი „რეგულარული სეზონი“ (ანუ პლეიოფამდელი ეტაპი) ცხრილის სათავეში გაესრულებინათ და შეჯიბრის 4-წლიან ისტორიაში ამის შემძლე პირველი სამხრეთაფრიკული გუნდი გამხდარიყო. მაგრამ ამგვარი წარმატებულობის ულრუბლო სურათს ორი რამ გარემოება ამღვრევს. ერთი ის, რომ როგორც მოიერიშეებმა შეიძლება პლეიოფებში წაიფორხილონ, ასევე არცთუ „ქურციკებსა“ აქვთ გარანტირებული საამსეზონო სამ-ერა პირველობისა და ოქტომბერ-ნოემბერში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულების შენარჩუნება; მეორეც ის, რომ სამხრეთ აფრიკელებს სერიოზული შიდა-პრობლემაც ჰქონიათ. ამ პრობლემას იქ „ადგილობრივ რაგბეთში პროვინციალიზმის მოძალებას“ უწოდებენ.

სარაგბო პროვინციალიზმის ბუნება ასეთია — სხვადასხვა პროვინციათა გუნდების შეხვედრები როგორც წესი მაღლიანი ცემა-ტყეპით მთავრდება, ნაკრებში თავშეყრილი მორაგბეები პროვინციული ნიშნით ერთიანდებიან და ეროვნული გუნდი ჭყეტელა მოზაიკას ემსგავსება, ამასთან, თუკი რომელიმე პროვინციის წარმომადგენლები მასში არასაკმარისი რაოდენობით არიან, ნაკრებს იმ კუთხის არც ქომაგობის იმედი უნდა ჰქონდეს და არც, თქვენ წარმოიდგინეთ, ნეიტრალური დამოკიდებულებისა (ესე იგი, დამოკიდებულება ასეთ შემთხვევაში აშკარად მტრული იქნება). განსაკუთრებით მწვავე ურთიერთობა ჰქონიათ ერთის მხრივ ქვეყნის ჩრდილო (იოჰანესბურგი და პრეტორია) და მეორეს მხრივ სამხრეთ (კეიპტაუნი) პროვინციებს. ეს ურთიერთობა ამჟამადაც საკმაოდ დაძაბული ყოფილა.

უფრო კონკრეტულად, ნაკრების მთავარ მწვრთნელ ნიკ მალიტს ჩრდილოური პრესა ქვეყნის რაგბეთის „კეიპტაუნური უღლით წარმართვას“ აბრალებს. ამის უახლეს მაგალითად ნაკრებიდან იოჰანესბურგული წარმომავლობის ტექნიკური მრჩევლის, ვინმე ჯეიკ უაიტის დათხოვნა სახელდება. აქაოდა, მალიტის თანაშემწემ, „მოიერიშეთა“ თავკაცმა ალან სოლომონზმა ეგ კაცი „კუთხური მიკერძოების ამბავში“ გამოაგდოო. ამაზე მალიტი მკვეთრად აცხადებს, რომ ხსენებული პირის ეროვნული გუნდიდან გაშვება შერკინებისათვის ახალი მწვრთნელის მოწვევის საჭიროებამ განაპირობა და რომ ნაკრების მოძღვართა ამქარში სამხრეთ აფრიკის მთელი ეთნიკური სპექტრია წარმოდგენილი.

თავისი ანტიჩრდილოური თულფი (ვითომ ჩვენებურად — კოზირი) თურმე სამხრეთელებსაც მოეძევებათ. ასე მაგალითად, კეიპტაუნელები ფიქრობენ, რომ იოჰანესბურგელი „კატების“ თავკაცმა, ანდრე მარკგრაფმა ზე-12-ის პირველობის ბოლოსწინა ტურში „ქვინზლენდთან“ სტუმრობისას საგანგებოდ დასვენა ძირითადის 7 მოთამაშე, რათა ერთი კვირის წინანდელ მატჩში (რომლის მოგებაც „კეიპტაუნს“ ცხრილის საბოლოო მოთავეობას უნაღდებდა) „მოიერიშეებისთვის“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა. სამხრეთელები ამ ბრალდებასაც არ სჯერდებიან და მარკგრაფმა ზელანდიაში გამართული ორ ამა და ამ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე გასვლა რომ ვერ გაბედა, ეგ ლაჩრობის ტოლფასია და სამხრეთაფრიკული რაგბის იმიჯს მაგრად აკნინებსო.

„კატების“ მაკნავლებელი ამას, რასაკვირველია, უარყოფს, ხიმინობა და გოთვერნობა თქვენსკენ მოიკითხეთო, აი, ეგეთი ფრაზებით. ისე კი, „მოიერიშეების სახლში მომგები გუნდი მე დღეს არსად მეგულება და მაგათ რომ ზე-12-ში იმარჯვონ ეგ მთელი ჩვენი რაგბეთისათვის ფანტასტიკური ამბავი იქნებაო“, მერე ასეც აცხადებდა.

ჩვენც ძალიან რომ აღარ გავაგრძელოთ, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ კეიპტაუნელთა და იოჰანესბურგელთა ერთი კვირის წინანდელმა შეხვედრამ თავი ორ დიუჟინამდე „ქურციკს“ მოუყარა და მაყურებელსაც კი ძალი სეირი ჰქონდა...

პროვინციალიზმს და პარტიკულარიზმს რაც შეეხება, მაგას კარგი არავისთვის მოუტანია და ცალ-ცალკე იოლად გადატეხილი და ერთად გაუბზარავი ისრების ამბავი კი ყველამ თავ-თავის კარადინში ამოიკითხოს. ეგრე აჯობებს, რაღა!

არტემ ჩაჩანიძე

1999 NBA PLAYOFFS

ბლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

რაიდერმა ტრაბახი დაიწყო

20 მაისი

აღმოსავლეთი

ატლანტა — ნიუ იორკი 0:2

ატლანტა 70:77 ნიუ იორკი

ატლანტა: ბლეილოკი (17 ქულა, 8 მოხსნა), სმიტი (9), კროუფორდი (10), ლონგი (7 ქულა, 11 მოხსნა), მუტომბო (8 ქულა, 17 მოხსნა); გრეი (13), ჯონსონი (4), კორბინი (2), ვესტი

ნიუ იორკი: ვორდი (5), ჰიუსტონი (2), ტომასი (1), ჯონსონი (11 ქულა, 8 მოხსნა), იუინგი (12); სპრიუელი (31), კემბი (11 ქულა, 13 მოხსნა), ჩაილდსი (4), დადლი

წლევანდელ სეზონში ნიუ იორკმა სიურპრიზებს მოუხშირა. ჯერ იყო და „ნიქსმა" უჩვეულოდ ცუდად ჩაატარა რეგულარული ჩემპიონატი, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დაწყებამდე მძლავრი კალათბურთელი ლატრელ სპრიუელი დაიმატა. პლეი ოფში ნიუ-იორკელები ჩამოწერილად არ ითვლებოდნენ, მაგრამ რაც მათ მოიმოქმედეს, ამდენს აღარავინ ელოდა. ჯერ თავისი ყოფილი მწვრთნელის, პატ რაილის მაიამი დაიფრინეს და ახლა, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, ატლანტასაც იგივეს უზამენ. ამის თქმის საბაბს ატლანტაში გამართული ის ორი თამაში გვაძლევს, რომელიც ნიუ იორკმა მოიგო და ახლა ცალი ფეხი აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში უდგას, სადაც ბოლოს 1994 წელს მოხვდა და იქ ინდიანას აჯობა. იქნებ იმ წლის ფინალი განმეორდეს კიდეც, რადგან, ნიუ იორკის დარად, ინდიანამაც ორ მატჩში ორჯერ გაიმარჯვა ფილადელფიასთან. კალათბურთის ეროვნულ ასოციაციას კი, რომელიც რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლის, სულ ორიოდ გუნდი ახსოვს ისეთი, სერიას 0:2 აგებდეს და საბოლოოდ გამარჯვება შეძლოს. წლეულს აღმოსავლეთში ასეთ რამეს ნაკლებად უნდა ველოდოთ.

ნიუ იორკმა კვლავ დაამტკიცა, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სად უწევს თამაში. მას მეტოქე გუნდის ორი ათეული ათასი ფანის ღრიალში გამარჯვებაც ისევე კარგად ეხერხება, როგორც მშობლიური „მედისონ სკვერ გარდენში". ატლანტა ურიგო გუნდი არაა და შინ განსაკუთრებით კარგად თამაშობს. სწორედ იმის გამო წარუდგენენ ჯორჯიელები მეორე წრეში ნიუ იორკს, რომ პირველში დეტროიტი სამჯერვე დასცეს „ჯორჯია დოუმში". თუმცა აქ უკვე ნიუ იორკი მუშაობს უშეცდომოდ და „ქორებსაც" ფინალში მოხვედრის მცირე იმედიღა შერჩენიათ.

რისი ან ვისი წყალობით ახერხებს ნიუ იორკი გასვლითი მატჩების მოგებას? სერიის პირველ შეხვედრაში სტუმართა გამარჯვება ძირითადად ორი უკანახაზელის (ორივე მსროლელია ამპლუით) ძირითადი ალან ჰიუსტონის და მისი შემცვლელი (ხანდახან ისინი გვერდიგვერდაც თამაშობენ) ლატრელ სპრიუელის ბრწყინვალებამ განაპირობა. ორივემ ერთად ნიუ იორკის საიმატჩო 100 ქულიდან 65 თავის ანგარიშზე ჩაიწერა. აქედან 31 სპრიუელზე მოდიოდა. მეორე შეხვედრაში ჰიუსტონს ხელი მოეცარა, რვა სროლიდან ერთადერთი ჩააგდო და გვარიანი სირცხვილი ჭამა. აი, სპრიუელმა კი კვლავ გაიბრწყინა, წინა მატჩის მიღწევა, 31 ქულა, ამ შეხვედრაშიც გაიმეორა, სხვებმაც გამოიღეს ხელი და მასპინძელი გუნდი კვლავ მშრალზე დარჩა.

გარდა იმისა, რომ სპრიუელი შეტევაში ლამის თოკით დასაბმელი გახდა, საკუთარი ფარის მისადგომებთანაც სანაქებოდ ირჯებოდა. სტუმართა ერთ-ერთ ლიდერსა და უპირველეს მექულეს, სტივ სმიტს აედევნა და სულ 9 ქულას დაჯერა მაშინ, როცა იგი რეგულარულ სეზონში მატჩში საშუალოდ სულ ცოტა, ორ ამდენს უყრიდა თავს. და საერთოდ იმ დღეს, თუ ისევ და ისევ სპრიუელს არ ჩავივლით, ყველას დაცვაში უკეთ მისდიოდა საქმე, ვიდრე თავდასხმაში. სწორედ ამიტომაც დასჯერდნენ მეტოქეები ქულათა მცირე რაოდენობას. მატჩისც ისე წარიმართა, გუნდები ყურადღებას დაცვაზე ამახვილებდნენ და ერთმანეთს თითქმის არაფერში ჩამოუვარდნენ. პირველი ნახევარი ნიუ იორკმა მხოლოდ ორი ქულის სხვაობით მოიგო — 38:36. მეორე ტაიმიც ძირითადად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მიწურულს, რაღა თქმა უნდა, სპრიუელის თავგამოდების შემდეგ, სტუმრები ათი ქულით დაწინაურდნენ. ატლანტას სამი წუთი რჩებოდა და ამ დროში შეძლო სხვაობა სამი ქულით შემცირება.

დასავლეთი

იუტა — პორტლენდი 1:1

იუტა 81:84 პორტლენდი

იუტა: სტოქტონი (8 ქულა, 9 პასი), ჰორნაჩეკი (19), რასელი (9), მელოუნი (23 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი), ოსტერტაგი (4 ქულა, 14 მოხსნა, 4 დაფარება); ანდერსონი (16), ფალერი (2), ეისლი, ბეილი, ფოსტერი, კიფი

პორტლენდი: სტუდემაიერი (2), რაიდერი (27), გრანტი (23 ქულა, 9 მოხსნა), ვოლესი (11), საბონისი (10 ქულა, 14 მოხსნა); ჯეკსონი (8), ენტონი (3), ოგმონი, ვილიამსი, ონილი, კატო

კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში და მის გარშემო მოტრიალე ხალხში მოარული ხმები დადის იმის თაობაზე, რომ „იუტა ჯაზის" ძლევა შინ, სოლტ ლეიკ სიტიში, ლამის გმირობის ტოლფასია და ეს ჩვენც არაერთხელ დაგვიწერია. „ჯაზისთვის" სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ დამტკიცდა საპირისპირო და ჩვენთვისაც ნათელია, რომ იუტასთვის საკუთარი დარბაზის — „დელტა ცენტრის" კედლები სულაც არ გახლავთ უეჭველი გამარჯვების გარანტია. იუტა პლეი ოფის ბოლო სამ სერიაში ერთხელაც ვერ გადაურჩა შინ მარცხს. ჩიკაგოსთან შინ ორმა წაგებამ შარშან იუტას ხელიდან გამოაცალა ჩემპიონობა. პლეი ოფის წლევანდელ გათამაშებაში „ჯაზმა" საკრამენტოს დაუთმო საკუთარ კედლებში და საქმე სტუმრად მოგებით გამოასწორა. მეორე სერიაში პორტლენდმა იგივე დამართა. სხვა საქმეა, რამდენად კარგად გამოიყენებს პორტლენდი ბოძებულ, უფრო ზუსტად კი ბრძოლაში მოპოვებულ შანსს. პორტლენდი კარგი გუნდა, მას შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ამისთვის მას ჰყავს უამრავი ვარსკვლავი. მათ თავიანი კაცი — მაიკლ დანლივი უდგას სათავეში, რომელმაც შეიძლება სეზონის მწვრთნელის ტიტულით დაიმშვენოს ხელი. რა თქმა უნდა, ამისთვის იუტასთან ერთი მოგება არ კმარა, მაგრამ ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

იუტასთან სერიაში აგერ უკვე მეორე თამაშია, პორტლენდელთაგან ლიდერობა თავდამსხმელმა ბრაიან გრანტმა ითავა. პირველ მატჩში 18 ქულით იგი საუკეთესო იყო. ამჯერად მხოლოდ აიზია რაიდერს ჩამორჩა. პორტლენდს ეს ძალიან ეხმარება, მით უმეტეს, რომ გრანტს სტუმართა ლიდერთან და ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს თავდამსხმელთან კარლ მელოუნთან უწევს თამაში და ამ მოაკაცის მეურვეობას კი მტერს არ უსურვებენ, იმდენად უხეშია „ფოსტალიონი" (მელოუნის მეტსახელი გახლავთ). პირველ მატჩში ეს გრანტმა თავის თავზე გამოსცადა. ერთ მომენტში მას მელოუნმა ისე გვარიანად უთავაზა სულ თავბედი აწყვეტინა. ამისათვის იუტელი დააჯარიმეს, 10 000 დოლარით შეუმსუბუქეს ჯიბე. გრანტს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა ძველი წყენანი და ისინი ამ მატჩში წაძიძგილავდნენ კიდეც. ეგაა, ჭკუა ეყოთ და ჩხუბისგან თავი შეიკავეს. თამაშში კი ერთმანეთი არ დაზოგეს და გვარიანადაც გაწვალდნენ. მელოუნი და გრანტი თუ ფარქვეშ ჯაჯგურობდნენ, კალათიდან მოშორებით ჰორნაჩეკსა და რაიდერს გაეჩაღებინათ ჭიდილი. ამ მხრივ შედარებით ახალგაზრდა რაიდერმა აჯობა ბებერ ჰორნაჩეკს და თამაშის მერე ტრაბახით აიკლო იქაურობა — ჰორნაჩეკი ჩემთან შედარებით არავინაა, როცა მარტო ეგ მაკავებდა და არვინ ეხმარებოდა, აკი დაინახეთ, რა დღეც ვაყარეო.

შეხვედრა ისევე როგორც იმ დღეს გამართული ატლანტა — ნიუ იორკის მატჩი დაცვითი თამაშით წარიმართა. ამ მხრივ იუტასაცა და პორტლენდსაც არაფერი შეეშლებათ, დაცვა კარგად ეხერხებათ სწორედ ამიტომაც იყო, რომ ბურთები ორივე კალათში იშვიათად ვარდებოდა. ნახევარი სულ 32:31 დასრულდა სტუმართა სასარგებლოდ. ასე ცოტა ქულა ჯამში პლეი ოფის არც ერთ შეხვედრაში არ გაკეთებულა. მეორე ტაიმში თამაში ოდნავ გაიხსნა და პორტლენდმა დაწინაურება მოახერხა, თუმცა მთლიანობაში თამაში მაინც თანაბარი იყო. ბოლო მეოთხედის მეექვსე წუთზე იუტელმა შენდონ ანდერსონმა სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა — 64:64, მაგრამ შემდეგ რაიდერმა იყოჩაღა, ორწუთიანი მონაკვეთი 9:0 მოგებინა თავისიანებს და სტუმრები სოლიდური ანგარიშით გავიდნენ წინ — 73:64. იუტამ მოახერხა დაწევა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 17 წამით ადრე რაიდერმა ჩააგდო და 82:78 გახადა, დარჩენილ დროში კი იუტამ მხოლოდ ერთი ქულითღა მოახერხა სხვაობის შემცირება და კიდეც გაისმა პორტლენდელთა გამარჯვების მაუწყებელი სირენა.

ირაკლი ფირაყვილი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — პორტლენდი. სტუმართაგან საუკეთესო აიზია რაიდერი (ბურთით) იუტელ ჯეფ ჰორნაჩეკს ჰიდაობის ილეთითაც უტევს

ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი

საქართველო 80:78 ირლანდია

20 მაისი. ფრიბურგი. ფოროემა. 18 ტაიმი — 17:36, 40:40

საქართველო	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლი	ქ.
თორთლაძე	6	0/1	1/2	0/0	0	0	0	0	3
ბოისა	22	3/4	1/3	3/3	4	0	0	3	12
გოგობერიშვილი	4	0/1	1/2	0/0	1	0	0	0	3
ხოშტარია	31	2/6	1/2	0/0	0	1	1	4	7
გ. ნაცვლიშვილი	4	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0
ჟღენტი	34	1/2	1/5	2/5	1	6	4	4	7
ბერძენიშვილი	13	5/5	0/0	3/3	3	0	0	4	13
ჯაფარიძე	15	3/4	0/1	0/0	4	0	1	2	6
ვ. ნაცვლიშვილი	30	9/11	0/0	4/5	12	2	2	5	22
ბეჟანიშვილი	17	1/1	1/2	0/0	0	1	0	3	5
ჩხეიძე	25	1/2	0/3	0/0	0	3	0	0	2
სულ	**200**	**25/37**	**6/20**	**12/16**	**25**	**13**	**8**	**25**	**80**

ირლანდია	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხს.	პასი	ჩაჭ.	ფოლი	ქ.
ბრი	3	0/0	0/0	1/2	0	0	0	1	1
ფულტონი	27	1/4	0/1	3/5	0	3	1	4	5
ფილანი	18	2/4	0/4	0/0	0	0	0	1	4
რიჩარდსონი	20	5/8	0/0	1/2	2	1	0	4	11
მაგვაიერი	21	1/3	2/7	4/4	0	1	0	2	12
ოკონელი	39	2/4	2/4	2/5	1	1	1	3	12
მაკგუირკი	2	0/0	0/0	0/0	0	0	0	2	0
კალაჰანი	40	8/13	0/0	6/9	12	6	0	3	22
ლეისი	30	5/7	0/0	1/2	9	1	0	4	11
სულ	**200**	**24/43**	**4/16**	**18/29**	**24**	**13**	**2**	**24**	**78**

არმსტრონგის პროგრესს დუბლი მოჰყვა



სარგებლის არქივიდან

დარელ არმსტრონგი

„ორლანდო მეჯიქის" გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი დაასახელეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელი სეზონის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ. 118 შესაძლო ხმიდან არმსტრონგმა 54 მიიღო. ეს ორლანდოელი კალათბურთელის სეზონის მეორე ჯილდოა — ათი დღის წინ იგი საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ აღიარეს. არმსტრონგი პირველი კალათბურთელია, ვინც აღნიშნული ორი ჯილდო ერთ სეზონში დაისაკუთრა.

ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ ასახელებენ იმ კალათბურთელს, რომელიც ყველაზე მეტად გაუმჯობესებს თამაშს წინა სეზონთან შედარებით. წლეულს არმსტრონგმა მატჩში საშუალოდ 13,8 ქულა, 6,7 პასი, 3,6 მოხსნა და 2,16 ჩაჭრა გააკეთა. წინა სეზონთან შედარებით მან საშუალო მაჩვენებლებს მოუმატა 6,9 ქულა, 3,5 პასი, 1,8 მოხსნა და 1,20 ჩაჭრა.

ჯილდოს მიღებისას არმსტრონგმა თქვა: „ამ აღიარების მოპოვებისთვის დიდი და მძიმე შრომა გავწიე. არავის ვაძლევდი უფლებას ეთქვა ჩემთვის, წარმატებას ვერ მიაღწევო, ყოველ წელიწადს უკეთ და უკეთ ვთამაშობ". შეგახსენებთ, რომ არმსტრონგი 30 წლისაა და 185 სანტიმეტრია. „ორლანდო მეჯიქში" 1995 წელს მივიდა. მანამდე კი, ლაფაიეტვილ სტეიტის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თამაშობდა გლობალურ საკალათბურთო ასოციაციაში (1991-92), კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციაში (1992-93), ამერიკის საკალათბურთო ლიგაში (1993-94), კვიპროსში (1994) და ესპანეთში (1994-95).

ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში ხმები მიიღო თვრამეტმა კალათბურთელმა. არმსტრონგს კვალში ჩაუდგნენ ფილადელფიელი ერიკ სნოუ (15 ხმა) და დალასელი გერი ტრენტი (14 ხმა).

ყველა ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე

1986	ელვინ რობერტსონი	სან ანტონიო
1987	დეილ ელისი	სიეტლი
1988	კევინ დაქვორსი	პორტლენდი
1989	კევინ ჯონსონი	ფინიქსი
1990	რონი საიკლი	მაიამი
1991	სკოტ სკაილზი	ორლანდო
1992	პერვის ელისონი	ვაშინგტონი
1993	მაჰმუდ აბდულ-რაუფი	დენვერი
1994	დონ მაკლინი	ვაშინგტონი
1995	დანა ბაროსი	ფილადელფია
1996	გეორგ მურეშანი	ვაშინგტონი
1997	აიზეკ ოსტინი	მაიამი
1998	ალან ჰენდერსონი	ატლანტა
1999	დარელ არმსტრონგი	ორლანდო

ფავორიტებს დღეს შევიცნობთ

„ჯიროს“ მეექვსე ეტაპს ძლიერი ქარი დაემთხვა და თავისი დაღიც დასვა. ლაურიადან ფოჯამდე ყველას ლატვიელმა რომანს ვაინსტეინსმა მიასწრო. ეს ეტაპი, წესით, 257-კილომეტრიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საგზაო სამუშაოების გამო ველოსიპედისტებმა 12 კმ-ით ნაკლები გაიარეს. საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა, რომელმაც ფინიშის ხაზი პელოტონის პირველ ნაწილთან ერთად გადაკვეთა.

დღის მთავარი შეტევა ანდრეა ტაფიმ და კოლუმბიელმა ვიკტორ პენიამ განახორციელეს. ლტოლვილნი კარგა ხანსაც ლიდერობდნენ, რადგან მთავარი ჯგუფი საკმაოდ ნელა მოძრაობდა. ფოჯამდე სამოციოდე კილომეტრით ადრე ქარის გამო ზოგიერთი ველომრბოლი წაიქცა, რამაც პელოტონი გაწყვიტა. წინა ნაწილმა სიჩქარეს უმალ უმატა და ტაფი-პენას დუეტსაც 25 კილომეტრის გავლის შემდეგ დაეწია.

არეულობამ ზოგიერთ მრბოლზე ძალიან ცუდად იმოქმედა და რამდენიმე მათგანს, რომელთაც საერთო ჩათვლაში წარმატების მცირედი შანსი ჰქონდათ, ყოველგვარი იმედი გადაუწურა, რადგან მათ ოთხი-ხუთი წუთი წააგეს. ეტაპის ბედი ფინალურ სპრინტში გადწყდა, რომელშიც სამოცდაათამდე კაცი მონაწილეობდა. თითქოს ოსკარ კამენზინდის დახმარებით ბაბრიელე მისალიას უნდა ემარჯვნა, მაგრამ, ეტყობა, შვეიცარიელმა იტალიელი სათანადო სიჩქარით ვერ გამოაქანა და მას საბოლოოდ ვაინსტეინსმა და თანამემამულე ფაბრიციო გიდომ გადაასწრეს.

პროფესიონალებში შარშან გადაბარგებული 25 წლის რიგელისთვის, რომელიც ამჟამად ჩრდილოეთ იტალიაში, ბერგამოს მახლობლად ცხოვრობს, ეს „ჯიროში“ მოგებული პირველი ეტაპია. ისე კი, წლეულს მისთვის ეს უკვე მეშვიდე გამარჯვებაა. „ბელგიაში გატრაბუელმა ექვსმა წელმა ქარის გამოყენება მასწავლა“ — თქვა ახალგაზრდა ლატვიელმა, რომელსაც სამშობლოს გარდა თითქმის ყველგან უცხოვრია. ბელგიამდე იგი რუსეთში იყო დაფუძნებული და იქაურ ახალგაზრდულ გუნდშიც გამოდიოდა.

REUTERS ფოჯადან

რომანს ვაინსტეინსი



მეშვიდე ეტაპი გუშინ გაიმართა და იერონ ბლიილევენსის გამარჯვებით დასრულდა, ვარდისფერი მაისურა კი კვლავაც ლორან ჟალაბერმა გადაიცვა.

დღეს ველომრბოლები მერვე და ამავე დროს პირველ მთიან ეტაპზე გაეჯიბრებიან ერომანენთს. ამისთვის თვალყურის მიდევნება „ევროსპორტსა“ და „რაი ტრიზე“ შეგეძლებათ დაახლოებით საღამოს ექვსი საათიდან. სწორედ დღეს გამოჩნდება, ვის აქვს „ჯიროს“ მოგების ყველაზე კარგი შესაძლებლობა, ანუ ვარდისფერ მაისურს ფავორიტები საერთო-ჩათვლაში ტოვებ ინაცვლებენ. [illegible] მათგანი [illegible]

ბაბი გურული

მეექვსე ეტაპი

ლაურია — ფოჯა (245 კმ)

1. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა) — 5სთ 55წთ 43წმ
2. ფაბრიციო გიდი (იტალია, პოლტი)
3. გაბრიელე მისალია (იტალია, ლამპრე)
4. მატეო ტოსატო (იტალია, ბალანი)
5. პაოლო ბეტინი (იტალია, მპეი) — ყველა იგივე დრო

მეშვიდე ეტაპი

ფოჯა — ლანსიანო (157 კმ)

1. იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, TVM) — 4სთ 12წთ 6წმ
2. რომანს ვაინსტეინსი
3. ფაბრიციო გიდი
4. პაოლო ბეტინი
5. მარიანო პიკოლი — (იტალია, ლამპრე)

საერთო ჩათვლა

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — 31სთ 34წთ 7წმ
2. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) +7
3. პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) +16
4. დევიდე რებელინი (იტალია, პოლტი) +20
5. მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) +22

მეორე ოთხეულს რაღა?

უკვე გაცნობეთ, რომ ბრატისლავაში მიმდინარე ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე შეჯიბრების პირველი დღე ჩვენი გუნდისთვის ბრინჯაოს შანსისა გამოდგა.

ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ნესტორ ხერგიანი (60) პირველ წრეში ისვენებდა. მეორეში ის პორტუგალიელ კარავანას დაეჭიდა და წააგო. საბედნიეროდ, მისი მომგები პირინეელი ნახევარფინალში გავიდა და ჩვენებურს, აწ უკვე ევროპის ექსჩემპიონს, ბრინჯაოსთვის ბრძოლის შანსი დარჩა. მასაც ჭიდაობის მეტი რაღა დარჩენოდა: ორი შეხვედრა მოიგო და თუ დღეს შვეიცარიელ მორეტს დაამარცხებს, უშუალოდ ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებს.

ამ ჩემპიონატზე კენჭისყრამ თუ ვინმეს არ გაუმართლა, უპირველესად გია გუგავას (90). თავად განსაჯეთ: პირველივე წრეში მას მეტოქედ ევროპის ბოლო სამი პირველობის უცვლელი ჩემპიონი, ჰოლანდიელი ჰუზინგა ერგო. გიას ყველაზე მეტად მისი ეშინოდა და წააგო კიდეც. ჰუზინგა ნახევარფინალში გავიდა, გუგავამ კი ორი შეხვედრა მოიგო და იტალიელი ლამბერტოს დამარცხების შემთხვევაში ისიც ბრინჯაოსთვის იჭიდავებს.

პირველ წრეში ივერი ჯიქურაულიც (100) ისვენებდა, მეორეში კი ფრანგ ტრენოსთან წააგო. ფრანგი ნახევარფინალში გავიდა. ჯიქურაულმა კი პორტუგალიელი სოარეშის ძლევით დაიწყო სანუგეშო წრე. დღეს მისი მეტოქე რუსი მიხაილინა. თუ მას მოუგებს, მესამე ადგილისთვის ჯიქურაულს პოლონელ პაველ ნასტულასა და გერმანელ დანიელ გიურშნერს შორის დამარცხებული შეხვდება.

მძიმეწონასანი ალექსი დავითაშვილი ბრძოლას გამოეთიშა. გერმანელ მიოლერის წმინდად დამარცხების შემდეგ იგი თავად დამარცხდა რუს ტამერლან ტმენოვთან. სამწუხაროდ, დავითაშვილმა წარუმატებლად იჭიდავა სანუგეშო წრეში, ავსტრიელ ერიკ კრიგერთან წააგო.

გუშინ ტურნირში მეორე ოთხეული ჩაება — გიორგი რევაზიშვილი (66), გიორგი ვაზაგაშვილი (73), სოსო ლიპარტელიანი (81) და რამაზ ჩოჩიშვილი (აბსოლუტური).

ირაკლი თავაძე

დრაფტის ლატარია ჩიკაგომ მოიგო

26 ივნისს ბოსტონში გაიმართება მომავალი ვარსკვლავების არჩევის, ანუ დრაფტის ცერემონიალი. მანამდე კი ჩატარდა ეგრეთ წოდებული სადრაფტო ლატარია, რომელსაც უნდა დაედგინა, რა ნომრით აირჩევენ გუნდები საუკეთესო ახალბედებს პირველ რაუნდში. დრაფტში იმ 11 კლუბთან ერთად, რომლებიც პლეი ოფში ვერ მოხვდნენ, ლიგის დებიუტანტი „ატლანტა თრეშერსიც“ მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ნჰლ-ის უსუსტეს გუნდებს ყველაზე დიდი არჩევანი ჰქონდათ. მაგალითად, პირველი ნომრის დასაკუთრების შესაძლებლობა პირველობის უარეს გუნდ ტამპასთვის 26 პროცენტს უდრიდა, მაშინ, როცა ბოლოდან მერვე ადგილზე მყოფი ჩიკაგოსთვის — მხოლოდ 3,7-ს. თუმცა ყველაზე მეტად სწორედ ჩიკაგომ იხეირა. ლატარიაში „ქორები“ ოთხი საფეხურით აღზევდნენ და მერვე ნომრის ნაცვლად მეოთხე მოიპოვეს. დანარჩენი გუნდები კი ცოტათი გადაადგილდნენ. საბოლოოდ, სადრაფტო ლატარიის შედეგები ასე გამოიყურება:

1 ტამპა; 2 ატლანტა; 3 ვანკუვერი; 4 ჩიკაგო; 5 აილენდერსი; 6 ნეშვილი; 7 ვაშინგტონი; 8 ლოს ანჯელესი; 9 კალგარი; 10 მონრეალი; 11 რეინჯერსი; 12 ფლორიდა

ახლა სიტყვა კლუბების მენეჯერებზეა, რომლებმაც ნიჭიერ ახალგაზრდებში თავიანთი გუნდისთვის სასარგებლო მოთამაშეები უნდა ამოიცნონ.

ამასობაში ცენტრალურმა სასკაუტო ბიურომ მოამზადა დრაფტზე წარდგენილი 300-მდე ახალბედის სია. ეს ნუსხა ორად იყოფა: ერთმა ჩრდილოეთ ამერიკის ყველანაირ ლიგაში მოასპარეზე ჰოკეისტები გააერთიანა, მეორემ — ევროპაში მოთამაშენი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ორივეგან ევროპელები სჭარბობენ. მაგალითად, პირველ ხუთეულში (ცხადია, ბიუროს აზრით) ორი ჩეხი და ერთი რუსია, თანაც ჩეხები პირველ ორ პოზიციაზე იმყოფებიან. დღესდღეისობით ყველაზე მაღალი შეფასება იჰლ-ში (საერთაშორისო ჰოკეის ლიგა) მოასპარეზე ფორვარდ პატრიკ შტეფანს აქვს და დრაფტის პირველი ნომრის მფლობელის, ტამპას გენერალური მენეჯერის ჟაკ დემერის თქმით, მისი გუნდი სწორედ მის არჩევას აპირებს. ნჰლ-ის შემდეგ რეიტინგით უძლიერეს ოკეანისგაღმურ ლიგაში ჩატარებულ 33 თამაშში შტეფანმა 35 (11+24) ქულა მიითვალა და გუნდ „აის დოგსის“ მეხუთე ბომბარდირიც გახდა. მეორე პოზიციაზე მყოფმა მისმა თანამემამულე ჰაველ ბრენდლმა კი ვჰლ-ში ნათამაშევ 68 მატჩში 134 (73+61) ქულა დააგროვა და ლიგის საუკეთესო ბომბარდირისა და წლის ახალბედის ტიტულები მოიპოვა.

მომდევნო ადგილებზე ორი ცენტრ-ფორვარდი — ჯემი ლუნდმარკი (ვჰლ), ტომ კონოლი (ოჰლ) და რუსი გარემარბი დენის შვიდკი (ოჰლ) არიან, თანაც უკანასკნელმა ორმა ჰოკეისტმა ახალგაზრდათა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ისაპარეზა.

ევროპაში კი ყველა აღფრთოვანებულია ტყუპი ძმებით, დანიელ და ჰენრიკ სედინებით. ნორვეგიაში უფროსთა მსოფლიოს პირველობაზე მათი მხილველები ერთხმად ამბობენ, რომ სედინები გამოცდილ პარტნიორებს არაფრით ჩამორჩებოდნენ. დანიელი შვედეთის ელიტარული ლიგის კლუბ „მოდოს“ საუკეთესო ბომბარდირიც კი გახდა, ისე კი, ტყუპები სეზონის საუკეთესო ექვსეულში შეეიდნენ.

საინტერესოა, რომ მათი აგენტი, ცნობილი სპეციალისტი მიკელ ბარნეტი წლევანდელ დრაფტზე მხოლოდ ტყუპისცალის წარდგენას აპირებდა, რათა გაისად ძმებს ერთ გუნდში მოხვედრის შესაძლებლობა ჰქონოდათ. თუმცა ბოლოს გადაიფიქრა: „მე მაინც მჯერა, რომ სედინები ერთ გუნდში იასპარეზებენ. მათ უეჭველად ხანგრძლივი და დიდებული ნჰლ-ური კარიერა ელით. გონიერი მენეჯერი ყოველთვის მიხვდება, რომ ძმებს ერთობლივად გაცილებით მეტი ხეირის მოტანა შეუძლიათ და მათ შესაერთებლად ფულს არ დაზოგავს“.

სედინების გარდა, ევროპელთა საუკეთესო ხუთეულში დამკვიდრდნენ: ჩეხი ცენტრფორვარდი მარტინ ჰავლატი, რუსი გარემარბი ალექსანდრ ბუტურლინი და ფინელი იანი რიტა.

სამველ ღარიბიანი

მინი ლურუპესათვის

REUTERS ნიუ იორკიდან

ტეგლა ლურუპე: დღეს განახებთ, რა გოგოც ვარ!

დღეს ნიუ-იორკის ქუჩებში 10-კილომეტრიანი მინი-მარათონი გაიჯლიგენებს. მისი გამარჯვებული პირველ თხუთმეტ ადგილზე გასულთათვის აღთქმული 50 ათასი დოლარიდან ერთბაშად 15 ათასით დასაჩუქრდება. ჰოდა, ამოტოლა ფულის სულ რაღაც 10 ათას მეტრში მოგების მსურველი (ესე იგი მეტრზე დოლარზე მეტი მოდის) იცოცხლეთ საკმარისზე ბევრია. მაგრამ მთელ იმ ხარახურაში ყურადღების მიქცევის ღირსი ეგებ მხოლოდ რამდენიმე დედაკაცი იყოს. მათ შორის უწინარესად იქ ორგზის ნახეირები, 26 წლის ტეგლა ლურუპე და კროსრბენში მსოფლიოს ჩემპიონი, ეთიოპელი გეტე ვამი. იქნებ გახსოვდეთ, ეგ ის ლურუპეა, რომელზედაც ავი ენები ამბობენ, შერეულ მარათონებს თანამემამულე ვაუების შემწეობით იგებსო. ხოლო, რაღაი და, დღევანდელი რბოლა კაცების გარეშე გაიმართება, კენიელის ძალაც სრული ფაიზალიანობით უნდა გამოჩნდესო, ვარაუდობენ სპეციალისტები... ტეგლაც სწორედ მაგას ამბობს, დამღალა ამ ჭორებმა და რა გოგოც ვარ, დღეს დაგანახებთო. ჩვენც რა? ჩვენ ეგებ უკეთესის დანახვაც გვერჩიოს, მაგრამ, გავარდეს ჯანი და მოხდეს რაც მოსახდენია...

ლევან ძელაურაძე

შსს დოპინგ-სადარაჯოზე

გერმანიაში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბობოლა სპორტსმენების შეხვედრა მოწყობილა. შეხვედრაზე დოპინგ-მამაძაღლობათა შესახებ უმსჯელიათ და შეთანხმებულან, რომ ყველა გერმანელ ათლეტს, რომელსაც შარდში აკრძალულ პრეპარატს უპოვნიან, უყოყმანოდ ორწლიან დისკვალიფიკაციას მიარჭობენ.

შეგახსენებთ, რომ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრო გერმანიაში სპორტზე პასუხისმგებელი უზენაესი სახელმწიფო ორგანოა. ამიტომაც, დოპინგი იქნება ეგ თუ სხვა რამ დარღვევა, ამაზე „პირველი მსჯელობის უფლება“ სწორედ შშს-ს ეკუთვნის. სპოტსმენებთან რეგულარული ღადავი და რამეც აქედან მოდის.

„დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიის მთავრობის პროგრამაა“, — ასე შეუჯამებია მორიგი შეხვედრა მინისტრ ოტო შილის, 5000 მეტრზე ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ დიტერ ბაუმანს კი ის დაუძენია, რომ „გამკეთებელთა“ წინააღმდეგ მიმართული სანქციები კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს: „დოპინგის მიღება იგივეა, რაც კრიმინალი“ — უთქვამს მას.

გაანახევარმარათონეს

იტალიური პალერმო, მექსიკური კანკუნი და ბრიტანული ბრისტოლი, შესაბამისად, 1999, 2000 და 2001 წლების ნახევარმარათონა ჩემპიონატებს უმასპინძლებენ. რაც შეეხება სპორტული სიარულის 2001 და 2003 წლების მასპინძელთა ვინაობას, ეგენი იტალიური ტურინი და გერმანული ნაუმბურგი იქნებიან. ყოველივე ამის შესახებ ვერდიქტი გუშინ ლოზანაში თავშეყრილმა იაიფ-ელმა მამილოებმა მიიღეს. მიიღეს და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, ჰაწა დაველოდოთ და ყველაფერს თავ-თავის დროზე თავ-თავისი ადგილიდან ვიხილავთ.

მორიგი პარტია

ცურვის მსოფლიო უსტაბაშმა ფინა-მ დოპინგზე გამოჭერილი მოცურაველების მორიგი პარტია გამოავლინა. ესენი ესპანელი დავიდ მექა მედინა, სლოვენიელი იგორ მაიჩენი და ეკვადორელი რობერტო დელგადო არიან. პირველ ორს ბრაზილიურ სალვადორ და ბაიას 50-მეტრიან აუზში გამართულ მსოფლიო თასზე ნანდროლონი უპოვნეს, მესამეს კი ფსევდოეფედრინი წინა თვეში ჰონკონგის 25-მეტრიან საცურაველთში მოწყობილ მსოფლიო ჩემპიონატზე აღმოუჩინეს.

მხილებულთ დროებით დისკვალიფიკაცია ერგებათ. 14 ივნისს კი ფინა-ს შტაბ-ბინაში მათი საქმის საფუძვლიანი გარჩევა ჩატარდება და სასჯელის საბოლოო ზომებსაც მაშინ გავიგებთ.

რუპერტს გადაუწყვეს

სიდნეის საგაისო ილიმპიადის საგზატკეცილო ველორბოლის ტრასას ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანში ანუ იქ უნდა გაევლო, სადაც მსოფლიოს მედია-ვეშაპის, რუპერტ მერდოქის კუთვნილი „ფოქსის“ კინოსტუდია მდებარეობს. მერდოქს თურმე, ტოლი ნახეთ და კოჭი გააგორეთო, ეგრე მოუთხოვია. სიდნელებსაც, ემანდ მაგან რამე შარს არ აგვკიდოსო და... ტრასა სიდნეის დასავლეთით გადაუტანიათ.

REUTERS დიუსელდორფიდან

ᲑᲝᲠᲘᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ

მაჩვენე როგორი ოჯახი გყავს და გეტყვი როგორი ჩოგბურთელი ხარ, ამბობენ ზანზიბარელი აღსაკალები... ჰოდა, საგანგებოდ მათთვის: ბარბარა და ნოე ბეკერები, ბორის ბეკერის კანით ოდნავ მოშავო, მაგრამ გულით ჩვეულებისამებრ ჰალალი და კეთილი ცოლ-შვილი... ფოტოზე ისინი მაშინ აუსახავთ, როცა თავიანთ ქმარ-მამასა და დავიდ პრინოშილს ესპანური წყვილის, ალბერტ კოსტასა და ხაირო ველასკოს წინააღმდეგ ქომაგობენ... (ამ მატჩისა და მისთანათა შესახებ დაწვრილებით სამშაბათის „სარბიელში“ შეიტყობთ).

REUTERS კარდიფიდან

ᲡᲐᲦᲝᲚ, ᲡᲘᲛᲝᲜ!

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚ მეკრიკეტეთა მშვენებას, შეინ უორნს მოაჯირზე აი ეგრე გადაყრდნობისა და მისი გუნდის ახალზელანდიელებთან პაექრობისათვის გარედან ცქერის სრული უფლება ჰქონია. მის სათნო ცოლუკა სიმონეს გუშინ მშობლიურ ოზეთში თურმე ბეიბი-ბიჭუკელა შესძენია. შეინსაც ამის აღსანიშნად კაცურად უყლაპავს... ნაბახუსევს კი ამდგარა, აი ეგეთი პლაკატი შეუთხზავს და მილეთის დასანახად გადაუფენია: „საღოლ სიმონ, კაი ნახელავია! შენ გაჩენას გაუმარჯოს, ჯეკ!“, - სწერია პლაკატზე.

ᲨᲘᲒ ᲪᲮᲠᲘᲐᲜᲨᲘ ᲣᲠᲢᲧᲐᲛᲡ

ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲘᲡ მორიგი ტიტულის მითვლა მიუნხენის „ბაიერნმა“ კვართის გამოშვებით აღნიშნა. ფოტოზე ერთი იქაური ლამაზმანი კვართის კეკლუც დემონსტრირებას ახდენს, შემოჯარული ხალხი კი ამ მომენტის დაფიქსირებას ცდილობს... ყველაზე მარჯვედ „ბაიერნის“ თავკაცი, ოტმარ ჰიცფელდი ირჯება. მისი ობიექტივი გადასაღებს შიგ ცხრიანში ურტყამს...

REUTERS მიუნხენიდან

REUTERS ნიუ იორკიდან

REUTERS ლონდონიდან

ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲗᲐᲜ

ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ხედავთ განთქმულ საკრივო უფლისწულს ნასიმ ჰამედს. დიდი ჩემპიონი, ბრიტანეთის სიამაყე და იემენელ წინაპართა არდამვიწყებელი კაცი, პირკეთილ მეუღლესთან, ელიშასთან ერთად დგას ბუკინგემის სასახლის წინ. სასახლეში კი მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II ემზადება და სტუმრებს ელის. დედოფალს მოკრივე დაუპატიჟია — დიდებული ჩაის სმა იქნება.

ᲐᲗᲐᲡ ᲝᲠᲐᲡᲘ ᲓᲣᲙᲐᲢᲘ

„ᲓᲣᲙᲐᲢᲘ“ ის ფირმაა, მოტოციკლებს რომ უშვებს და ჭაბუკებს ახარებს... აქ ფირმის მორიგი მოდელი აუსახავთ. მოდელს შავანი თვალებმიბნედილი გოგონა შემოჯდომია და „დუკატისაგე“ დიზაინერთა მიერ გამოშვებულ 1200 დოლარიან მაისურას წარმოადგენს...

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, �პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29